ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№2 (32)

თებერვალი, 2016 წელი

ნომრის ავტორები
სოსო მეშველიანი & იური ანდრუხოვიჩი

პოეზია
დათო ყანჩაშვილი
ტატო ჩანგელია

პროზა
თეა თოფურია
მაგდა კალანდაძე
მამუკა ხანთაძე
უჩა ზაქაშვილი
ლადო კილასონია
ზურა გოგიძე

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი – მოდიანოზე

ახალი თარგმანები
ჟან-პოლ სარტრი
ჰერმან ჰესე
სერგეი ესენინი
ანდრეი სენ-სენკოვი

არტი
ტატიანა ტოლსტაია

Юрій Андрухович

ფასი 1,5 ლარი

№2 (32) თებერვალი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, სოსო მეშველიანი, თამარ კოტრიკაძე, რაულ ჩილაჩავა, დათო ყანჩაშვილი, ტატო ჩანგელია, თეა თოფურია, მაგდა კალანდაძე, მამუკა ხანთაძე, უჩა ზაქაშვილი, ლადო კილასონია, ზურა გოგიძე, ნუგზარ კუჭუხიძე, ვასილ გულეური, ნენე გიორგაძე, ლელა კოდალაშვილი

გამომცემლობა – «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com

1. ნომრის ავტორები: სოსო მეშველიანი, იური ანდრუხოვიჩი

სოსო მეშველიანი

სოსო მეშველიანის მუდმივი მგზავრული (ეკა ქევანიშვილი)

მიჟლაჰარ – ეწერა წიგნის ყვითელ გარეკანზე. რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, ჯერ სათაურმა დამაფიქრა და ავტორამდე რომ მივედი და ყდაზე სოსო მეშველიანი წავიკითხე, მივხვდი, თავისი მშობლიური კუთხის ენით გვანიშნებდა რაღაცას, სვანურად. მერე ყველამ გავიგეთ – „მიჟლაჰარ“ მზის ჩასვლის ადგილს ნიშნავს თურმე სვანურ ენაში. ადგილს, რომელიც მთებში თითქმის ყოველ კვირას იცვლება. ამ ადგილს ერთხელ გიორგი ლობჟანიძემ „პოეზიის ამობრწყინების ადგილი“ უწოდა რადიო თავისუფლების ბლოგში.

სოსო გადახვეწილი პოეტი იყო. დიდი ხანი არ არის, რაც ათ წელზე მეტხნიანი ემიგრაციის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა. ან იმდენ ხანს როგორ გაძლო, ისე ლაპარაკობს თავის სვანეთზე, თითქოს ჯიბით ჰქონდა წაღებული. მხოლოდ იქ კი არა, ესპანეთში, აქაც, თბილისში, სულ იმის განცდით იცხოვრა, რომ სვანეთის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა. თავისი სოფლიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც თავი ევროპაში ამოყო, ვინც „მძაფრი ემიგრანტული ცხოვრებით იცხოვრა“, ვინც წლების განმავლობაში სტაბილური სამსახურიც იშოვა – კარგი ანაზღაურებით, ერთ დღეს კი ყველაფერი მიატოვა და სამშობლოში დაბრუნდა.

„ეს იმ ადამიანებმა სრულ სიგიჟედ აღიქვეს, ვისაც ჩემზე ტკბილი და უდარდელი ბავშვობა ჰქონდა გატარებული და ასე ადვილად დათმეს თავიანთი კუთხე. რაიმე უკიდურეს შემთხვევაში თუ ჩამოაკითხავენ მარტოდ დარჩენილ მოხუც მშობლებს. მე კი, დღემდე ხან სათიბში ვარ, ხან ყანაში, ხანაც ხარებს ვჭედავ, ალბათ მართლა სიგიჟეა“.

სიგიჟედ ეს დაბრუნება არ მოგეჩვენებათ, თუ სოსოს ჩანაწერებსაც ჩახედავთ – ბევრი დაუგროვდა მოსაყოლი და გასახსენებელი. ალბათ, ადვილად ვერც დაივიწყებ სკოლიდან სახლამდე ამოსასვლელ ოთხკილომეტრიან აღმართს. უთენია

ადგომას იმავე სკოლაში დროულად მისაღწევად, მერე კი, ჩანთის მიგდების შემდეგ, საქონლის საძებნელად გავარდნას – ქალაქში ვერავის წარმოუდგენია, ეს რა არის:

„ყველს და პურს ავიღებდი და საქონლის საძებნელად მივდიოდი, ვეძებდი გაუთავებლად ტყე-ღრეებში, ხევებსა თუ სათიბებში, ძლივს მოვუყრიდი თავს, ასე ხდებოდა თითქმის ყოველდღე, ხშირ შემთხვევაში, შეღამებისას ვბრუნდებოდი შინ, თუ ერთი მათგანი მაკლდა, დასჯა არ ამცდებოდა, თუ ძილის წინ გაკვეთილებს არ ჩავაბარებდი, მაშინაც. მერე, როცა არდადეგები იწყებოდა, ეს ერთი შვება იყო ბავშვებისთვის – ეძინათ, ენებივრათ, დაესვენათ. მე, როგორც ჩემი სოფლის ყმაწვილების უმეტესობა, მთელ ზაფხულს მთაში ვატარებდი. იქ კი, დილის ექვსზე თუ არ ადგებოდი, ძროხების ჩამოწველას ვერ მოასწრებდი, აიშლებოდნენ, საძოვრებზე გაგასწრებდნენ. არადა, ყველაზე მაგრად იმ დროს მინდებოდა ძილი, გამთენიისას, როცა მთის პირველყოფილი შეციებული ქარი დაბერავდა ჩვენი ქოხის ქვემოთ, მარად მოხმაურე ჩანჩქერებიანი ხევიდან. მე კი ჩათბუნული ვიწექი, უხეშად გამოთლილ ხის ლოგინში, რაც მაშინ საერთოდ არ მაწუხებდა. ერთი დიდი დღესასწაული იყო ჩვენთვის მარიამობის დღესასწაულის წინა დღეებში ბარად ჩამობარგება, მერე ისევ სკოლაში სიარული, ფეხით რვა კილომეტრის გავლა ყოველდღე“...

მეშველიანების ოჯახში („მაშველ-იანები“) ხუთი ბავშვი იზრდებოდა. სოსო იხსენებს, მამა კი მკაცრად გვზრდიდა, რთული ხასიათის კაცი კი იყო, მაგრამ სილაღე მაინც ბოლომდე შეგვრჩაო. და-ძმებიც, თურმე, ბევრ რამეს თმობდნენ ერთმანეთისთვის. სოსომაც მათთვის, როგორც იხსენებს, ყველაზე ძვირფასი დათმო – სწავლა. ოთხმოცდაათიანი წლები იდგა, ხუთიდან სამი უკვე სტუდენტი იყო.

„ბევრი რამ გვაკლდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საჭმელიც კი. თავმოყვარე ბიჭისთვის კი ეს საშინელი დარტყმა აღმოჩნდა. მეორე კურსზე სწავლას თავი დავანებე და რუსეთში წავედი სამუშაოდ, ჩემი დებისთვის სწავლის დამთავრებაში რომ შემეწყო ხელი. იქით კიდევ უმცროსი ძმა და ჩემი ნაბოლარა დაიკო ელოდნენ ჩემს მოკრძალებულ საჩუქარს“.

სვანეთში ახლა დიდი სახლი უდგათ. მამის სიკვდილის შემდეგ, თითქოს რაღაცის შიშით, უფრო გაგვიმძაფრდა იქაურობის

მიუტოვებლობის სურვილი და კავშირი სოფელთან უფრო გავამყარეთო, ამბობს სოსო. სახლი გადააკეთეს, გაარემონტეს. მთელ ზაფხულს იქ ატარებენ. ზაფხული კიდევ: „საოცრებაა ჩემს სოფელში, ბავშვებით სავსე მოხმაურე ეზოები, ქალაქელი სტუმრები, აქა-იქ უცხოელი ტურისტებიც. ჩემი სახლი სოფლის ცენტრშია, სადაც თავშეყრის ადგილია, სადაც დიდი აუზია, სათამაშო მოედანი, უზარმაზარი კლუბი. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, ეს სახლია თუ სადგური, იმდენი ხალხი მიმოდის, ნახევარს არც კი ვიცნობ“. ზაფხულის გარდა სოსო ისედაც ხშირად ჩადის სვანეთში, მარტო დარჩენილ დედასთან. სამყაროც, რაღაცნაირად უფრო სრულყოფილი ჩანს ჩემი სახლის აივნიდანო.

ზაფხული ადვილია. აი, ზამთარში უნდა გენახათ იქაურობა. მაშინ, როცა სოსო პატარა ბიჭი იყო. ზამთარზეც დაწერა და იმ ლექსს ვარლამ შალამოვის სიტყვებიც წაუმძღვარა „მე იმდენად ვწერ ლაგერზე, რამდენადაც ეგზიუპერი ცაზე, მელვილი კი ზღვაზეო“:

„აი, ერთი მთიანი, ყრუ სოფელი, მანამდეც რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, უშუქობა, უგზოობა, უტრანსპორტობა, ზოგჯერ რომელიმე ნივთი თუ შეგვახსენებდა იმ ეპოქის არსებობას, რომელსაც, წესით, ვეკუთვნოდით. თითქმის ხუთთვიანი მკაცრი ზამთარი, ყელამდე თოვლი. ასე ერთ ადგილზე დაგუბებულს ვერც წიგნებში ქექვა მიხსნიდა დამყაყებისგან, ამიტომ მეც ავყევი უსაქმურობით გალოთებულ სოფლის ბიჭებს, სიგარეტის ნაცვლად რომ პლანს ეწეოდნენ, რადგან უფილტროც არსად იშოვებოდა. ავყევი, ოღონდ სმაში და მოწევაში ნაკლებად. იმაში, რაც ჩემთვის მაშინ ერთადერთ თავშესაქცევად იქცა, რაც ჰაერზე მეტად მჭირდებოდა დეპრესიისგან თავის დასახსნელად. ეს იყო მამლების ბრძოლა, ძაღლების ჩხუბი, ხარების ჭიდილი. ვხედავდი, თუ როგორ არ ზოგავდნენ თავს ეს უდანაშაულო არსებები ჩვენი გართობისთვის...“

მაგრამ ეს უკვე დიდი ადამიანის ტექსტია. მერე დაწერილი. ბავშვობა მაინც უფრო სასიამოვნო მომენტებს ამოატივტივებს ხოლმე. სოსოს სახლთან, მის ბავშვობაში, კოლმეურნეობის დიდი ფარდული ყოფილა, შემოდგომაზე იქაურობა სიმინდით ივსებოდა. ყველაზე კარგად სიმინდის ამ პატარ-პატარა გორაკებზე სირბილი და კოტრიალი ახსოვს – როგორ ჭიდაობდნენ და მარხავდნენ ერთმანეთს ბავშვები ნაქურჩალში. კიდევ, სოფლის მდინარის გუბეზე სიარული, დამშეულები როგორ წვავდნენ ნაკვერჩხლებზე მოპარულ სიმინდის ტაროებს. და რაც დრო გადის, ეს მოგონებები უფრო ტკბება.

მერე იყო ქუთაისი და სტუდენტობა. კარგი ბევრი ვერაფერი გაიხსენა. სულ პირიქით, თქვა სოსომ, სულ ცუდი მოგონებები მაკავშირებს მაგ პერიოდთანო. უფულობის და უკიდურესი გაჭირვების გარდა, გზიდან გადაცდენის საფრთხეც დიდი იყო. გარშემო კი საშინელი განუკითხაობა. იძულებითი ემიგრაციაც – პირველად რუსეთში – ამას მოჰყვა. ესპანეთი უკვე არჩევანი იყო – თუ წასვლაა, იმ ქვეყანაში მაინც წავალ, რომელიც ასე მიყვარსო, უთქვამს მაშინ სოსოს და წავიდა კიდევ სერვანტესის და გაუდის სამშობლოში.

„ჩემს ყმაწვილკაცობაში, დონ კიხოტის წაკითხვის შემდეგ, ხშირად მესიზმრებოდა ლამანჩელის ქვეყანა, ისე სასწაულად განვიცადე ის ყველაფერი. შემდეგ, როცა ტოლედოში მოვხვდი, კუენკას მინდვრების გავლით, ვიცოდი, რომ აქ, სადღაც ტობოსო იყო, დულსინეას სოფელი. ისეთი სევდა მომაწვა, ქვაზე ჩამოვჯექი და ავტირდი. მერე ერთ პატარა ლექსში ჩემი ტირილი დონ კიხოტს დავაბრალე: „ყველას ღიმილს ჰგვრი, მე კი ვკვნესი, შენ რომ ტოლედოს ციხის ნაშალთან ჩამომჯდარი ბავშვივით ტირი“.

პირველად ბარსელონაში მოხვდა, კატალონიაში. თავიდან საშინელ პირობებში ცხოვრობდა, მერე ცოტა გამოკეთდა და როცა ნელ-ნელა უკეთესობისკენ წავიდა, საქართველოში დაბრუნდა. ორი წლის შემდეგ კი უკვე ბასკეთში ამოყო თავი

და ბილბაოში დასახლდა. ამჯერად ძმაც თან ჰყავდა. დღემდე, საქმე თუ გამოჩნდა, მიდი-მოდიან გაურკვეველი ვადით. შრომობენ.

„ძირითადად დაკიდულ ჭერებზე ვმუშაობთ, მერე ჩვენს გაკეთებულს ჩვენვე «ვშპაკლავთ» და ვღებავთ, ასე უფრო კარგ ანაზღაურებას იძლევიან. იქ სულაც არ არის ძნელი, რამე პატარა

სამშენებლო კომპანია გავხსნათ ამ საქმის ასეთმა მცოდნე ადამიანებმა, მაგრამ ასე უფრო თავისუფლად ვგრძნობთ თავს, როცა გვინდა, მივდივართ, მერე ვბრუნდებით“.

წერა კი. წერის დრო ცოტა გვიან დადგა. უფრო სწორად, ნაფიქრის წერად ქცევის დროს დააგვიანდა, თორემ, როგორც სოსოც ამბობს, მასში სულ რაღაც ხდებოდა, აი, შინაგანად რომ რაღაც გაფორიაქებს და გარეთ დათქმულ დრომდე ვერ გამოდის. ხატვა უყვარდა, მაგრამ დღეს იხსენებს,

აუტანელი სიმორცხვის თუ რაღაც უაზრო კომპლექსების გამო ვერც ვერავის ვუმხელდიო. თურმე, თუ ვინმე სადმე გადააწყდებოდა სოსოს ნახატებს, ვერც კი წარმოედგინათ, ავტორი ვინ იყო. არც თავად ზრუნავდა დიდად საავტორო უფლებების მოსაპოვებლად. ასე ჩუმად დაიწერა ის პირველი ლექსიც, კლასელ გოგოზე, ვისზეც შეყვარებული იყო. და მერე, როგორც ხდება ხოლმე, კლასელმა ბიჭმა „ჩაუშვა“:

„ლექსი დავხიე, ის მივბეგვე და საერთოდ დავივიწყე ყველაფერი. მოგვიანებით, როცა დავრწმუნდი, რომ ხატვა ბევრ საჭიროებას მოითხოვდა, ისევ ლექსების წერა დავიწყე, თუმცა აზრადაც არ მომსვლია თხუთმეტი თუ ჩვიდმეტი წელი ვინმესთვის წამეკითხა (იმ გარემოში ამას აზრიც არ ჰქონდა). მოგვიანებით ყველაფერი შემთხვევით მოხდა“.

ალბათ, ასე „ძნელად“ რომ გამოჟონა და გამოააშკარავა, მაგის ბრალია, დღეს როგორც იხსენებს სოსო მეშველიანი თავის პირველ პუბლიკაციას ლიტერატურულ პრესაში – პირველ გამოსვლას, გამოაშკარავებას – თუ ოდესმე ღრმა სკლეროზი დამემართა, ეს, ალბათ, ერთადერთია, რაც არასოდეს დამავიწყდებაო, ამბობს და იმ უცნაურ განცდას იხსენებს, რაც რედაქციაში მისულს პირველად ჰქონდა – დაბნეულობა, აღელვებისგან დაოფლიანებული ხელისგულები:

„შემდეგ როცა გზაში „ცისკრის“ ის ნომერი ვიყიდე, სადაც ჩემი ლექსები იყო, მეგონა, მთელმა ავტობუსმა იცოდა ეს ამბავი, იმ გვერდზე გადაშლა მეუხერხულა, სადაც ჩემი

ფოტო იყო. ამას წლების მერე კრებული მოჰყვა, მანამდე ჟურნალ „ჩვენი მწერლობა“-ში გაკეთებულ პუბლიკაციას მაკა ჯოხაძის გამოხმაურება, კრებულზე მაია ჯალიაშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი იმავე ჟურნალში, ასევე, პოეტმა მანონ ბულისკერიამ ძალიან კარგი კრიტიკული ანალიზი. მანამდე პირადადაც არ ვიცნობდი მათ, ამიტომ მათ გულწრფელობაში ეჭვიც არ შემპარვია. იყო გიორგი ლობჟანიძის რეცენზია – რადიო თავისუფლებაში... რაც შეეხება მკითხველის სიმრავლეს, არა მგონია ბევრი მკითხველი მყავდეს და ეს არც მაწუხებს, ამ ბოლო დროს ისეთ სულელურ რაღაცაზე ატყდება აჟიოტაჟი, ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ“.

პირველი კრებული ჩვიდმეტწლიანი ყოყმანის შემდეგ დაბეჭდა, მეორე, ასევე პატარა კრებული, სამი წლის შემდეგ დაისტამბა. მერე ლიტერატურულ პრემია „საბას“ ნომინაცია იყო და თბილისის საკრებულოს პრემიაც. მკითხველი რამდენად მომიმრავლდა არ ვიცი, მაგრამ ნებისმიერ შემოქმედს ახარებს ეს ყურადღებაო, ამბობს სოსო ზედმეტი კეკლუცობის გარეშე.

„და კონკურსებიც, იყოს. ეს მაინც იყოს, რაც არის და როგორც არის. მთავარია, კონკურენცია, ისევე, როგორც სხვა რამეში. გაიცეს და გაიხაროს ვინმემ ამ დედაატირებულ ქვეყანაში, სადაც უკანასკნელ მათხოვრად მაინც პოეტი და მწერალია მიჩნეული, თან, მართლა პოეტი, თუნდაც დიდი პოეტი“.

ლექსებს დღემდე ზეპირად წერს. ჩემი აბდაუბდა ცხოვრების გამო, ხან საწერი არ მქონდა, ხანაც კიდევ დროო. საზეპიროები კიდევ კარგი გამოსავალი იყო. დააგროვებდა ორ-სამ ლექსს და გადაიტანდა მერე ფურცელზე. ხანაც ავიწყდებოდა, ის კი მოდიოდა და მოდიოდა და ზოგჯერ „თავში ისე იხლართებოდნენ, როგორც კვახის და ლობიოს ბარდი ერთმანეთში“. დღემდე შეუძლებელი ჰგონია ტექსტის პირდაპირ კლავიატურაზე აკრეფა.

თავიდან თითქოს მისი პოეტობის მიმართ დამოკიდებულებაც რაღაცნაირი გულგრილი იყო. მარტო მის სოფელში კი არა,

ოჯახშიც. იყო ისეთი დღეებიც, საშინლად რომ განიცდიდა ამას, მერე გაიარა. დღეს ბუნებრივად უხარიათ ჩემი ყველა წარმატებაო, გვიყვება სოსო. დღეს უკვე წერის გარეშე არსებობაც არ წარმოუდგენია.

„რა უცნაურია! როცა გინდა, რომ დაიკიდო და ვერ ახერხებ, როცა იცი, რომ ეს მხოლოდ ცხოვრებას გირთულებს, როცა ასე უცხოვდები ყველაზე ახლობელი ადამიანებისთვის, როცა შეგეძლო, ამის გარეშე უფრო კომფორტულად, ლაღად გეცხოვრა, და ა.შ. შენ კი წერ და წერ, ამ ყველაფერს იაზრებ, საშინლად გულმოსული ხარ საკუთარ თავზე, აგინებ, წყევლი, გინდა ჩაკლა, დაასამარო შენში, არაფერი გამოგდის, მოდის და წერ“.

მაინტერესებდა და ვკითხე, ასეთ მკაცრ, ტრადიციულ ოჯახში გაზრდილს, ხომ არ გაგიჭირდა ზოგ თემაზე წერა, ზოგსაც კი გვერდი განგებ ხომ არ აუარე-მეთქი. კი, მართალია, ასე მზრდიდნენ, მაგრამ თავიდანვე დაუმორჩილებელი ვიყავიო, სოსომ. ტაბუების არარსებობა ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობას ართულებდა. მაგრამ მაინც უფრო მეტს თმობს, როგორც მწერალი:

„კი, ასეა. დღემდე ვერიდები მათ გაღიზიანებას, ბევრ რამეს გვერდს ვუვლი, შეგნებულად არ ვწერ ასეთ თემებზე, მაგრამ ვიცი, რომ როცა იქნება, აუცილებლად დავწერ. რომ არ დავწერო, ალბათ, გული გამისკდება, ისეთი მოულოდნელი, წარმოუდგენელი რამეები მოხდა იმ კაცის თავს, ვინც ისე დაკაცდა და მიუახლოვდა შუა ასაკს, ქართველ ქალთან სერიოზული ურთიერთობა არც ჰქონია. და წლების მერე, როცა სამშობლოში ბრუნდება, რა აბსოლუტურად მცდარად და სულ სხვაგვარად წარმოუდგენია ქალთან ურთიერთობა და რა შოკის მომგვრელი აღმოჩნდება მისთვის ის ყველაფერი, რაც თავს გადახდება“.

სურვილების სიაში საბავშვო ზღაპრების და მოთხრობების წერაც ურევია. თუმცა, ჯერ რატომღაც ვერ გარისკა. არადა, ამ აღმა-დაღმა ხეტიალში ისეთი მასალა დაუგროვდა თურმე, გამოგონებაც არაფრისა დასჭირდება. ფანტაზიის უნარს კი არ ვუჩივიო, ამბობს სოსო. დადგება ალბათ მაგის დროც. დაწერს პატარებისთვის. თან, თავადაც ორი პატარის მამაა – მათთვისაც ბევრი ექნება მოსაყოლი. თუ საქართველოშია, დღეებიც მათით არის სავსე. შარშან მთელი ორი თვე მარტო ჰყოლია სოფელშიც წაყვანილი.

თუ ისევ სამუშაოდ გადაიხვეწება ხოლმე, დილის შვიდიდან საღამოს რვამდე ფიზიკურად მუშაობს. ხშირად, შაბათ-კვირასაც ასეა და როცა კი დასვენების წამი გაჩნდება, გადმობერტყავს ხოლმე ნაფიქრ-დაწერილს.

შენ რა გიყვარს-მეთქი, თანამედროვე ლიტერატურაში, ვკითხე სოსოს. ასე მიპასუხა: **„თვითმყოფადობა ხომ აუცილებელია, მაგრამ რაღაცნაირი თავდაჭერილობა, სხვისი წარმატების სიხარული, უაზრო ტაშის არ აყოლა, ზომიერება ეპატაჟში, ღირსეულად მოქცევა (მაშინაც კი, როცა ასე უაზროდ ჩაგიხვევს მკითხველი და ღვინოს წყლად გაქცევს). რა**

ვიცი, ბევრი რამ, რაც ასე საჭიროა და გვაკლია, თან თავი ისე გვიჭირავს, თითქოს ამას ვერ ვხვდებოდეთ“.

ერთხელ, სოსომ თქვა, ემიგრაციაში ყოფნისას სიტყვას შევეფარეო. მაშინ შეიძლება ასეც იყო. და ალბათ, იმ მომენტში სოსო მეშველიანი ვერც იფიქრებდა, რომ გავიდოდა წლები და მისი გადამრჩენელი სიტყვები ახლა სხვა ადამიანებს, მის მკითხველებს შეიფარებდნენ.

ლექსები

გამონაკლისი

«მე იმდენად ვწერ ლაგერზე,
რამდენადაც ეგზიუპერი – ცაზე, მელვილი – ზღვაზე»
ვ. შალამოვი

იმ მკაცრ ზამთარში,
ხშირად, ყინვით გამომშრალ თოვლს რომ
ქარი ახლიდა სარკმლის მინებს და საკვამურებს,
მშიერი მგლები გარშემო რომ უვლიდნენ სოფელს
ყმუილით და ხმის ჩახლეჩვამდე ყეფდნენ ძაღლები,

იმ მკაცრ ზამთარში,
ღამღამობით, ასე ცალ-ცალკე
გაიტყუებდნენ ხოლმე მგლები მოზრდილ ქოფაკებს
ხევის გადაღმა, გოლაის ან თხვარშილის ტყეში,
და ცოტა ხანში აღარაფერს ტოვებდნენ მათგან,
ძვლებსაც ხრავდნენ და სისხლით დასვრილ თოვლსაც
ღეჭავდნენ
და ულოკავდნენ წაგრძელებულ დინგებს ერთმანეთს.
მერე ცოტა ხნით ყუჩდებოდნენ, ირინდებოდნენ.

იმ მკაცრ ზამთარში,
ღამე, ყინვით შეჭირხლულ სარკმელს,
მთელი სიავით აწვებოდა ქარი გარედან
და მთელი ღამე, ვიდრე მამლის დაყივლებამდე,
შორს, ტყის სიღრმიდან მაინც ხმობდა ღამის ფრინველი
და ტანში მცრიდა მთვარის შუქზე, როცა ვერცხლისფრად
ბზინავდნენ ხევში გაყინული ნაკადულები.

ანდალუსიური კაპრიჩიო

ვეგეტერიანელ ანტონიო ჰერედიას,
გვადალკვივირელ...

უფრო სწორად, კორდობელ მევენახეს,
შეეძლო ესაუბრა მუსიკაზე, როგორც ფეხბურთზე,
ან, ეროვნული კერძების რეცეპტზე.
სენსანსზე და ეუსებიოზე ერთდროულად,
იმაზეც, რაც ყოველთვის სძაგდა,
ნაციონალურ ღორის ხამონზე.
სხვა რამეზეც შეეძლო საუბარი,
მაგალითად, სურბარანზე,
სურბარანის ფრანცისკეზე,
ცხოველების მფარველ წმინდანზე,
მისით იწყებდა და ამთავრებდა მწუხრის ლოცვებს,
ვეგეტერიანელი ანტონიო ჰერედია.
ვინც ყოველ დილით,
ახლად დაწურულ ფორთოხლის წვენს სვამდა უზმოზე.
ახლოს მდებარე კაფე-ბარში,
სადაც ყოველთვის,
თამბაქოს კვამლში გახვეული იჯდა დონ პედრო,
სან-ავგუსტინის ეკლესიის ნაპასტორალი,
ყავას წრუპავდა – ეცნობოდა სტატიებს პრესის,
აბოლებდა და უკვე კარგად ჩასუქებული,
თითით აცლიდა სიგარას მსხვილ ფერფლს.
ჰერედია კი, გაუნძრევლად იდგა ყოველთვის,
მძიმე ფიქრებით დახუნძლული –
მომაკვდავ ცოლს რომ,
ვერ უკითხავდა ესპრონსედას «fragmento sexto»-ს,
თითქმის ნახევრად დაბრმავებული:

– ჩვენს სახლთან ტბაა, სახლის უკან ტყეა კედარის,
ცოლი მყავს ავად, ტკივილები აწუხებს მწველი.
ჩიტებს აპურებს აივანზე, თუ უკეთ არის,
ყვავილებსაც რწყავს, ბაღსაც უვლის და თხებსაც წველის.

ხან წყევლას უთვლის სარკმლის მინებს მომწყდარ მოსკიტებს,
ნესტიან ქარში რომ ირხევა ბაღი ლიმონის.
სჯერა მარადი სიყვარულის, რადგან დროს კიდევ
დღემდე შემორჩა პელაგიას და ფილიმონის

მითად ქცეული სიყვარულის, გრძელი ამბავი,
მათ ხსენებაზე, მიჯნურები თვალებს ნაბავენ.
და არც ის ცხრება, სანამ სენი სულ არ გამოხრავს

მის ლამაზ სხეულს, თითქოს სულს რომ ჰკიდია ძაფით.
მღერის, იღიმის, ის ჩემსავით ჩუმად არ ოხრავს
და ეს ღიმილი, სასწაულად მძაფრია, მძაფრი.

სკერცო

რბილ ლოდზე ვზივარ,
გაქვავებულ თოვლზე დგას ძაღლი,
სქელი ხავსი თუ ქარაგოზი[1]
აკრავს კლდოვან ტევრს.
ნაძვის ქერქიდან წყალი წვეთავს,
მიწამდე დახრილ
ტოტებზე ქარი გამოაშრობს
წიწვებს და გირჩებს,
მაღალ ბუჩქებში შაშვი ქექავს
თაგვების დახრილ
თხილის ნაჭუჭებს,
გამუდმებით რაღაცას ეძებს...
რბილ ქვაზე ვზივარ,
გაქვავებულ თოვლზე დგას ძაღლი,
მიშტერებული, ქარით ოდნავ შერხეულ ძეძვებს.

* * *

«სიბრალული ზოგიერთი ადამიანის მხრით მომწამვლელი და შეურაცხმყოფელი მოწყალებაა.»
შარლოტა ბრონტე

– მაინც რით დავიმსახურე?!
მთვრალზე თუ გამოსცრის სიბრაზით აკაწკაწებულ კბილებში
და ძლიერად გაიქნევს საღ მკლავს ჰაერში.

აი, ისიც!
ხელგამხმარი კეთილი გლეხი,
ოცი წელია, მარცხენათი რომ იწერს პირჯვარს,
თვით ღმერთისგანაც უარყოფილი
(სამი ვაჟიდან მხოლოდ ერთი დარჩა ცოცხალი)
ამოიჩრის თოხის ტარს იღლიაში
და ასე დაჩოქილი თოხნის ყანას.
თითქოს თოხი მკლავად ჰქონდეს გამობმული,
ცელიც, ბარიც, ნაჯახიც...
კბილებით არჩევს სიმინდის ტაროს,
თხილის ნედლ წკეპლას პირით აცლის დაძარღვულ
ფოთლებს.
ახლა იმ მგელს ჰგავს,
რომელმაც ხაფანგს შეატოვა წინა კიდური,
ხაფანგს, რომელიც მან დაუგო ნაწორის ტევრში.
წელი არ გავა, ზამთრის პირზე არ მოაკითხოს,
ნიშნის მოგებით არ შეჰყმუვლოს მრუდ ფაფხებიდან.
და აი, ისიც!
ხელგამხმარი კეთილი გლეხი,
ვინც მარცხენათი იწერს პირჯვარს,
თვით ღმერთისგანაც შერისხული, უარყოფილი.

სოფელი ელორიო

წვიმა ხომ წმინდა წყლის მუსიკაა,
წვიმს და ღამე მაინც თბილი არის.
ელვა ირეკლება ვიტრინაზე
«ბანკო ბასკონია»-ს ფილიალის.

ხმაურობს კაფე-ბარი «კოსტა-რიკა»
თითქმის ყოველღამით, ამ დროზე ის
სავსეა, ახლომახლო ბოსტანიდან
ქარს მოაქვს სუნი სველი ამბროზიის.

იტყვიან: «როგორც ჩვილის ყიფლიბანდი
ფეთქავს ეკლესიის გუმბათი» და

თუმცა ახლა ღამის მესა მიდის,
ჩემთვის არ იცვლება არაფერი,
მათთვის ხვთის რისხვაა ეს ამინდი.

ბავშვობის მეგობარს

რა ტროტუარი, ბაილ, რა ქუჩა!
აქ ორღობეა და კაკლის ჩერო.
მზე, აივანი, და ნედლ ნაქურჩალს
ის სურნელი აქვს, ოდითგან ჩვენ რომ

გვიყვარდა. ასე ბევრი ჩვენსავით,
კი იგრძნობს – ლექსად, ვერ, ან არ იტყვის.
გვიყვარდა სველზე მოკრეფა მაყვლის
და გარინდება ნაწვიმარი ტყის.

* * *

შენც წერ ჯიუტად, თუმც კი იცი,
არ ღირს გროშადაც
რასაც წერ, ასე გაუცრელად, რასაც როშავ და
იმდენს კი ხვდები, თუ ვინ უწყის ყველაზე უკეთ,
ცოდვებს სულიდან
ლექსებით რომ ვერ ამოშანთავ.

* * *

სჭირდება თურმე უღრანივით
ფიქრს გამოხშირვა,
როგორც ჰაერი,
ისიც იწოვს მიწის ოხშივარს.
ირხევა ყანა ნაწვიმარი,
ხოლო გარშემო,
შრიალებს ტყე და გარეთ მზეა,
მე კი ქოხში ვარ.

* * *

ცრემლების ყლაპვით
ალბობ ყელში გაჩხერილ ბოღმას,
უსმენ ძილ-ღვიძლში
ჭოტის კივილს, ქოფაკის ბოხ ხმას,
ჩვენი სიზმრების მოულოდნელ გადაკვეთაზე
ვდგავართ მხარდამხარ,
შენ ტყეს უმზერ, მე – ფიჭვის ქოხმახს.

* * *

ამ ციცქნა ლექსში,
ხან პატარა სევდას ჩატევ, ხან
ნაწვიმარ ფოთოლს,
დაშლილ ბუდეს. დღე თუ მჩატე ხარ
ფიქრო, ამ ღამის სიშავეში ისე მძიმდები,
მგონია, მამის სამარესთან მიწას ჩატეხავ.

* * *

ეს დასეტყვილი ფოთლებია,
ჭარხლის, ბოლოკის,
ტყე გაირინდა, დატბორილი მინდვრის ბოლო კი
ჩამავალ მზეზე ალაპლაპდა და იწყებოდა
ანდალუსია, ჩემი ყველა სიზმრის პროლოგი.

* * *

მშიერ მგელს ვირი ესიზმრება,
მე კი, ბავშვობა.
ერთხმად შევყმუით ცარიელ სულს –
ცარიელ სტომაქს.

* * *

შენ სასტუმროში ათევ ღამეს
მე ღია ცისქვეშ –
რა თავი მოგაქვს ხუთი ვარსკვლავით.

* * *

მომეცით ჯოხი, უბრალო ჯოხი
მაწანწალას
და გზა გამავალი ჰორიზონტზე.

* * *

სრულყოფილებით დაშაქრული ზაფხულის ღამე,
ზეცას რომ გადამწიფებული ვარსკვლავი მოწყდა,
ჩაიშხუილა მსხლის ნაყოფმა ბნელ სიმინდებში.

* * *

სავსე მთვარის დისკო, ქინქლების გუნდი,
შხამიან სოკოზე მიმხმარი ლოკოკინა –
3D – ფორმატის ხარისხზე უკეთ ჩანს,
კუნძზე შემომდგარ მგლის თვალებიდან.

ხე

სახლის უკან რომ ბლის ხე დგას,
ყანის და ქარაფის გამყოფზე,
ნახევრად შიშველი ფესვებით.
უკვე, სიკვდილისკენ გადახრილი,
ადრე რომ ჩრდილით ძლივს სწვდებოდა,
ქარაფის კიდეს,

ახლა პირდაპირ ხახაში დამზერს,
ასე საშიშად პირდაფჩენილ ნაშლიან ყაფარს.
ბაბუაჩემის დამყნილი ბალი,
რა ტკბილად ხარობს, მწარე ბლის ვარჯზე.
ჩიტის სკინტლიდან აღმოცენდა, რომლის საძირეც,
დგას ახლა ჩემი სახლის უკან, ვეება ბლის ხე
დაჰყურებს ქარაფს, მოჟივჟივე ჩიტებით სავსე.

შინდაბრუნება ღამით

ამ კარს მიღმაა შენი ძველი ოთახი,
ლუქსი.
ამ აივნიდან, ვარსკვლავებსაც ეთამაშები
და ხედავ ახლა, ფანჯრის ყვითელ გამონაშუქზე
ხის ბნელ ფოთლებში,
როგორ მოჩანს მწვანე ვაშლები.

წრიალებ, ცქმუტავ,
იმდაგვარად, ძილში რომ შია
ჩვილს და შენც ასე,
თითქოს დრო და სივრცე არ გყოფნის.
აი, წმინდა ხე! ბარბალესთვის ეს ხომ კომშია,
რომლის სუსტ ტოტებს
მიწამდე ხრის მძიმე ნაყოფი.

* * *

„განა არ იცი, რომ ეს ლურჯი ზამბახის სახელია?!»
ჰ. ჰესე „ირისი»

შეეხიზნები სიზმრებში ლაკშმის,
სად არც ქარი და არც წვიმებია.
სადაც გაშლილი ზამბახის ყელში,
რაღაც კეთილ სულს ჩასძინებია.

იმდენს კი ხვდები – არ ხარ მესია –
გარიდებული ცხოვრების დრამებს.
იფიქრე, იქნებ ამ ხარვეზიან
სიმარტოვესაც ეშველოს რამე.

აქ, ნელთბილ ბინდში ყვითლად ანათებს,
ზარისებური ყვავილი გოგრის.
რაც თითქოს ჭირად გდევდა მანამდე,
ბოლოს სწორედ ის...
რაც ღიმილს მოგგვრის

ამონარიდები

სოსო მეშველიანი დიდი ხანი არ არის, რაც გამოჩნდა ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ უკვე მიიქცია ყურადღება თავისი პოეზიის როგორც ფორმის, ასევე შინაარსის და, რაც მთავარია, ახალი პოეტური აქცენტების მეშვეობით. აქცენტი სოსოსთან, სწორედაც რომ, გადამწყვეტია. ის ცხოვრებაშიც ასევე საუბრობს: გამოკვეთილი სვანური კილოთი, თითქმის ბორძიკ-ბორძიკით, მაგრამ ზუსტი აზრობრივი და ემოციური მახვილებით.

მე კარგად მახსოვს მისი სულ პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები, მაშინვე გამორჩეული და საერთო ფონიდან ამოვარდნილი, ამას წინათ გამომცემლობა «ინტელექტში“ დასტამბულმა მისმა კრებულმა კი კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ქართულ ლიტერატურას ახალი, გამოკვეთილი ხმა და მნიშვნელოვანი პოეტი მოევლინა.

[...] წიგნს ეტყობა, რომ დიდი შინაგანი და ფიზიკური ემიგრაციის ნაყოფია, ერთგვარი სულიერი მსხემობის შედეგი, როცა პოეზიას, როგორც ლოცვას, სულის გამაძლიერებლის ფუნქცია ენიჭება და ის ცხოვრების რაღაც მონაკვეთში ადამიანის ერთადერთ რეალურ თავშესაფარს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი არც ის არის, სად იქნები – უცხოეთში თუ მშობლიურ ჭერქვეშ, სადაც შენი ან სრულებით, ან კარგად არ ესმით და ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეგებ მარტოობა უფრო აუტანელიც იყოს, ვიდრე სადღაც შორს, უცხოტომელებში.

ამიტომაც სოსო მეშველიანის ლექსების ლირიკული გმირი გაუცხოებული, უფრო სწორად, თემისაგან განსხვავებული ადამიანია და მისი პრობლემაა ერთგვარი მენტალური უმცირესობა, რომლის მარტოობაც კიდევ უფრო აუტანელია, ვიდრე სხვა ნებისმიერი უმცირესობის, რომელსაც ამა თუ იმ ნიშნით მაინც შეუძლია რომელიმე ჯგუფთან საკუთარი თავის იდენტიფიკაცია და თვითრეალიზება მოახერხოს.

საქართველოს მთიან სოფელში მცხოვრები ახალგაზრდა კაცი კი, რომლისთვისაც პოეზია სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთი მისაღები ფორმაა, უკვე თავიდანვე დიდი მარტოობისათვის არის განწირული. ამიტომაც ის ტრაგიკული სიმაღლე, რომელიც, ჩემი აზრით, ნამდვილი პოეზიის აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს, სოსო მეშველიანის ლექსებში არა გარედან თავსმოხვეული, არამედ შინაგანი კანონზომიერებით ნასაზრდოები და თითქმის დაბადებიდან თანშეზრდილი სინამდვილეა. ამ სინამდვილეში შეგიძლია ლექსს, მაგალითად, «ლობიოს ლურჯი ყვავილი“ დაარქვა და ეს ლექსი მამის ხსოვნას მიუძღვნა. ანდა დედაზე ასეთი მოულოდნელი სტრიქონები დაწერო:

«ნაჯაფარ ხელებს წვიმას უშვერს – არსებობს, არის, ტანჯვით ცხოვრება ღმერთისაგან აქვს ნაბრძანები, სად დედაჩემის ხელისგული, საწყალი ქალის, სად დაგვალული მიწის ბზარები“.

სოსოსთან ეს პირველადი, ერთი შეხედვით, ძალიან ნედლი შეგრძნებებია ყველაზე ფასეული. ბუნებასთან ეს დაუძაბავი თანაზიარობა, რომელიც ხანდახან ისეთ მიწიერ და ხელშესახებ ფორმას იღებს, რომ ლამის მთელ სამყაროსთან სექსუალური აქტის, უფრო ზუსტად სამყაროთი სექსუალური გათანგულობის შეგრძნებას გიტოვებს.

გიორგი ლობჟანიძე

* * *

სოსო მეშველიანის პოეზია ჩემთვის ძალიან გასაგები და ასე ვიტყვი – თვალსაჩინოც კია. ეს არ არის განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ჩვენ ერთი თაობა ვართ. ამ გარემოების მიზეზს სოსო მეშველიანის ყოველგვარი მანერულობისა და პოზირების გარეშე გამჟღავნებაში ვხედავ. ის გულახდილი და მართალი ავტორია, რომელსაც არ

სჭირდება ზედმეტი მიმიკების (გნებავთ – ფერების) მოხმობა, თავს წაგაკითხებს და დაგამახსოვრებს. უმთავრესი კი სათქმელია, რომელსაც უბრალოდ კი არ ხვდები, არამედ განიცდი კიდეც. და როცა ამ მდგომარეობაში ხარ, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ახერხებ, ჩაწვდე შენი მთავარი წამბიძგებლის ჩანაფიქრს და ცდილობ, გაუწიო ანგარიში.

[...] გონების თვალსაწიერზე მონიშნული საკმაოდ ვრცელი გზა ნამდვილად გამოიკვეთება სოსო მეშველიანის შემოქმედებაში. ის მუდმივ მოძრაობაშია და, ერთი შეხედვით, არც აინტერესებს, სად მიიყვანს ეს დაუოკებელი სწრაფვა, კონკრეტული ადგილი არც ეგულება თითქოს, მაგრამ, ამავე დროს, დარწმუნებულია – მოწონების ყველა საფეხურზე დახვდება მკითხველს თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გარე სამყაროსთან, თავისებური ლირიზმით, მკვეთრად გამოხატული ფორმით, საგულისხმო ხმითა და საინტერესო შინაარსით.

[...] თუკი სიტყვას – «მოდერნისტული” – დღეისათვის მთლიანად არ დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა, როდესაც ის ალბათ «თანამედროვეს” გულისხმობდა და არა კლასიკურ მწერლობასთან რაღაც დონეზე დაპირისპირებულს, სოსო მეშველიანის პოეზიას სწორედ აქ ვხედავ. და თუ მაინც ვინმე შემედავება ამ ტერმინის დღევანდელ მნიშვნელობაზე, შემიძლია პირდაპირ და გარკვევით ვთქვა: სოსო მეშველიანი არის პოეტი, რომელსაც თავის გზაზე ვერ აბრკოლებს ვერანაირი წინაღობა და გეზი, რომელიც აუცილებლად ითვალისწინებს მომავალს, უდაოდ საგულისხმოა. სოსოსთან თითქმის არ არის პირობითი ნიშნები, სიმბოლოები, მისთვის მიუღებელია მანერულობა...

[...] ის საინტერესოდ აღიქვამს დროს, აქვს ზომიერი ინტრიგა, სადაც აუცილებლად «ინდობს” მკითხველს და რაც საგულისხმოდ მიმაჩნია, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ქართულ ლიტერატურაში, მისი არცერთი სტრიქონი არ სცდება ზნეობის არეალს.

მანონ ბულისკერია

* * *

თითქოს ომში მიდიოდეს – ისე მიდის ხოლმე სამშობლოდან; შორიდან ლექსებს იწერება წერილებივით. შინ დარჩენილ ცოლ-შვილს, და-ძმებს, ძვირფას დედას სევდიანად ეხმიანება. ამ ლექსების ენერგია მის თავგადასავალს მთლიანად იტევს. ყველაზე მშვიდ წუთებშიც, როცა თითქოს პოეზია არსაიდან და არსაითკენ, უბრალოდ უნდა გადმოიღვაროს – მაშინაც კი შინაგანი მზერით დაძაბულია – გულის თვალი აქეთ მოურბის. ყველა ლექსს ადრესატი ჰყავს, ყველა ლექსი ამ ძნელ გზაზე, როგორც უდაბნოდან აღთქმული მიწისკენ – ზურგის ქარითაა გამოდევნილი. ხმაურიანი მეგაპოლისები. მათი ფითრი და უმიზეზო უგუნებობა. ნეონების მჭახე შუქში ალაპლაპებული უცხო ენა და სისხლში ძველი ტყვიასავით ჩარჩენილი მშობლიური ანბანის სევდა... ეს სოსო მეშველიანის პოეზიაა: მარადისობის ნაღვლიანი მგზავრული.

ნინო სადღობელაშვილი

* * *

ფატალისტური კონცეფციის მქონე ლექსია „მიჟლაჰარ“, რაც სვანურად მზის ჩასავალ ადგილს აღნიშნავს.

„ჩემი სრულყოფა, გარდასახვა, ლოდინად არ ღირს,
ჩვენს უკითხავად, ღმერთმა თავად დაგვახარისხა“, –

წერს პოეტი. ნისლიანი ტევრების, ბარცხილის ფოთლების, მწვანე, ეკლის ბურთებიანი ლენცოფას ანტურაჟით გაფერადებულია ლექსის უჩვეულო ამბავი. ქოხის წინ ჩამომჯდარი ღმერთი მისი მამაა (მამაღმერთი), რომელიც

თვალებს მალავს. თვალებიც მამის აქვს („მალავს ნაქურდალს“) და თვალდახუჭული ბეწვს უვარცხნის ფოცხვერს. ეს ხილვა თუ ცხად-სიზმარი სენსუალურ ტალღებსა და ბიძგებს იწვევს და წარმართული საკრალური რიტუალების შიშნარევ ღელვას გვაგრძნობინებს. ხარის ბღავილი, მაჯაზე დახვეული ძუაზე აცმული ეშვები, შავ-შავი ცხვრები და ლექსის ლირიკული გმირის, როგორც წარმართული ფესვებიდან მოსული პერსონაჟის, უიღბლო ინტეგრაცია აწმყოსთან, უდიდეს თანაგანცდასა და, ასევე, სევდას ბადებს მკითხველში. პერსონაჟის სისხლი და გენი საუკუნოვანი წარმართული ხედვის განწყობას ინახავს და, ამასთან, მთელი გონებითა და გრძნობით აცნობიერებს ქრისტეს მისტერიასა და სწავლებას. მისი მამა ღმერთსა ჰგავს, ანდა, პირიქით, ღმერთი ჰგავს მამას, და ეს ნახევრადწარმართი ლირიკული გმირი „თვითსიყალბით“ იტანჯება: „ცხვრის ქურქს ვერ მოვერგე. რაც ვიყავი, ვჩანდი ნახევრად“...

„ვარ კი საერთოდ, ღირსი ქების, ანდა გაკიცხვის, ღმერთი დუმს, მაგრამ არც ეგ მიღირს უკანდახევად“.

ნუციკო დეკანოზიშვილი

* * *

სოსო მეშველიანის ახალი წიგნიდან ბევრი ციტატის მოხმობა შეიძლება, რომელიც კარგად დაგვანახებს ავტორის გამორჩეულ პოეტურ ხედვას. კიდევ იმას, რომ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბების, განწყობილებებისა და ხასიათების უჩვეულოდ, თავისებურად გადმოცემა შეუძლია. ოღონდ ესაა, კონტექსტიდან ამოგლეჯილმა, ცალკეულ ფრაზებად მოყვანილმა სტრიქონებმა შეიძლება ის მომხიბვლელობა დაკარგოს, რაც მას ლექსის მთლიან სამოსელში გააჩნდა. სოსო მეშველიანი თავმოსაწონებლად არაფერს წერს. მისი

ყველა სიტყვა განცდილი და ნაგრძნობია, გულში, გონებასა და სულის უღრმეს ხვეულებში გამოვლილი, გამოწრთობილი ურალიდან პირენეიმდე დაქსელილ გზებზე. წიგნში თითქოს ერთმანეთს ერწყმის შინაგანი და ტერიტორიული ემიგრაცია. ეს ორი უმწვავესი განცდა, მძაფრი სულიერი მდგომარეობა, რომელიც ყველგან შეიძლება დაგეუფლოს – როგორც აქ, სამშობლოში, ისე საკუთარი ქვეყნისგან მოშორებულს.

ზვიად კვარაცხელია

* * *

სოსო მეშველიანისთვის პოეზია მზერის გადანაცვლებაა ხილულიდან უხილავისკენ. მერე იმ უხილავის სიტყვებით მოხელთება და წარმოსახვაში იმგვარი ხორცშესხმა, რომ სხვამაც დაინახოს, შეიგრძნოს მატერიალურისაგან სრულიად განსხვავებული პოეტური განზომილება, სადაც ერთმანეთს ეწყვილებიან უცხო, დაშორებული საგნები და მოვლენები და სამყაროც, ასე დაშლილი, დაქუცმაცებული, დაფლეთილი უეცრად აღდგება, როგორც ერთი მთლიანობა, ჰარმონიული და მშვიდი, სიკვდილთან შეგუებული, რადგან გარდაცვალებაც ამ განზომილებაში მხოლოდ და მხოლოდ ცვლილებაა და სხვა არაფერი. ეს ფიქრები აღგვიძრა სოსო მეშველიანის ახალი პოეტური კრებულის «ღამესასწაულის» წაკითხვამ.

წიგნის სახელწოდება ერთსიტყვიანი პოეზიაა, მრავალმნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი. ის დამოუკიდებლად იწვევს ასოციაციათა ნაკადებს, სხვა რომ არაფერი, მხოლოდ ამ სიტყვასთან უკვე სამუდამოდ გაიგივდა ამ პოეტის სახელი. ეს სიტყვა კონკრეტული, ძალიან ლამაზი ლექსის კონტექსტშია დაბადებული, მაგრამ დამოუკიდებლადაც ღირებულია. ჩემს წარმოსახვაში მან გააცოცხლა ხატი «შუაღამის მზისა», რომელიც უფლის სახეა. ყოფის წყვდიადში გასაოცრად სიხარულის მომგვრელია მოლოდინი იმ დიდი სინათლისა, რომელიც სიბნელეს სიყვარულით გაარღვევს. მთავარია,

გჯეროდეს და ფხიზლობდე, რათა არ გაგეპაროს ის წამი, როდესაც ღამესასწაული მოხდება – გაიღება უცხო კარი და შეხვალ შეუცნობელ სამყაროში, რომელსაც მოკვდავნი მარადიულობას ვუწოდებთ.

მაია ჯალიაშვილი

იური ანდრუხოვიჩი (Юрій Андрухович)



დაიბადა 1960 წლის 13 მარტს. უკრაინელი პოეტი, პროზაიკოსი, კულტუროლოგი. დაიბადა უკრაინაში, ივანო-ფრანკოვსკში (სტანისლავში). დაამთავრა ლვოვის პოლიგრაფიის ინსტიტუტი ლიტერატურული რედაქტირებისა და სპეციალური

ჟურნალისტიკის განხრით. ახალგაზრდობაში ლიდერობდა ლიტერატურულ ჯგუფ «ბუ-ბა-ბუ»-ს (ბურლესკი – ბალაგანი – ბუფონადა), რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ავტორები კიევიდან, ლვოვიდან და სტანისლავიდან. ერთ-ერთი ფუძემდებელი უკრაინულ ლიტერატურაში პოსტმოდერნული მიმდინარეობისა, რომელსაც პირობითად სტანისლავური ფენომენი ეწოდა. ამ მიმდინარეობის მესვეურნი აქტიურად ავითარებენ კარნავალური წერის პოეტიკას. 90-ების დასაწყისში ი. იზრიკთან ერთად იწყებს პირველი უკრაინული პოსტმოდერნული ჟურნალის «Четверг» გამოცემას. 1985 წელს ორი პოეტური კრებულის პუბლიკაციის შედეგთა საფუძველზე მიღებულ იქნა უკრაინის მწერალთა კავშირში. 1991 წელს იდეური მოსაზრებების გამო რამდენიმე კოლეგასთან ერთად დატოვა მწერალთა კავშირი და დააფუძნა უკრაინელ მწერალთა ასოციაცია. 80-იანების დასასრულს ცნობილია როგორც თავდაპირველი, ლიბერალური «რუხ»-ის (უკრაინული პოლიტიკური პარტია) აქტიური მოღვაწე. 1991 წელს დაამთავრა უმაღლესი ლიტერატურული კურსები მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში. 1991 წლიდან მოყოლებული იბეჭდება უკრაინის მნიშვნელოვან ლიტერატურულ ჟურნალებში.

წელს იგი მონაწილეა თბილისის მე-2 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის (16-21 მაისი).

„ზიანს ნუ მიაყენებ!“ (ინტერვიუ)

იური ანდრუხოვიჩმა უამბო «ფოკუსს» «დონბასური» და «გალიციური» მითოსის, «რუსული სამყაროს», პოსტმოდერნული ნაციონალიზმის, ბიტნიკებისაგან შეძენილი გამოცდილების, ხალისიანი სერიოზულობისა და იმის შესახებ, თუ რატომ არიდებს თავს მძაფრ გამონათქვამებს.

ვინ არის იგი?

უკრაინელი პოეტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, ესეისტი, ევროპული დონის ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე. პოეტური ჯგუფის «ბუ-ბა-ბუ» პატრიარქი. მრავალი საერთაშორისო ლიტერატურული პრემიის ლაურეატი

რატომ მაინცდამაინც იგი?

თანამედროვე უკრაინული ლიტერატურის პატრიარქს უყვარს სერიოზულ საკითხებზე ხუმრობა, რადგანაც აცნობიერებს, რომ პათოსი ყოველივე ცოცხალს კლავს.

მითოსები და სამყაროები

თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ დონბასმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ეკუთვნოდეს თუ არა უკრაინას. ხომ არ გეჩვენებათ, რომ დონბასის, როგორც დანარჩენი უკრაინისაგან დამოუკიდებელი თვითშეგნების მქონე რეგიონის შესახებ წარმოდგენა მითოსია, რომელიც კრემლის პროპაგანდამ და დონბასის იზოლაციაში დაინტერესებულმა უკრაინულმა ოლიგარქიამ შექმნა?

ამას ძალიან ლამაზად უწოდებთ მითოსს, არადა, იქ ადამიანთა წამება, გატაცება, ღირსების შელახვა ხდება, ტყვე უკრაინელი ჯარისკაცების აღლუმები იმართება. და ამ ყველაფერს მშვიდობიანი მოსახლეობა მდუმარედ უჭერს მხარს: მათთვის ეს «გმირები» განმათავისუფლებლები არიან. ასე რომ, თუკი ეს მითოსია, რეალობა მას მეტისმეტად მყარად ადასტურებს. კრემლის პროპაგანდა? არა, ის უფრო სხვა, საპირისპირო მითოსს კვებავდა – მითოსს გალიციელთა დანარჩენი უკრაინისაგან განსხვავებული თვითშეგნების შესახებ. უკრაინის ოლიგარქია? ვერც ამაში დაგეთანხმებით. არა მგონია, ახმეტოვი – სჯობს ამ უსახელო ოლიგარქიას თავისი სახელი დავარქვათ, – დონბასის იზოლაციაში ასე ძალიან იყოს დაინტერესებული. ჩემი აზრით, მას სხვა რამ სურს: რომ მთელი უკრაინა დონბასად გადაიქცეს.

თქვენი აზრით, «რუსული სამყაროს» მიერ უკრაინაში ჩადენილი დანაშაულები, უპირველეს ყოვლისა, დონბასის რეგიონალური თვითშეგნების თავისებურებამ გახადა შესაძლებელი?

დიახ, საფუძველი მაქვს, ასე ვიფიქრო. მაგრამ ალბათ მაინც არა «უპირველეს ყოვლისა». «რუსული სამყაროს» დანაშაული, პირველ რიგში, თვით «რუსული სამყაროს» აგრესიულმა, დამპყრობლურმა ხასიათმა განაპირობა. დონბასის რეგიონალური თვითმყოფადობა კი ამ აგრესიას ხელსაყრელ ფონს უქმნის.

პეტრე პოროშენკომ მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, რომ «გალიციელები უკრაინული სახელმწიფოებრიობის საძირკველს წარმოადგენენ.» რამდენად სამართლიანია ეს გამონათქვამი?

ჩვენს პრეზიდენტს კატეგორიული განცხადებები უყვარს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ამის თქმა ზედმეტი იყო. გალიციელებს ამგვარი სიტყვებით ვერ მოთაფლავ, დანარჩენი უკრაინელები კი ადვილად შეიძლება გალიციელებს გადაჰკიდო. გალიციელთა ძალა იმაშია, თავიანთი საქმე ჩუმად აკეთონ და დიდად არ იბაქიბუქონ. ან რა აქვთ

მაინცდამაინც საბაქიბუქო? სინამდვილეში დასავლეთ და ცენტრალურ უკრაინას დაახლოებით იგივე მენტალობა აქვს.

პოსტმოდერნული ნაციონალიზმი ტერიტორიებს ვკარგავთ, მაგრამ

ამით სამშობლო თუ მცირდება? საერთოდ, რისი სიყვარულია სამშობლოს სიყვარული?

აბა, რა გითხრათ? არ მიყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები, მით უმეტეს, სამშობლოსთან მიმართებაში. ვფიქრობ, სამშობლო იმას ნიშნავს, როცა თავს შინ, შენიანებთან გრძნობ. ივანო-ფრანკოვსკშიც შინ ხარ და მარიუპოლშიც. შეიძლება იფიქროთ, რომ მარიუპოლთან დაკავშირებით გადავაჭარბე. მაგრამ მარიუპოლში ერთ საღამოს იმდენ ადამიანს ჩამოვართვი ხელი, რომ ფრანკოვსკში საამისოდ ერთ-ორი თვე დამჭირდებოდა. ასე რომ, ამდენი ხელის ჩამორთმევისაგან მსუბუქი თავბრუსხვევა დამემართა.

რაში ხედავთ ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის პლიუსებსა და მინუსებს?

ვფიქრობ, რამდენი კულტურა, ქვეყანა და ნაციაა, იმდენი ნაციონალიზმიცაა. თავ-თავისი მენტალური თავისებურებებით.

არსებობს აგრესიული კულტურები, რაც შეიძლება მეტი სივრცის დაპყრობასა და იქიდან სხვა კულტურების განდევნას რომ ცდილობენ. ეს ცუდი ნაციონალიზმია. არის თავდაცვითი ნაციონალიზმიც, რომელიც ამგვარ აგრესიას უმხედრდება. ეს ისაა, როგორც კულტურას, სხვას რომ თავს არ ანადგურებინებ. ასეთ შემთხვევაში ნაციონალიზმი თვითგადარჩენის საშუალებაა. ვერც მასზე იტყვი, კარგი და მართებულია-მეთქი, უბრალოდ, აუცილებელია. ასე რომ არ იყოს, დღეს უკვე აღარავის გაახსენდებოდა, ოდესღაც ვიღაც უკრაინელები თუ არსებობდნენ.

შეიძლება თუ არა პოსტმოდერნიზმი ნაციონალიზმს შევუთავსოთ?

პოსტმოდერნიზმი ამქვეყნად ყველაფერს უთავსდება. ეს იმდენად გახსნილი მდგომარეობაა, ნებისმიერ იდეოლოგიურ შეთავსებადობას რომ მოიცავს. სხვათა შორის, ფილოსოფოსებს არ აწყენდათ ისეთ ცნებაზე მუშაობა, როგორიც პოსტნაციონალიზმია. ვგულისხმობ პოსტმოდერნის ნაციონალიზმს.

რაში მდგომარეობს უკრაინული ენის საკითხი და როგორ გავცეთ მას პასუხი?

ჩვენ ინდოეთი არ ვართ, ამიტომაც ჩვენ ქვეყანაში ხუთასი კი არა, მაქსიმუმ ორი ენაა. იმის თქმა მინდა, რომ «ენის საკითხი» არცთუ ისე ჩახლართულია და მასზე სწორი პასუხის გაცემა ჩვენ შესაძლებლობებს განეკუთვნება. რა არის ამისთვის საჭირო? ჯერ ერთი, უნდა მოხდეს მისი სრული დეპოლიტიზაცია. შეწყდეს მისი გამოყენება პოლიტიკურ ბრძოლაში (განსაკუთრებით არჩევნების დროს). ყველაფერი დანარჩენი ჩვენს კონსტიტუციაში წერია. უბრალოდ, მას უნდა მივყვეთ.

როგორ გადავწყვიტოთ უკრაინაში კულტურული ფასეულობების ერთიანი სივრცის პრობლემა?

ჯერჯერობით ამ პრობლემის გადაჭრაში აგრესორი გვეხმარება. მისი წყალობით უფრო მკაფიოდ დავინახეთ,

სადაა მისი ფასეულობები და სად ჩვენი. რამდენად არ ემთხვევა ისინი ერთმანეთს. მაგრამ ისტორიული პერსპექტივიდან ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამოსავალი წერტილია. აწი აგრესორის გარეშე, თვითონ მოგვიწევს საკუთარ თავზე მუშაობა. ოფიციოზის ენაზე ეს შეიძლება განვსაზღვროთ, ცოტა არ იყოს, ყელში ამოსული სიტყვით, «ევროინტეგრაცია.» რითი მივდივართ ევროპაში, დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროში? უნდა ვეძიოთ საკუთარი თავი, საკუთარი წინადადება. რაკი რუსულში სიტყვას «წინადადება» მრავალი მნიშვნელობა აქვს, სჯობს, უკრაინულად ვთქვა: საკუთარი пропозиція, პირველ რიგში, კულტურული.

ძალიან მაგრად მეწერება

როდისთვის ველოდოთ თქვენს ახალ რომანებს? გეწერებათ თუ არა საერთოდ ამ დროში?

რომანებისა ჯერ რა მოგახსენოთ. მათ გარეშეც კარგად ვგრძნობ თავს. რომანის დასაწერად დიდხანს ერთ ადგილას უნდა იჯდე. აქ გულმოდგინებას აქვს მნიშვნელობა. მე კი სულ სადღაც დავქრივარ. თუმცა რომანების წერაზე ბევრად უფრო საინტერესო მათში ცხოვრებაა. ჰოდა, მეც რომანებში

ვცხოვრობ. მაგრამ, ამავე დროს, ძალიან მაგრად მეწერება. წერილები, ესეები, მცირე პროზა. მთლად მცირეც არა, მაგრამ რომანზე უფრო მცირე. და ახალ ლექსებზე ვოცნებობ. გამუდმებით ვეპატიჟები: გთხოვთ, მობრძანდით, ჩაგწერთ.

ომი თუ ახდენს გავლენას თქვენს შემოქმედებაზე? საჭიროა თუ არა მასზე წერა?

საკითხი ასე არ დგას. მწერალი არ ირჩევს იმას, რაზეც უნდა წეროს. თუკი ომი ხდება, მასზე არ დაწერო, შეუძლებელია. მაშ, რაღა საჭიროა საერთოდ ლიტერატურა, თუკი სიკვდილ-სიცოცხლეზე არ დავწერთ? მაგრამ ჯერჯერობით იმ დასკვნამდე მივედი, რომ ჩვენს დღევანდელ ომზე წერის უფლება მხოლოდ იმას აქვს, ვინც თვითონ ყოფილა ომში. ვინც ახლაც ომშია. ვიღაც ტურისტებსა და გასტროლიორებს კი არა, – ომის ჭეშმარიტ მკვიდრთ.

გაქვთ თუ არა ტაბუირებული თემები? ეს რამენაირად თუა დაკავშირებული ქვეყანაში დღეს შექმნილ ვითარებასთან? რაიმე თუა ისეთი, რაც გაშინებთ?

«მაშინებს» მთლად სწორი გამოთქმა არ იქნება. ვცდილობ, არსად არაფრის შემეშინდეს, რადგან შიშს ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე. არ მეშინია, მაგრამ ბოლო დროს ბევრი რამის გამოთქმისას თავს ვიკავებ. უფრო ფრთხილი იმიტომ გავხდი, რომ ჩვენ, საზოგადოების სხეული, მისი ორგანიზმი, მძიმედ დაგვასნეულა ამ ომმაც და ყოველივე დანარჩენმაც. ჩვენს ორგანიზმს განკურნება სჭირდება, ექიმებს კი ასეთი მცნება აქვთ: «ზიანს ნუ მიაყენებ!» აი, ამ ფრთხილი ექიმების მსგავსად, მეც გარკვეულწილად თავის შეკავებას ვცდილობ.

ქსელში წერენ, რომ თქვენი სადოქტორო დისერტაცია ბიტნიკ პოეტებს ეხება. რამდენად აქტუალურია დღეს მათი იდეები?

მსგავს თემაზე სადოქტორო დისერტაცია არ დამიწერია. ეს ყველაფერი ჭორებია. ბიტნიკები ცოტ-ცოტა ვთარგმნე ჩემი საავტორო ანთოლოგიისათვის «День смерті Пані День». მაშინ აღფრთოვანებული ვიყავი მათი პოეზიით და მათგან

ძალიან ბევრი რამ შევითვისე. ალბათ მათ თაობაში უმაგრესი ისაა, რომ თურმე პოეზიით შეიძლება ქვეყანა შეცვალო. და, თუკი ეს ქვეყანა სულაც აშშ-ა, მაშინ მასთან ერთად მსოფლიოს დიდ ნაწილსაც შეცვლი. უკრაინელი პოეტებისათვის ეს ძალზე აქტუალური სტიმულია.

რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მუსიკალური პროექტი Karbido? რა უბიძგებთ უკრაინელ მწერლებს მუსიკალური ექსპერიმენტებისაკენ?

ჩემს კოლეგებს რა უბიძგებთ, ვერ გეტყვით. მათ მაგიერ პასუხს ვერ გაგცემთ. საკუთარ თავზე კი ვიტყვი. Karbido ძალზე ძლიერი და პრინციპული არტისტებისაგან შემდგარი ჯგუფია. «მუსიკოსების» ნაცვლად «არტისტებს» იმიტომ ვამბობ, რომ მუსიკოსებზე მეტნი არიან. მაგრამ, როგორც მუსიკოსები, ასევე ძალიან მაგრები არიან და ნებისმიერ ფრი-ჯაზურ თუ პოსტ-როკ-ჯგუფს დაამშვენებდნენ. ყველანი უსაშველოდ ბევრს მუშაობენ და შესანიშნავად აზროვნებენ. ტომეკ სიკორა განათლებით ფილოსოფოსია, აზროვნების ძალზე მაღალი და

უაღრესად პროფესიონალური კულტურა აქვს. და ის ამ აზროვნების მუსიკაში ტრანსფორმირებას ახდენს. მარეკ ოტვინოვსკიმ, ბასისტმა, ერთი თვის წინათ გაიმარჯვა პოლონეთის დრამატურგიულ კონკურსში, მისმა პიესამ პირველი ადგილი დაიკავა. ანუ ჩვენს ჯგუფში ძნელია განსაზღვრო, ვინ უფროა მუსიკოსი და ვინ ლიტერატორი. «კარბიდელთა» დიდად მადლობელი ვარ თუნდაც იმიტომ, რომ მათი სახით ჩემი ტექსტების ძალზე მგრძნობიარე მკითხველები და ინტერპრეტატორები აღმოვაჩინე. გარდა ამისა, იმიტომაც, რომ ჩემი მუსიკოსობა იწამეს. მანამდე მუსიკოსი არ ვყოფილვარ, მაგრამ მათი წყალობით, მგონი, ვხდები.

სიტყვები და ტექსტები არ მყოფნის. სინთეზი მიყვარს. მათთან ერთად სწორედ ეს სინთეზი გამომდის. ყველანაირ აუდიტორიას როდი ძალუძს, თავიდანვე ჩაერთოს იმაში, რასაც ვაკეთებთ, იმდენად რთული და მრავალმხროვ დატვირთულია ეს ყველაფერი. მიუხედავად ამისა, მიხარია, რომ ახლა თანდათან უფრო გვიგებენ – ჩვენი თანამშრომლობის მეთერთმეტე წელიწადს. ასე რომ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

გულის წამალი

დღეს თავს უფრო უკეთ სად გრძნობთ – უკრაინაში თუ დასავლეთ ევროპაში?

რთული სათქმელია. დასავლეთში არ ვცხოვრობ, იქ უბრალოდ ჩავდივარ ხოლმე. ვიტყვი ასე: თუკი უკრაინაში ცხოვრობ და დროდადრო ევროპაში ჩადიხარ, ყველაფერი შეიძლება საუკეთესოდ აეწყოს. მთავარია, სწორი პროპორცია მოძებნო. მგონი, მე უკვე მოვძებნე.

ევროპაში თუ არის ისეთი ადგილი, სადაც თავს შინ გრძნობთ?

ზოგჯერ ბერლინში, მაგრამ ეს უკვე წარსულს ჩაბარდა. იქ ახლაც ჩავდივარ და გარკვეულწილად ჩემს ქალაქად ვთვლი, მაგრამ იქ შინ მაინც არ ვარ.

უკრაინულის გარდა, რომელი ენაა თქვენთვის ყველაზე უფრო ახლობელი?

ალბათ პოლონური. რუსული არ ითვლება, ეს, ასე ვთქვათ, თავისთავად ცხადია. მერე ალბათ გერმანული. მაგრამ ხუმრობა საუკეთესოდ ინგლისურად გამომდის.

რომელი ქვეყნის კულტურულ ტრადიციებს დაასახელებთ?

ალბათ შვეიცარიის. საბანკო სისტემის გაგებით კი არა, პირდაპირი დემოკრატიის გაგებით. ასევე გამომგონებლობის, საინჟინრო-ტექნიკური სულისკვეთებისა და ძალზე მაღალი ეკოლოგიური ცნობიერების თვალსაზრისითაც.

ევროპაში თუ ესმით ის, რის შესახებაც წერთ წიგნებს?

სადღაც მეტად, სადღაც ნაკლებად. სხვათა შორის, ჩემი წიგნები ევროპის ყველა ქვეყანაში როდია გამოცემული. ასე რომ, ბევრ ქვეყანაში უბრალოდ არ მიცნობენ. მაგრამ აი, ამასწინათ შევიტყვე, რომ სადღაც ვარშავასთან სუპერ-ცნობილი კარდიოლოგი ქალი ცხოვრობს, რომელთანაც პაციენტები უგრძეს რიგებში დგანან. ჰოდა, თურმე გულის პრობლემების მქონე პაციენტებს წამლებთან ერთად ჩემს წიგნებსაც ურჩევს. სხვათა შორის, არც მე მაწყენდა მასთან კონსულტაცია.

სერიოზულობა სახალისო სჯობს

პიერ დე რონსარმა დაწერა: «გონება, გული, სული, – ის რაც გვამკობს მარადის, სიყვარულში ეს ყოველივე გროშად არა ღირს.» თქვენი აზრით, სიყვარულში და სიყვარულისთვის რა არის ყველაზე მთავარი?

ჩემი საკმარისად ხანგრძლივი ოჯახური ცხოვრების ამბავი, მგონი, უკვე ყველამ იცის. ამიტომ თქვენი შეკითხვა რიტორიკული უფროა. რა უფრო მნიშვნელოვანია? რა თქმა უნდა, ურთიერთგაგება. საერთო ფასეულობები (ცხადია, მატერიალურს არ ვგულისხმობ). ერთმანეთისთვის დათმობის უნარი. ერთმანეთზე მორგებული იუმორის გრძნობა. და მომავალზე გაბედულად ფიქრი, – არ უნდა გეშინოდეს იმისა, რომ პირველი არ მოკვდები.

მაგრამ სიყვარული მხოლოდ სქესთა ურთიერთმიმართებით არ შემოიფარგლება. ამქვეყნად კიდევ რას აღიქვამთ პრინციპულად სიყვარულით და სიყვარულის მეშვეობით? სიყვარული განცდაა თუ კანონი?

ის განცდაზე მეტია. თუკი ის კანონია, ცხადია, არა იურიდიული გაგებით. ფილოსოფოსი რომ ვიყო, ვიტყოდი, რომ ჩვენს არსებობას ქაოსისა და დაშლისაკენ ლტოლვა ახასიათებს. სიყვარული ერთადერთი ძალაა, ამ ყველაფრის რაღაცნაირად შენარჩუნებასა და შეკავებას რომ ახერხებს. მის გარეშე არსებობა მხოლოდ საზრისს კი არა, პერსპექტივასაც კარგავს.

სერიოზული ადამიანი ხართ? ცხოვრებაში სერიოზულობა თუ გეხმარებათ?

ალბათ სერიოზული ვარ. ამიტომაც გამუდმებით ვხუმრობ და ვცდილობ, მიწის დონეზე დავრჩე. პათოსი მაინცდამაინც არ მიყვარს. სერიოზულობა მხოლოდ მაშინაა სერიოზული, როცა ზედაპირზე კი არა, სიღრმეშია. ღმერთმანი, ზედაპირი შეიძლება ჯამბაზურიც კი იყოს. სერიოზულობას კი ხალისიანობა უხდება.

რას ნიშნავს თქვენთვის დუმილი? არსებობს თუ არა საზრისი სიტყვის მიღმა?

დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს. კაცმა რომ თქვას, საზრისი სწორედ სიტყვის მიღმა, მის ფარგლებს გარეთ იწყება. სიტყვებს მხოლოდ მისკენ გზაზე მივყავართ (და ხშირად გზასაც გვიბნევენ), ჩვენი საქმე კი მათ მიღმა, სიღრმეში გზის გაგრძელება, ანუ უსიტყვოდ წვდომაა.

იტყვით თუ არა ოდესმე: შეჩერდი, წამო, მშვენიერი ხარ!

ვამბობ კიდეც. ხშირად ვამბობ. გამიმართლა, რომ წამების შეჩერება შემიძლია. მთლად შეჩერება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შეყოვნება, შენელება, გადიდება, შიგნიდან დათვალიერება და ამით ტკბობა.

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ექვსი სიმღერა „მკვდარი მამლისთვის“

[2]

BACK IN THE USSR[3]

მე არ ვყოფილვარ აქ ისე დიდხანს...

მარცინ სვეტლიცკი

მე არ ვყოფილვარ აქ ისე დიდხანს,
რომ სულ არაფერი შეცვლილა.

კვლავ ის სიმყრალე საფეხურებზე,
ისევ იგივე კავეენი ყველა არხზე, პირველის გარდა,
მაგრამ პირველზე კავეენიც კი ბედნიერება იქნებოდა,
თუმცა რაღა დროს ხუმრობაა ისევ და ისევ
ლორის გარშემო?

წერილები, როგორც ასეთი, უკვე არ მომდის,
მაგრამ რომელიღაც მოჩვენება გამუდმებით
კარქვეშ შემომიგდებს ხოლმე გადაუხდელ ქვითრებს,
ხან კიდევ ჟურნალ «კრივბასის კურიერს» თუ სხვა ნაგავს,
როგორიცაა, მაგალითად,
სიცილიური ჯავშანჟილეტის
წარდგინება
ან საბავშვო ნახატების გამოფენა
«ჩვენი სახლი უკრაინაა».

მე ვიცი, რომ უკრაინა ჩვენი სახლია.

მე შევბრუნდები კედლისკენ
და დავხუჭავ თვალებს,
რათა ორმოცდაათი წლით ძილს მივეცე,
რომლის მერეც აღარ გამოვიღვიძო.

WITHOUT YOU-2[4]

იგივე სურნელი, იგივე
სურნელოვანი სანთლები და იგივე მათი მსგავსი რამეები:
ზანზალაკები, ბუდები, ნიუ-ეიჯური ჩანაწერები,
ბლავატსკაია...

სხვა ყველაფერში ჩვენ სრული წესრიგი გვქონდა,
განა თუ ბინის დიასახლისი
იძულებული იყო შენიშვნა მოეცა ზეწარზე რამდენიმე ლაქის
გამო.

სამწუხაროდ, უკეთესი სისუფთავე არ გამოგვდის.
უკეთესად ანგელოსებს გამოუვიდოდათ,
მაგრამ ანგელოსები ერთმანეთს არ ეტრფიან.
უკეთესი სისუფთავე არ არსებობს.

ვიღაცას სურდა, რომ მე
ჩვიდმეტთვიანი შესვენების მერე იქ ისევ გამოვჩენილიყავი:
ისევ იგივე სუნი, იგივე
სურნელოვანი სანთლები და მათი მსგავსი ინდოეთი:
მანდალა, კასტანედა, ძვლის ჩხირები, ნიუ-ეიჯური
ზანზალაკები...

და ისეთი გრძელი ღამე, ისეთი სიმარტოვე ჭერქვეშ,
და ისეთი სრული ულაქობა,
რომ გამიჩნდა ზეცაში მოხვედრის
არცთუ ცუდი შანსი.

მაგრამ ზეცაში ერთურთს არ ეტრფიან.

JUST IN BETWEEN[5]

...ეს ოდნავ მოჰგავს სასტუმროს
ნომრებს –
გამოსახლება თორმეტის წინ,
ჰოდა, ჩვენ ვხურავთ კარებს,
ჩავრბივართ ქვევით
და გასაღებს ვაბარებთ მორიგეს.

მაგრამ რა სჭირთ ნომრებს?
რა მოსდით მათ უჩვენოდ? რა ემართება
იმ ყველა აბურდულ ზეწარს, მთელ ამ დომხალს,
თავისი ხელსახოცებით,
ბალიშებით
და ფერფლიანი საფერფლეებით?

ნუთუ მათაც სარკმლიდან მონაქროლი
ნიავი მიიხვეტავს?
ნუთუ იქაც აბაზანაში
ასევე წვეთავს წყალი ონკანიდან? ნუთუ
დაორთქლილი სარკე ბოლოს და ბოლოს არ შრება?
რა მოჩანს მასში?
(როგორც კლასიკოსი იტყოდა:
ო, მე ბევრს გადავიხდიდი
იმის დანახვაში,
თუ რა ემართება ნომერს,
რომელიც დავტოვე!)

გასაგებია ისიც, რომ მოგვიანებით გამოჩნდება დამლაგებელი,
რათა გადაწმინდოს ჩვენ მიერ დატოვებული
უმნიშვნელო კვალიც კი, თითქოს აქ არც გვიცხოვრია.
და მას ეს გამოუვა.

გასაგებია ისიც, რომ მოგვიანებით
აქ გამოჩნდებიან სხვა, სხვანაირი
მაცხოვრებლები.

მაგრამ რა ხდება შუალედ დროში?
ჩვენ წასვლასა და დამლაგებლის
გამოჩენას შორის?

სასტუმროს ნომერში,
სადაც ასე გვერდიგვერდ ვიწექით ორნი,
ასე გვერდიგვერდ ვსუნთქავდით?

CALLING DEM[6]

სამოცდათვრამეტის აპრილში
მე ვიწექი ლვოვის ერთ-ერთი საერთო საცხოვრებლის იატაკზე,
სიმთვრალისგან თითქმის გონდაკარგული,
თვრამეტი წლისა.
ჩემს თავს რაღაცა ხდებოდა, ჩემი უფროსი
მეგობრები მასპინძლობდნენ სტუმრებს, სვამდნენ ჩაის
და ღვინოს, ქაქანებდნენ ხელოვნებაზე.
ჩემს თავს კი თითქოს ცენტრიფუგა ატრიალებდა.

მგონი, ეს იყო უიღბლო სიყვარული
და საკურსოს პრობლემაც ამასთანავე.

დაბინდული მზერით
მე დავინახე დემის თმაგაჩეჩილი სილუეტი და დამნთქა
უფრო ღრმა უფსკრულმა: შეუძლებელია! *Delirium tremens*[7]: დემი ჩემს ოთახში!

უკვე არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი,
მაგრამ თვრამეტი წლის ასაკში ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება
კულტები, ხატებები, კერპები.
დემი *ალტერნატივის მხატვარი* იყო.
დემი იყო ჰიპური, სიურული, ჯინსური,
ასოციალური, უნივერსალური.
მენტები მას თითქმის ყოველდღე კოჭავდნენ.
მის ნახატებს დასავლეთელი სნობები ყიდულობდნენ.
როგორც ყველა ფანატიკოსი, მე მზად ვიყავი
მისი ლანჩებგამძვრალი ფეხისგულების დასაბანად.
ის იყო ჩემი კულტის წმინდანი, *you know what I mean.*[8]

ორიათას ორის ოქტომბერში
(ერიჰა, ოცდახუთი წელიწადი თითქოს არცა ყოფილა!)
იგი ჩემს საღამოზე არ შემოუშვეს.
ამბობენ, იგი თითქმის უგონოდ მთვრალი იყო
და არ შემოიშვებოდაო. თანაც ასეთ
ალტერნატიულ შეკრებაზე.
რაც იმ საღამოს მისგან დარჩა –
ესაა საფოსტო მარკის ხელა

რაღაც ლითოგრაფია ჩემთვის.
არც კი ვიცი, რა ვუყო მას.
უხერხულია საფოსტო მარკის კედელზე დაკიდება.

მაგრამ ახლა მსურს შევეხო სხვა რამეს –
მარადიულ აცდენას გზაში. რამდენი სახე
შეიწოვეს მიუწვდომელმა ჭაობებმა!
ისინი იქიდან არც კი ყვირიან,
არც კი ყვირიან.

რამდენი რამე არ მოხდა და
რამდენი კიდევ არ მოხდება.

მეორე მხრივ კი
რა მაგარი რომანი დავწერეთ ჩვენ ორმა
ჩვენდა უნებურად! რა გაუბახებელი ეპიკურობაა
მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე! დემ! გესმის?!!!
დემ!!!

ეს მე გიყვირი ჩემი ჭაობიდან.

SIE KЦNNEN DEN COMPUTER JETZT AUSSCHALTEN[9]

...ბოლოს და ბოლოს ჩემამდე დავიდა:
უკვე კაი ნახევარი საათია, ვზივარ და
სულელივით მივჩერებივარ მონიტორს,
რომელზეც მისი ბოლო ფრაზაა.
სეანსი დამთავრებულია და უნდა ავდგე,
უწინარესად გამოვრთო კომპიუტერი და
გავიდე.

კი, მაგრამ, მერე რა? ნუთუ უნდა შევეჩვიო
ამ ავტოკატასტროფებს
მათი ასპროცენტიანი შედეგებით?
ამ ელექტრონულ უსტარებს,
რომლებიც უსაშინელეს ამბებს მამცნობენ?

და როგორ გამოვხატო პროტესტი? და რის წინააღმდეგ?
კედელს თავი ვახალო თუ სამუდამოდ გამოვრთო
კომპიუტერი?

საშკო კრივენკო.[10]
დღევანდელ ღამეს.
წავიდა სამუდამოდ.

ყველაფერი სწორად გავიგე, არაფერი მომჩვენებია?
რადგან თუ ეს რომანია,
სიუჟეტური სვლები
ერთფეროვანი გამოდის.
ავტორს აშკარად კრიზისი აქვს.

SIE KÖNNEN DEN COMPUTER JETZT AUSSCHALTEN.

არ დაგავიწყდეთ ტელევიზორის გამორთვა.
ღამე მშვიდობისა, პატარებო, ღამე მშვიდობისა.
ამ საღამოს მეტი სიახლე არა გვაქვს.

(რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს
ყოველ წუთს შეიძლება შეემთხვეს
ავტოკატასტროფა, დაემართოს გულის უკმარობა,
თეთრი ცხელება.

ჩვენ ყველანი უპირველესად ლოთები ვართ,
რაც კარგადაა ცნობილი ჩვენი მეურვეებისთვის ინტერნეტიდან.
ჩვენი ქვეყანა კარგა ხანია ამას დაეთანხმა
და ყოველ ასეთ ცნობას
შესაბამისი სიმშვიდით ხვდება.
ოღონდ რად მიბნელდება ამის გამო მზერა?)

გავდივარ ცოტაოდენი ჰაერის ჩასასუნთქად,
მაგრამ ეს არაფრით გამომდის.

SIE KÖNNEN DEN COMPUTER JETZT AUSSCHALTEN.

და მხოლოდ მოგვიანებით –
ჰაერთან ერთად –
ცხადზე უცხადესი გახდება:

იქაა ერთი ასეთი ადგილი.
საშკო კრივენკოსნაირთათვის.
და იქიდან ყველაფერი მოჩანს.

და საქმე ის კი არ გახლავთ, რომ
იგი მანდაა, ჩვენ კი აქა ვართ,
თუმცა ძნელია ამის გამო არ დაიკრუნჩხო
ჩვენი მწვანე სამყაროს შუაგულში.

საქმე ის გახლავთ,
რომ ამას ჰქვია გათავისუფლება
და იგი, ისევე გარდუვალია,
როგორც ნებისმიერი პირველივე ავტოკატასტროფა.

GLORY TO THE CAMELS[11]

ჩვენგან ისეთი შესანიშნავი წყვილი გამოვიდა,
რომ სარეკლამო კლიპისთვისაც ვივარგებდით.
დაახლოებით ასეთის:

ბარის დახლთან ზის ვაჟი.
რამდენიმე სკამის იქით – გოგო.
აგერ, გოგო ხელჩანთაში იქექება.
ვაჟი მას აწოდებს
სიგარეტის გახსნილ კოლოფს.
ამასობაში გოგო მიაგნებს
საკუთარს.
ვაჟი იცინის.
გოგო იღიმება.

მომდევნო პლანი:

ორი კოლოფი «ქემელი» ბარის დახლზე
გვერდიგვერდ,

გვერდიგვერდ.

საფერფლე,
ნამწვები,
კვამლი.

მერე ისევ:
ვაჟი და გოგო ერთად გამოდიან ბარიდან.
გასაგებია, მყოფადში.

წარწერა:
სიგარეტი «ქემელი» თავისთავად საუკეთესო მიზეზია
გასაცნობად.

დარჩა რამდენიმე წვრილმანიღა:

მუსიკალური ფონის მოძებნა,
ინტერიერსა და მასობრივ სცენებზე მოლაპარაკება,
სამომავლო ამბების გადაწყვეტა.

თავდაპირველად იყო რამდენიმე
არცთუ ურიგო წერილი.
მერე იმ ორისგან ერთ-ერთს წერილის მოწერა დაუგვიანდა.
მერე ეს იქცა ნორმად, მერე მოვალეობად იქცა
ორიოდე სიტყვის მოწერა.
ცხოვრებამ ყველაფერი თავის ადგილზე მოაქცია.
ახლა ამაზე ფიქრიღა დამრჩენია:
იყო კი საერთოდ რაიმე, კვამლის გარდა?

მაგრამ რა ეშმაკად სრესდი შენ, მონსტრო,
საფერფლეში ყვითელ ნამწვებს
ისე განწირულად, როგორც მეაქლემე,
რომელიც შემთხვევით შეუშვეს ღირსეულ საზოგადოებაში?..

რომანიდან „მოსკოვიადა“

შენ გადაწყვიტე, კარი ფეხით შეგეღო – ასე, რა თქმა უნდა, უფრო შთამბეჭდავია. ოღონდ საკონფერენციო დარბაზში ამ გამოხდომისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. შენ შემოხვედი მასხარასავით, რომელიც თავის გრძელ ლაბადასთან ერთად არავის სჭირდებოდა. მიღმეთის მთელი ნიღბიანი საზოგადოება გასუსული უგდებდა ყურს მოხსენებას სისხლითა და ფეკალიებით მოსვრილი ტრიბუნიდან, რომელსაც ქვემოდან სანთლებით ანათებდნენ. მოხსენებას წარმოთქვამდა მეტად მოქნილი ინკოგნიტო, ძველი კრიმინალური ჩვევის თანახმად, თავზე მხოლოდ პირთან გაჭრილი შავი კაპრონის წინდა რომ ჩამოეცვა.

საერთოდაც, დარბაზი ნახევრად ჩაბნელებული იყო. სკამები ამფითეატრად განელაგებინათ და გეგონებოდათ, ისინი განათებული ტრიბუნისა და პრეზიდიუმის გარშემო ტრიალებენო. დარბაზის კედლებიც ტრიალებდა, ოღონდ საპირისპირო მხარეს, რათა დამსწრეებს თავბრუ არ დასხმოდათ. და იმ მოძრავ კედლებზე ჟამითი ჟამად ჩნდებოდა მრავალგვარი იშვიათი ობიექტების გამოსახულებები, ჩინურ თეატრში რომ იციან ხოლმე. თვალწინ კრთებოდა დანგრეული შენობები, სახრჩობელები, ტანკები, მიწას სწყდებოდა ხელოვნური თანამგზავრები, კომბაინთა ურდოები პრეისტორიულ გიგანტთა ჯოგებს მოგვაგონებდა. იდგა რაღაც ნახევრადგახრწნილის სუნი, მაგრამ კონიაკის სუნიც იდგა.

ამასობაში მომხსენებლის პირი, რომელიც ოდენ ღრმული იყო შავ წინდაში, დარბაზის მოძრავ სივრცეს მწვავე, ფხიანი ფრაზების ლურსმანს აჭედებდა. და ეს პირი დაახლოებით ასეთ რამეს ამბობდა:

– უნდა ვაღიაროთ, რომ კატასტროფის ზღურბლზე ვდგავართ. ვიმეორებ: ზღურბლზე. გვაქვს თუ არა მისი თავიდან აცილების შანსი? რამდენი ძალისხმევა, ცეცხლი, სისხლი და ლითონია

საამისოდ საჭირო? აი, იმ კითხვების ჩამონათვალი, რომელიც ჩვენ გვმდუღრავს. წავიდა ის მდორე დრო, როცა შეგვეძლო საკუთარი თავისთვის უკანდახევის, შერბილების, ამნისტიის ნება მიგვეცა. ამჟამად ალტერნატივა არა გვაქვს. უფრო სწორად, ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ ეს უკვე უკანასკნელია შესაძლო ალტერნატივათაგან და იგი ასე ჟღერს: ყოფნა – არყოფნა! გვექნება თუ არა დიდი სახელმწიფო. გვექნება დიდი სახელმწიფო თუ დიდი ქაოსი. იერარქია თუ ანარქია. ჩვენს მწყობრ იდეებს მტრებმა სტვენა და ხორხოცი დაუპირისპირეს. ფაქტობრივად ყველაფერი ინგრევა. ნაკერავზე ირღვევა სიწმინდეები და ტანკები. არმიას უკვე არ ძალუძს წინაპართა ანდერძის შესრულება: იგი სიმულანტობს. მას უკვე მოკვლა ეზიზღება. ეს უკვე არმია კი არა პედარასტებისა და პაციფისტების ხროვაა, რაც ერთი და იგივეა. უნდა ვაღიაროთ: დღეს ჩვენ არმია არა გვყავს. არა გვყავს! ოღონდ თუ გამომდინარეობს აქედან უდიდესი კატასტროფის გარდუვალობა? არა!

შენ გასასვლელთან ერთ-ერთ თავისუფალ სავარძელზე ჩამოჯექი და მთელ ამფითეატრთან ერთად ტრიალი დაიწყე. რა კარგია, რომ უკვე მოასწარი ყველაფრის ამორწყევა! ახლა შენ შეგეძლო, გულისყური ყოველივე დანარჩენისთვის მიგეპყრო. დარბაზის გარშემო ავბედითი ლანდები დაბობღავდნენ. ეს იყო მოჭრილი თავები, ენები, პომპეზურ ნაგებობათა ქიმები, დამიზნებული რაკეტები. უფრო კი ჭარბობდნენ სხვადასხვა სახის ხორთუმებიანი, დრუნჩებიანი, ხახებიანი, კუდებიანი და ჩლიქებიანი მხეცები. ზოგჯერ ეს მოგვაგონებდა საბავშვო ბაღში ან გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლაში საზეიმო დილას, სადაც სამოსელს იცვლიან ხოლმე.

თავყრილობის პრეზიდიუმი ტრიბუნის მარჯვნივ იჯდა. ისინი შვიდნი იყვნენ. და ყველა მათგანი შენ იცანი.

პირველად თვალში მოგხვდა ივანე მრისხანეს ნიღბიანი მაღალი და გამხდარი ნაძირალა. იგი წამდაუწუმ აცანცარებდა თავის თათრულ წვერს და ჭუჭყიან ბუწუწებს და შავი წინდის

მორიგ ლურსმანს აყურადებდა. იგი ზოგადად ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ თითქოს ეს-ესაა მოკლა საკუთარი შვილი.

შემდგომი იყო ის, ვინც საკუთარ ცხოვრებას ამხანაგ ძერჟინსკის ყაიდაზე ქმნიდა. მისი წვერი «ივანე მრისხანის» წვერზე არანაკლებ მიაგავდა ვაცის წვერს. პარადოქსულია, მაგრამ ძეგლისეული ფელიქს-დონ-კიხოტისგან ეს პრეზიდიუმში მჯდომი განსხვავდებოდა იმით, რომ იყო უხეში და ტანდაბალი – ერთგვარი კაბარეს სოლისტი, ცხოვრებისგან საკმაოდ ნათრევი.

«ძერჟინსკის» გვერდით მხოლოდ ლენინი შეიძლებოდა მჯდარიყო. ასეც გახლდათ. მაგრამ გარკვეული სასაცილო სიტუაცია აქაც შეინიშნებოდა. საქმე ისაა, რომ «ილიჩს» ეხურა არა ჩვეული ქრესტომათიული კარტუზი, რომელიც ასე აახლოებდა მას მუშათა და გლეხთა მასებთან, არამედ რუსეთის იმპერიის გვირგვინი მთელი თავისი ბიზანტიური გაბღენძილობით, რაც მართალია, დამზადებული იყო პაპიე-მაშესაგან. სხვა მხრივ გვირგვინი არაფრით ჩამოუვარდებოდა ნამდვილს.

შემდეგ იყო «მინინი და პოჟარსკი». XVII საუკუნის სტილიზებულ სამოსში გამოწყობილი ორთავიანი ტიპი, რომელიც ნაწილობრივ სავარძელში იჯდა, ნაწილობრივ კი განზე იდგა და გვერდით მჯდომისთვის მხარზე ხელი მოეხვია. უცნობია, რა უფრო მეტი იყო ამ ადამიანში – ვოევოდა თუ ვაჭარი, კეთილშობილური თუ მეშჩანური.

გენერალისიმუსი სუვოროვი ანუ სუვოროვად შენიღბული ტიპი, სამაგიეროდ, ისევე, როგორც ცხოვრებაში, დაუდეგარი და მოუთმენელი იყო. გეგონებოდათ, იგი თითქოს ნაპერწკლებამდე გავარვარებულ ქურაზე ან შავწინდიანი მომხსენებლის მიერ ჩასობილ ლურსმნებზე ზისო. წამდაუწუმ ისრესდა ხელებს, რომლებიც აშკარად ხისა იყო, თანაც დაუდევრად გაჩორკნილი, და მომხსენებელს სიტყვას უადგილო კითხვებით აწყვეტინებდა.

მთელი პრეზიდიუმის უდავო მარგალიტი გახლდათ იმპერატრიცა ეკატერინე მეორის სახით მოვლენილი ჩასუქებული ქალბატონი. სამოსელი, რომელშიც მოთავსებული იყო მისი სისხლხორცით სავსე სხეული, წარმოადგენდა როკოკოსდროინდელი სამეჯლისო კაბისა და მოდერნისდროინდელი ღამის პერანგის ბანალურ ჰიბრიდს. ეს იმპროვიზებული «ეკატერინე მეორე» ყველაფრით კარგი იქნებოდა, ერთი ზადი რომ არა: მას წურწურით სდიოდა ოფლი, განსაკუთრებით ფეხებზე. მათ, ეტყობა, გასივებისკენ ჰქონდათ მიდრეკილება, რაც, ალბათ, სასახლეში მქუხარედ გატარებული ახალგაზრდობის შედეგი იყო.

ამ დიად პიროვნებათა ჯაჭვში უკანასკნელი გახლდათ ერთი შუშისთვალიანი ვინმე. ბოლოს და ბოლოს, ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ნამდვილი ანატოლი ივანოვიჩი, რომელსაც თავისივე ნიღაბი აეფარებინა, რათა არავის ეფიქრა, მართლაც ისააო. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნებოდა, რომ აქ ყველაფერს თითქოს ის ხელმძღვანელობდა. ალბათ, ის იყო ჩრდილოვანი თავმჯდომარე ამ აჩრდილების სამეფოში.

ქვემოდან განათებული პრეზიდიუმის წევრები რომელიღაც გაიძვერას მაგიური დასტიდან გამოძრობილ უზარმაზარ სათამაშო კარტებს მოგაგონებდათ. ოღონდ აქ თამაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიდიოდა. ყოველ შემთხვევაში, შენ ასე გეჩვენებოდა.

ამასობაში, შავწინდიანი თავისას აკეთებდა. უფრო სწორად, აკეთებდა მისი პირი.

– უნდა გავიხსენოთ, რომ კრიტიკულ წუთებში ჩვენ ყოველთვის გვშველოდა ქირურგია. სახელმწიფო საქმის დიდოსტატები უკან არ იხევდნენ ყველაზე დასისხლიანებულ ხორცმეტთა ამოჭრის წინაშე. როცა საქმე მომავალს ეხებოდა, განკვეთა აუცილებელი იყო ნებისმიერ ფასად. ჩვენი ისტორია ულმობელი ქირურგიის ისტორიაა. ხომ გინახავთ, როგორ იკლაკნებოდნენ შემსრულებელთა ხიშტებქვეშ იპატიევის სახლის სარდაფში ჩაგდებული ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახი? ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ნუშისებური ჯირკვლის

ამოჭრა. სახელმწიფოს სიცოცხლე უნდა გაგრძელებულიყო. ჰემოფილიით სნეული მეფე მას უკვე ნაბიჯებს ვერ უწყობდა. ახლაც მსგავსი რაღაცა გვჭირს. შიგნიდან უნდა განვკვეთოთ ეს ავადმყოფი სხეული! ყველანი თავთავიანთ სახლებში გავუშვათ, ჩამოვუშვათ ფარდა. ჩვენ მათ ვაჩუქებთ, უკაცრავად პასუხია და, მათ ნაოცნებარ დამოუკიდებლობას. ჩვენ მათ ვასწავლით რეფერენდუმებზე გამარჯვებას. რეფერენდუმი ხომ იდეალური ხერხია ადამიანების სამანიპულაციოდ, როცა მათ რჩებათ ილუზია, რომ თითქოს თვითონ წყვეტენ საკუთარ ბედს. ჩვენ მათ ვასწავლით სახელმწიფოს სიყვარულს. ეს კი ძალადობის, მოტყუებისა და ქრთამის სიყვარულსაც ნიშნავს. ჩვენ მათ მივცემთ უფსკრულში ჩაცვენის სრულ შესაძლებლობას. მაშ, ასე, მომიტევეთ და, ვჩუქნით რესპუბლიკებს დამოუკიდებლობას. თუმცა, ამავდროულად, ცოტა რაღაცებს ჩვენთვისაც ვინახავთ...

– როგორ იქნება ალიასკის საქმე? – აცქმუტდა გამხდარ უკანალზე «გენერალისიმუსი სუვოროვი».

– ჩვენ ყოველთვის მზადა ვართ იქაური რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად, – თვალის დაუხამხამებლად (ან იქნებ დახამხამებითაც), – მკაფიოდ და ამომწურავად თქვა შავმა წინდამ.

– ალიასკა არ უნდა დაგვავიწყდეს! – აქოთქოთდა სუვოროვი.

– ზამალჩი! დუ, შაისერენ მუდაკ! – დაუცაცხანა «გენერალისიმუსს» გერმანულენოვანმა «ეკატერინე მეორემ».

აქ «ლენინმა» საკმაოდ ნიშნისმოგებით ჩაიხითხითა, მაშინ, როდესაც «ანატოლი ივანოვიჩმა» (ანატოლი ივანოვიჩმა?) პრეზიდიუმს მოსმენისკენ მოუწოდა.

– ალიასკა ალიასკად, – ჩაერია საუბარში ყოვლისმჭვრეტი «ძერჟინსკი», – მაგრამ ამას წინათ თქვენ წარმოთქვით მეტად საინტერესო ფრაზა: ცოტა რაღაცებს ჩვენთვისაც ვინახავთო. რას გულისხმობდით?

– მომავალს, – მიუგო შავმა წინდამ. – ვინახავთ ჩვენთვის არა იმდენად დაფლეთილ სხეულს, რამდენადაც სიცოცხლისუნარიან ცალკეულ ორგანოებს. ვინახავთ გარკვეულ კაბინეტებს, კომიტეტებს, წარმონაქმნებს. ვინახავთ გარკვეულ ვერტიკალურობას მათ ურთიერთობებში. და დიდ ბუნებრივ ლტოლვას ზრდისკენ, გამრავლებისკენ, კვლავწარმოებისკენ. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ ეს ორგანოები (თავები, ხელ-ფეხი, კვერცხები) მოულოდნელად დაიწყებენ მოქმედებას დამოუკიდებელი რესპუბლიკების სასარგებლოდ.

– მართლა? – დაინტერესდა «ლენინი».

– მთელი მარილიც იმაშია, რომ არა, – გააქარწყლა მისი ეჭვები მომხსენებლის პირმა. – სინამდვილეში, ისინი მოამზადებენ ჩვენს მომავალს. ახლადგამომცხვარი, პარდონ, დამოუკიდებელი მთავრობების სათავეში აღმოცენდებიან ჩვენ მიერვე გამოცდილი და დანიშნული შემსრულებლები. ქაოსი შობს ქაოსს. სადაც ეს შეუძლებელია, ხელისუფლებაში მოვლენ უბრალოდ ნაბო(...)ვრები ან პოლიტიკური მეძავები, ვლადიმერ ილიჩ! ან, ბოლოს და ბოლოს – არარაობები. ყველაფერი ჩაიძირება რუხ ფერებსა და მოწყენაში. სითახსირეში. დიდი ენთროპიული ძალა, რომელმაც გაგლიჯა დიადი იმპერია, ნაცარტუტად აქცევს, ბოდიში მომითხოვია და, სახელმწიფუკებს. საკმაოდ კარიკატურული იქნება ყოველივე ეს – ჩვენ მიერ დანიშნული პრეზიდენტები, ჩვენ მიერ მოსყიდულ პარლამენტები. ასევე სასაზღვრო კონფლიქტები შიიტებსა და სუნიტებს შორის, კათოლიკეებსა და კრიშნაიტებს შორის, მართლმადიდებლებსა და ძენ-ბუდისტებს შორის. დასავლეთელი ბანკირების მიერ გიჟებისთვის თავისუფლების სწავლების ეს გმირული მცდელობა. ეს მშიერთა შუღლი, ამბოხებები და გაფიცვები. ეს ეკლესიებისა და სამეძაოების ინდუსტრია. უამრავი ფუჭი ბრძანებულება, კონსტიტუცია და დეკლარაცია. და გაუთავებელი სანაგვე, არა, ბევრი დამოუკიდებელი სანაგვე, რომელთა სათავეშიც უსუსური მარიონეტები იდგებიან. აი, ჩვენი სამოქმედო პროგრამა. რაც დრო გავა, ერები სულ უფრო და უფრო მოიხედავენ უკან. და

თავიანთ მოტყუებულ ხილვებში დაინახავენ დიად სახელმწიფოს – კოსმიურს, ცეცხლოვანს, განიერს, ათასწლოვანს. სულ უფრო უარესად და უარესად გამოჩნდება მასთან შედარებით ის, ნება მიბოძეთ, დამოუკიდებლობა. თვით იდეაც კი რაიმე მსგავსისა აღმოჩნდება სამუდამოდ...

– ჩაჯმული, – მიეშველა «ივანე მრისხანე».

– გმადლობთ, მეც სწორედ მსგავსი რამის თქმას ვაპირებდი, – ზრდილობიანად დაეთანხმა მომხსენებელი.

– და მაშინ ყველა ისინი – მხედველობაში მყავს ერები – კვლავ მოისურვებენ მას, სახელმწიფოს. აკი ყველაფერი ზღვის ქვიშასავით განიბნევა. ყველაფერი ჩამოიშლება. ირგვლივ დიდი სამხეცე გაბატონდება! და არანაირი სხვა არჩევანი არ იქნება! ამავე დროს, მე მხედველობაში მაქვს არა იმდენად პოლიტიკური, რამდენადაც ეკონომიკური თუ ზნეობრივი არჩევანი.

დარბაზი ტაშის ნიაღვარმა წალეკა.

– პოლონეთსა და ფინეთს რას ვუზამთ? – ტაშის დაცხრობისთანავე გამოხტა «სუვოროვი».

გაჩუმდი, ბებერო ბრიყვო! – გაწიწმატდა «ეკატერინე მეორე».

«სუვოროვმა» ბრწყინვალე იმპერატრიცას ხელზე აკოცა, რადგან გვერდით ეჯდა. გაოფლილ, ჭორფლითა და პუდრით დაფარულ ხელზე.

– ყველაფერი კარგად იქნება! – ირწმუნებოდა მომხსენებელი. – პოლონეთს ზღვიდან ზღვამდე პოლიგონად ვაქცევთ, ფინეთს კი არყით ავავსებთ. ჩვენ გავაუქმებთ მათ მშრალ კანონს, როგორც ისეთს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეწინააღმდეგება.

ყველამ ისევ ტაში დაუკრა. ჩუმად მოხითხითე «ლენინმა» ჟილეტის ჯიბიდან მექანიკური თაგვი ამოაძვრინა და პრეზიდიუმის მაგიდაზე გაუშვა. ხელისგულების ხმამაღლა

ტყაპუნით იგი თვითონვე დაიჭირა და სათამაშო თავი მოუგრიხა. თუმცა თაგვი, შესაძლოა, ცოცხალიც ყოფილიყო.

– ეს იქნება ჩვენი უკანასკნელი და საბოლოო მკვდრეთით აღდგომა, – კვლავ ალაპარაკდა შავი წინდა და ტაში და ენთუზიაზმი გადაფარა. – მოკვეთილი ხელ-ფეხი ისევ გამთლიანდება. დამოუკიდებლობის, ფუი, იდეა განიცდის გლობალურ მარცხს და ადამიანთა ცნობიერებაში გაუტოლდება ფაშიზმს და თვით სექსუალურ გადახრებსაც. იმპერიის აკრძალული ხილი ყველას მოეწონება. მილიონობით ადამიანი ელოდება თუ როდის გამოაცხადებენ მათ მონებად. როდის წაიყვანენ პირამიდების, არხების, გოდოლ-ბურჯებისა და დიდი ხიდების ასაშენებლად. მხოლოდ იმპერიაში ჰპოვებს ადამიანური ერთეული საკუთარი არსებობის გამართლებას. ნებისმიერი იმპერია ხომ დიადი მიზანია. ათასწლოვანი მიზანი. ესაა სამყაროს დამორჩილება, ესაა კომუნიზმი, ესაა მავზოლეუმებში მუმიების უკვდავება. ესაა მზისა და მბრძანებელთა ელვარება. ესაა კოშკი, რომელსაც ათი ათასი წელიწადი აშენებენ. ესაა არმიების ძალა, კუდიანების დაწვა, ესაა ერთა მოძრაობა, მუდმივი და გამაერთიანებელი. ესაა ერების დიდი შერწყმა, დიდების მიერ მცირეთა, ძლიერების მიერ სუსტთა დანთქმა. ესაა ძეგლები და მითები, ესაა აღმა შებრუნებული მდინარეები, ესაა ფსიქიატრების, პათოლოგოანატომების, ბაზიერების ზეიმი...

– საფრანგეთის საქმე როგორ იქნება? – ისევ გამოხტა «სუვოროვი».

– კაზიოლ! – ჩაისისინა «ეკატერინე მეორემ».

«სუვოროვმა» ინტიმურად მოხვია მას ხელი წელზე, რაც თვით ბოლო რიგიდანაც კარგად ჩანდა.

– საფრანგეთში ჩვენ საცხოვრებლად გადავალთ, – დაარწმუნა იგი მომხსენებელმა. ხუთ-ექვს ოთახიან ბინებს ლოჯებით პარიზში, მარსელსა და ნიცაში მიიღებენ უმაღლესი ხარისხის წარმომადგენლები, კერძოდ, დღევანდელი სიმპოზიუმის მონაწილენი.

– ფრანგებს რას ვუშვრებით? – მოისმა ტაშის ხმაში ამფითეატრიდან.

– გადავასახლებთ გობის უდაბნოში, – არ დააყოვნა პასუხი შავმა წინდამ.

– სხვათაშორის, შემიძლია შევჩერდე დეპორტაციის საკითხებზე, რადგანაც ეს იქნება ჩვენი საშინაო, ე-ე, საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

– ჯანსაღი აზრია! – ხელები მოისრისა «ლენინმა», ჟილეტის ჯიბიდან მოზრდილი თეთრი თალგამი ამოიღო და ხმამაღლა ხრამუნს შეუდგა.

– ჰოდა, დეპორტაცია, როგორც თქვენთვის უკვე ცნობილია, ჩვენი დიდი და, სამწუხაროდ, ჩაფურთხებული...

– ჩაჯმული... – გაუსწორა «ივანე მრისხანემ».

– გმადლობთ, მაგრამ ეს ასე არაა, – არ დაეთანხმა მომხსენებელი, – ჩვენი გმირული ისტორიიდან, დეპორტაცია ნებისმიერი ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად უებარი საშუალებაა. მთავარია ჩუქჩები გადავასახლოთ არარატის დაბლობზე, მოლდაველები კი ფრანც-იოსების მიწაზე, თუმცა იქ თავს უფრო ბუნებრივად ავსტრიელები იგრძნობდნენ. გარდა ამისა, გთავაზობთ კომპაქტური ცხოვრების ადგილთა უშუალო გაცვლას: ლიტველებისა ვიეტნამელებთან, შვეიცარიელებისა ჩინელებთან, უნგრელებისა კი უიგურებთან. დიდი გადასახლების ყოველმხრივი მხარდაჭერით ჩვენ მივაღწევთ სრულიად ახალი და ქიმერული ერებისა თუ ეროვნებების შექმნას იმდენად გაუკუღმართებული სახელწოდებებით, რომ თვითონაც ერცხვინებათ: რუსიაკები, უკრალიელები, კარელო-მეგრელები, ჩერბოსლოვატები, რუმინგოლები, ნიდერბაიჯანელები, შვეკები, ფრანგობეკები, ელოშვაბები, ქურთიფრანკები, ჟიზდობოლები და კარპატელი რუსინები.

– ისრაელის საქმე როგორ იქნება? – მხედარივით წამოიჭრა «სუვოროვი» და თან «ეკატერინე მეორეს» წინდახედულად

ძუძუში ჩააფრინდა. შებერებული მხედართმთავრის ამ შლეგური სიცელქით გაოცებულ დედა-იმპერატრიცას ამჯერად არაფერი უთქვამს, შავი წინდა კი კვლავ არ დაიბნა:

– ისრაელისა? მის მთელ ტერიტორიაზე ჩვენ საზამთროს დავთესავთ!

– და თალღამსაც, თალღამსაც, უსათუოდ თალღამსაც, – დაბეჯითებით მოითხოვა «ლენინმა».

«ანატოლი ივანოვიჩმა» ისე კმაყოფილად დაახამხამა თავისი ხელოვნური თვალი, იფიქრებდით, იგი ნამდვილიაო. მას გულს ფხანდა ის, რომ ამდენი სახელოვანი ხალხისთვის თავი ტყუილად არ მოუყრია.

ლოჟებსა და აივნებს ენთუზიაზმი მოსდებოდა. ამფითეატრშიც აღფრთოვანება სუფევდა. მომხსენებელი ბოლო გრიგალისებურ აკორდზე გადიოდა:

– ჩვენ შევაჩერებთ უზარმაზარ ნგრევას! ჩვენ დავამარცხებთ უზარმაზარ ქაოსს! დიადი სიმფონია დარაზმავს ადამიანებს ათასწლეულებში სალაშქროდ. ჩვენ დავიცავთ საკუთარ სიწმინდეებს გაუვალი ხვიარა მცენარეებითა და საომარი ტექნიკით. ეს იქნება ერთიანი ორკესტრი სრული მორჩილებისა და... – მომხსენებელი წუთით შეყოვნდა.

და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ «მინინსა და პოჟარსკის», რომელიც აქამდე მიცვალებულს ჰგავდა, წყვილი ხმით კითხვა დაესვა:

– კი მაგრამ, ვინ, ვინ იქნება უმთავრესი?

– ხალხი! – მტკიცედ მოუჭრა შავმა წინდამ და ყველამ გადაიხარხარა.

შენ სულ უფრო ცუდად ხდებოდი, ფონ ფ. ეს გაუთავებელი ტრიალი ლოჟებთან და ბალკონებთან ერთად, კედლებთან ერთად, ეს მამონტების პროცესიები, კომეტების კუდები, შენს თავზე ლანდებად პროეცირებული უზარმაზარი მოჭრილი გენიტალიები, ამ ნადირთა მსგავსი ნიღბების ღრიანცელი – ეს

ყველაფერი თითქოს სკამზე გაჭედებდა, გართმევდა ნებისყოფასა და გონიერებას. გეჩვენებოდა, რომ მხრებზე თითქოს ძალით მიხრახნილი თავი ეს-ესაა მოგძვრება და პრეზიდიუმს ფეხებქვეშ გაგორებული უკანასკნელად გადაფარავს ყველაფერს წყევლა-კრულვის უმწეო დორბლით. და როცა ვიღაცა გვერდით მოგიჯდა და მუხლზე ხელი ძმაკაცურად დაგკრა, შენ იფიქრე, რომ ესეც, როგორც სხვა ყველაფერი, მხოლოდ ჰალუცინაცია იყო. მაგრამ შენს სმენას უკვე საკმაოდ ნაცნობი უღიმღამო ხმა მოსწვდა:

– თქვი, როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, ვილჰელმოვიჩ? მამაძალი, როგორ მოგწონს ეს ყველაფერი?

* * *

კიევის ვაგზლის მოედანი, მოწყალეო ხელმწიფევ, დატბორილი იყო. მთელი დღის მანძილზე განუწყვეტელმა თავსხმამ წყლების დიდი ამონთხევა გამოიწვია. ქვიშით, ფერფლით, ვარდებით, ქაღალდებით, მტრედების ღინღლით, ნიღბებით, მკვდარი ვირთხებით და სხვა ათასი ნაგვით გადაჭედილ სანიაღვრე მილებში უკვე არაფერი ეტეოდა. მსოფლიო წარღვნა სულ უფრო საჩინო ხდებოდა. მოსკოვი სულს ღაფავდა.

მეტროდან რომ ამოვძვერი, თითქმის წელამდე წვიმის შავ წყალში ამოვყავი თავი. მხოლოდ ნებისყოფისა და ჩემი ჩანთის წყალობით ვიდექი ფეხზე და ასე ძლივს მივაღწიე ბაქნამდე. მე მახსოვს ორმოცდამეერთე მატარებლის არსებობა. იგი მოსკოვიდან დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე გადის.

თორმეტს რამდენიმე წუთიღა უკლია. იგი მოსკოვიდან გადის, რათა კიევში ჩავიდეს. ერთადერთი, გამცილებლისთვის რისი შეთავაზებაც შევძელი, იყო მოზრდილი ცოცხალ-მკვდარი ლოქო, რომელიც არც კი ვიცი, როგორ აღმოჩნდა ჩემს ჩანთაში ან იქ რას აკეთებდა. მგონი, იგი რომელიღაც წარმომადგენლობით შეკრებაზე მაჩუქეს. ამრიგად, მე მივიღე ჩემი კანონიერი მესამე თარო (სულერთია, თქვენ მაინც არ

იცით, რას ნიშნავს ეს, თქვენო უმაღლესობავ) საერთო ვაგონში, გავფინე ლაბადა ნახსენებ მესამე თაროზე და უკანასკნელი ძალისხმევით ძლივს შევტენე ჩემი დაუძლურებული სხეული მასა და ვაგონის ჭერს შორის არსებულ ღრიჭოში. მე აქ ვიწვები, ალბათ, კიევამდე და ასე დავემალები რევიზორებს, კონტრაბანდისტებსა და მესაზღვრეებს.

აქ როგორც იქნა, ჩამეძინა. ეს მატარებლის დაძვრისთანავე მოხდა. და აქამდე გრძელდება.

რადგან მე ძალიან ავადა ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ. საშინელი ციება მჭირს, რის გამოც ბაგეები დილისთვის სირსველით მეფარება. მუხლიც გასიებული მაქვს, ალბათ, სადღაც ვცეკვავდი და ფეხი დამისხლტა. სისხლშიც უამრავი ალკოჰოლი მაქვს. თვით სისხლზე მეტი. თანაც თავის ქალაში ტყვია მაქვს გარჩენილი. მგონი, ერთი საათის წინ თავი მოვიკალი: საბჭოთა სისტემის რომელიღაც პისტოლეტით, ალბათ, მაკაროვით, შუბლში ტყვია მივიჭედე. და ახლა ეს შესანიშნავი, აშმორებული, ადამიანთა მოთენთილი სხეულებით სავსე მატარებელი მოსკოვიდან მიმაქროლებს. არ შეიძლება დიდხანს დარჩენა იმ ქალაქში, სადაც სიცოცხლე მოისწრაფე. სადმე უნდა გასწიო.

მე შინისკენ გავსწიე, თქვენო უღირსებულესობავ. არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც თქვენი ქვეშევრდომები ცხოვრობენ. მესმის, რომ თქვენთვის, სადღაც ტროპიკულ აფრიკაში, ვილა «უკრაინას» ჭერქვეშ დაბადებული და ესპანეთსა თუ შვეიცარიას მიჩვეული კაცისთვის ძნელია ამის წარმოდგენა. მაგრამ ეს ასეა, თქვენო მოწყალებავ, – არსებობს ასეთი ქვეყანა. იგი თქვენთვის არ გამოუგონია თქვენს მრჩეველებს, ასტროლოგებსა და კაპელანებს. თვით ყველაზე ჭირვეულმა, ყველაზე გიჟურმა (ადამიანურმა!) წარმოსახვამ უკან უნდა დაიხიოს ამ ქვეყნის არსებობის წინაშე. იგი ტკივილამდე ნამდვილია. და აღმოსავლეთიდან არაფრითაა დაცული, თვით მთებითაც კი.

თავის დროზე ის, ვინც გეოგრაფიას ანაწილებდა, მე რომ შემთათბირებოდა, ახლა ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა. მაგრამ მან ჩვენი ქვეყანა იქ განათავსა, სადაც მოისურვა. ამისთვისაც მადლობა!

და რომ ჩვენ გაგვაჩინა უნდილებად და ჩანჩურებად, მომთმენებად, ზარმაცებად, კეთილებად, და რომ გაგვაჩინა გულგრილებად, შურიანებად, მიმნდობებად, გვაქცია ეშმაკებად, მშიშრებად, შარიანებად, გვაქცია დაუდევრებად, მორჩილებად, მომღერლებად – მადლობა მას, რადგან შეეძლო უარესებადაც გავეჩინეთ. მან მოგვცა კარგი გოგონები. მოგვცა ცუდებიც. მოგვცა გაუგებარი პოეტები და ენაჩლუნგი მღვდლები. მეფე კი მოგვცა შორეული.

ჩვენ ზოგჯერ გვესიზმრება ევროპა. გავდივართ ღამით დუნაის ნაპირზე. გვახსენდება რაღაც ამის მსგავსი: თბილი ზღვები, მარმარილოს ბჭეები, ცხელი ქვები, სამხრეთის ხვიარა მცენარეები, მარტოსული კოშკები. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება.

ასეთია მეტწილად ჩვენი ხალხი. სხვა, თქვენო მოწყალებავ, არ გვყავს არც თქვენ და არც მე. ოდესმე იგი შეგვიყვარებს თქვენც და მეც. ჯერჯერობით კი მგზავრობს მოსკოვის მაგარი ვაგონებით. ან ვაგზლებზე სძინავს – ბნელს, ნაცრისფერს, დუნეს. და რა დაემართება მას სამომავლოდ, არ ვიცი. ისე კი ძალიან მინდა ვიცოდე.

რადგან მე დღეს კი არ გავრბივარ, არამედ ვბრუნდები. ავი, ცარიელი, თანაც თავის ქალაში ტყვიაჩარჩენილი. ვის რა ჭირად ვჭირდები? ესეც არ ვიცი. მხოლოდ ისღა ვიცი, რომ დღეს ჩვენ თითქმის ყველანი ასეთები ვართ. და გვრჩება წინაპართაგან ნაანდერძები ყველაზე სარწმუნო იმედი: როგორღაც თავს გავიტანთ. მთავარია – ხვალამდე გავძლოთ. მივაღწიოთ კიევის სადგურამდე. და არ ჩამოვვარდე ამ საჯანდაბო თაროდან, რომელზეც ვამთავრებ ჩემს უიღბლო მოგზაურობას მსოფლიოს გარშემო.

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

2. პოეზია

დათო ყანჩაშვილი

ჩემო მეგობარო

ჩემო მეგობარო
აქ ნატყვიარი დროშებივით ფრიალებენ
ღამის შავ ტარზე გაკიდული ჩვენი სიზმრები
რომლებიც ფრიალებენ დღისითაც
ფრიალებენ ჩვენს თვალებში
ფრიალებენ და იფლითებიან.
ჩემო მეგობარო
მე შორიდან ვადევნებ თვალს შენს მშვიდ ცხოვრებას
შენთან ახლოს არჩამოვარდნილ ნაღმებს
შენ გვერდით არმომაკვდავ მეზობლებს
შენი სახლის არჩამონგრეულ კედლებს
შიმშილით არდასუსტებულ კიდურებს
ღამით კი ვუსმენ შენი მშიერი მუცლის ხმაურის არარსებულ
იავნანას
რომელიც მე ჩამესმოდა დედის ხმასთან ერთად.
რაც დედა მოკვდა, ისღა დამრჩა.
ჩემო მეგობარო
შენ ალბათ ვერც ამჩნევ
რა გაჟღენთილია შენი ყოველდღიურობა სიმშვიდით
რომ არაფერი ემუქრება ხვალინდელ გეგმებს
რომ სუპერმარკეტები ატრაქციონებივით კაშკაშებენ
შენი ღმერთი კი უყურადღებობას მიეჩვია.
ჩემო მეგობარო
მე შენზე მალე ჩავძაღლდები
და ტკივილსაც ვერ დავტოვებ გულის ფეთქვა რომ ააჩქაროს
აღარავინ დამრჩა ასეთი.
სიცარიელე ჩაანაცვლებს ჩემი ყოფის შეუმჩნევლობას
შენ კი ცხოვრების ბედნიერ წუთებს
ამოიტვიფრავ ნაოჭების იეროგლიფით
რომლებსაც დროდადრო მოხუცი ხელით დაუწყებ კითხვას
როცა სახეზე ხელს აიფარებ.

ჩემო მეგობარო
ნუ გეშინია ჩემი ღმერთის
ჩვენი ღმერთები ერთმანეთს ჰგვანან –
როდესაც გვიმძიმს
ეს ჩვენი გზები განსხვავდება
აქ მიწა ფეხებს გიჭერს
რელიეფიც სხვაა ფერებიც
აქ ღამის სიბრმავეში ციცინათელები სიკვდილს დაატარებენ
გზას უნათებენ რომ მოგაგნოს –
თუ სინათლე გაგიტყუებს ღამის გვირაბში –
აქ მეგობრობა სისხლიანი ხელის მიწოდებაა
სიყვარული დასალევი წყლის გაყოფა
იმედი კი ღამის ცხელ ქვიშაზე ჩამოყრილი ვარსკვლავების
თეთრი ნათება
რომელსაც ვერ შეაგროვებ
და უნდა გაფრთხილდე
უკანასკნელი იმედის ნატეხი არ გაგილღვეს
თვალიდან არ გადმოგიგორდეს
და ცხელმა ქვიშამ არ ააორთქლოს.

ჩემო მეგობარო
ეს შენი სიჩუმეა რომ ფეთქდება ჩემს ფანჯრებთან
და დანგრეულ სახლებს გულში აკვრევინებს იქ
მაცხოვრებლებს
შენი სიჩუმეა, შიმშილმა რომ ბავშვებს მუცლები გაუზარდა
იმედი კი ცხელ ქვიშას აჭამეს.
შენი სიმშვიდეა, რომ თვალდახუჭულიც სისხლის სუნით ვარჩევ
მეგობრებს
შენი გულგრილობაა, რომ მიწა ფეხებს მიჭერს
ჩემი დამარხული მეზობლების ხელებით
ეს შენი უდარდელი ცხოვრებაა, ჩემსას რომ არ გამჩნევინებს.
ჩემო უდარდელო მეგობარო
ჩემი შვილი ნანგრევებში ღმერთთან თამაშობს
რომელიც ცარიელი მასრებისგან გააკეთა
არ ვიცი ეს ვისი ღმერთია
იქნებ მხოლოდ ჩემი შვილის.

ჩემო მეგობარო
შენ არც კი იცი
როგორ შევყურებ შენს ყოველდღიურობას
სახელიც კი არ იცი ჩემი
არც ის, ჩემს ცხოვრებას როგორ გიყვები
იქნებ ერთ დღესაც გამოაღო შენი მშვიდი ცხოვრების
სარკმელი
და უცხო ღმერთის სამყაროში გამოიხედო –
სადაც სიკვდილს ოჯახის წევრებით ვითვლით.
სადაც ცხელი ქვიშა შიშინით ისრუტავს
ცოცხლადდარჩენილთა თვალებზე მომდგარ
უკანასკნელ იმედის წვეთებს.
ჩემო მეგობარო
მე ხანდახან შიში მიპყრობს
ჩემმა შვილმა სათამაშო ღმერთი არ დაკარგოს,
რომელიც ძალას მაცლის
რომ მიწით დაჭერილი ფეხები ფესვებივით არ ამოვიგლიჯო
და შენი ცხოვრების ვიწრო სარკმელს
ქვების სროლა არ დავუწყო
რომ დამსხვრეული მინებიდან ჩემი სამყარო შენს ოთახში
შემოვიდეს
და სისხლის სუნი დააყენოს.

ჩემო მეგობარო სხვა სამყაროდან
აქ ნატყვიარი დროშასავით ფრიალებს
ჩემი დამარხული მეგობრების ტანსაცმელი
მიწა ჯერ ისევ ფეხებს მიჭერს
სანამ ჩემს შვილთან ღმერთი თამაშობს.

როცა ფრანები ცაში დარჩებიან

როცა ფრანები ცაში დარჩებიან,
და დედამიწა დაიწყებს ვარდნას –
ჩვენ არ გავიქცევით,
და ვიტყვით,
რომ დიდი ხანია, აღარ გვჯერა იმ ზღაპრის,
რომელსაც ერთმანეთს ვუყვებოდით.
და რახანია, ვცდილობთ დავივიწყოთ ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს –
სახლი, რომელსაც ვთხოვთ სიმშვიდეს,
ცა, რომელსაც ვთხოვთ ჩვენიან ღმერთს
და სიცოცხლეც, – ეს გადამდები ინფექცია,
შეყვარებული წყვილები რომ ავრცელებენ...
ასეთ დროს ხომ არ არიან სიტყვები, რომლებიც გვიშველიან,
არ არიან ლექსები, რომლებიც მოგვყვებიან,
და არ არიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთში ხელს არ გვიშლიან.
ცხოვრებამ კუთხეში დაგვაყენა –
ჩვენ ხომ გზიდან მოვდივართ და მოვედით გზამდე,
იმასაც მივხვდით,
გზიდან გზამდე შორი ყოფილა,
თან მთელი გზა გვეგონა, რომ სიყვარულს ვჭამდით საჩემდაშენოს
და მშივრები ვრჩებოდით მუდამ,
განა ყველაფერს ვიგონებდით, ოცნებები იყო ნამდვილი,
ცხოვრება ხომ ცრუპენტელა ილუზიონისტია –
მან დაგვაჯერა ყველაფერი, რაც დაგვასიზმრა,
და ფეხიც არ შეგვადგმევინა.
სიზმრები ხომ არასოდეს ჰგვანან სიზმრებს,
ისინი მთელი დღე გიყურებენ,
მერე მთელი ღამე შენ უყურებ –
მხოლოდ უყურებ,
იქ ვერ იცხოვრებ, ვერ მოკვდები, ვერ გეყვარება, –

მაგრამ ეს არ იყო სიზმარი.
ეს იყო ცხოვრება, რომელიც სიზმარს ჰგავდა, სადაც გვეღვიძა.
ან, ეს იყო სიზმარი, რომელშიც ცხოვრებას ვხედავდით,
სიყვარული კი არ შეგვეძლო.

როცა ფრანები ცაში დარჩებიან,
და დედამიწა დაიწყებს ვარდნას –
ჩვენ არ გავიქცევით,
და ვიტყვით, კიდევ კარგი, ეს სიზმარია, რომელშიც გვღვიძავს
და სიკვდილი არ შეგვიძლია,
და დაე, უცქირონ შეყვარებულმა და ხელიხელჩაკიდებულმა
ვარსკვლავებმა ჩვენს ვარდნას,
ჩვენი მოწყვეტის გაელვებას ღამის შავ ცაზე,
და ჩაუთქვან სურვილები, –
იქნებ აუხდეთ.

ღმერთი შენთანაა

და როცა ორს შორის ერთია მართალი
და როცა ღმერთი ორივეს ახლავს
და როცა ღმერთის ნახევარი მტყუანია და
თავის მეორე მართალ ნახევარს ამტყუნებს და
როცა ერთდროულად მართალიცაა და მტყუანიც
და როცა საკუთარ თავთან თავის სიმართლეს არკვევს
მაშინ იწყები ფეხებიდან და მოდიხარ შუბლამდე
ისე რომ ახერხებ შენი კანკალის გაცნობიერებას
და ემსგავსები იმას როცა ორს შორის ერთია მართალი
და ღმერთი ორივეს ახლავს.
თან როცა ფეხებიდან დაწყებული და შუბლამდე ამოსული
თვალის ნაპირის გადასავარდნს ებღაუჭები და
ჩავარდნამდე ერთი ხელისკვრაა
და ნახევარი ხელისკვრაა და
როცა ხელისკვრა აღარაფერ შუაშია და
როცა ვარდები საკუთარი თვალების სიმაღლიდან და
ეცემი საკუთარ თვალებში და
ღმერთი შენთანაა.
და როცა ფიქრობ იმაზე რომ ორიათას ცამეტში
ვიღაცას საკუთარ სადარბაზოსთან მოკლავენ და
როცა ორივესთან იქნება ღმერთი და
როცა ღმერთი თავის თავს მოკლავს
და როცა შენ შეესწრები და ჩახედავ მომაკვდავ ღმერთს
თვალებში და
მის სიკვდილს ნახავ
და როდესაც მკვლელს ვერ ამოიცნობ
და მკვლელთან მყოფი ღმერთის გამარჯვებასაც ნახავ
ისევ დაიწყები ფეხებიდან და მიხვალ შუბლამდე
საკუთარი კანკალის გაცნობიერებით და
მაშინ ირწმუნებს რომ
ღმერთი ყველასთანაა.
და ერთნაირი ვერ იქნება შენთან და მათთან

და ერთადერთი რაც შეგიძლია
სადარბაზოსთან მკვდარ ღმერთს თვალები დაუხუჭო და
იმ გაქცეულ ღმერთს დაედევნო
ბნელ ქუჩებში შეფარებულ მკვლელს რომ თან ახლავს
და სდიო სდიო
თან გეშინოდეს ერთხელაც მართლა რომ დაეწიო და
იმ უცნაურ მიზეზს ვერ მიხვდე რატომ ვერ ტოვებს.
და
ისევ დაიწყები ფეხებიდან და მიხვალ შუბლამდე
და გული დაგწყდება
რომ ღმერთი ყველასთანაა
რომ ღმერთი ყველასთანაა
რომ ღმერთი
ყველასთანაა

შენ წაიკითხავ ჩემს ლექსებს მერეც

შენ წაიკითხავ ჩემს ლექსებს მერეც
როცა ხელები მიწად მექცევა
რომლითაც ახლა შენთვის წერილებს
ვწერ და სიცოცხლეს ვფანტავ ლექსებად

სიტყვებს რომლებსაც შენთვის ვაგროვებ
სიკვდილი განა რამეს დააკლებს
არამედ მკვდარიც რაღაცას გეტყვი
არამედ მკვდარიც ვილაპარაკებ

და გეტყვი როგორ მიმოვიფანტე
აქვე მეზობლად გადგმულ ფესვებში
ვიცი ცხოვრება შენთვის გრძელდება
რა ვქნა რომ მკვდარიც აღარ გეშვები

აქ ერთადერთი გზაა გავყვები
და მოვედები ფოთლებს, ბალახებს
და იქნებ ქარმაც ჩამკიდოს ხელი
რომელიც ნაცნობ ქუჩებს მანახებს

სადაც ლექსებში პირობას გწერდი
შენთან ვიქნები თუნდაც შორიდან
როცა ჩაივლი ფოთოლცვენაში
მე შემოგხედავ შემოდგომიდან

და არ გეგონოს რომ ისე მოვკვდი
რომ არაფერი არ დარჩა ჩემგან
მე ისევ ვცოცხლობ ისევ ახლოს ვარ
სადაც მომძებნი მიპოვი ყველგან

მე ახლაც ჩუმად გეჩურჩულები
როცა ფოთლებზე ქარი ქანაობს
სიკვდილი ისეთს ვერაფერს გვაკლებს
ერთმანეთს რომ ვერ ველაპარაკოთ

სიჩუმის სიმღერა

განა სიჩუმე ერთნაირი არის ყოველთვის,
როგორც სიკვდილი, ერთგვაროვნად, ისიც არ დგება,
სხვებთან სიჩუმეს სხვანაირად ამბობ და შენთვის –
უფრო შიგნიდან, უფრო მძიმედ და გედარდება –
რომ ამ დუმილში გადამდები გახდნენ დღეები,
ერთმანეთს ჰგვანან, შენ კი მათგან გარეთ გადიხარ
როგორც კარებში, გააბიჯებ და მოიხურავ
ზურგს უკან დუმილს, როგორც სიტყვას, ვერ ნათქვამს
დიდხანს.
განა სიჩუმე გამუდმებით ერთ სათქმელს ამბობს,
ერთ რამეს ნიშნავს, ისმინება ან ერთნაირად,
ხანდახან ღამის მარტოობას ბალიშში ალბობს,
ხან აგიტაცებს, გაგრძნობინებს თავს ღმერთნაირად.
განა გადაგვაქვს ერთმანეთში რამე სიტყვებით,
რომლებსაც ვეძებთ სუნთქვის შეკვრით განცდების ფსკერზე,
რომ მოყვე, ჯერ ჩვენ სიჩუმეზე როგორ ვიწექით,
მერე პირიქით, სიჩუმე რომ ჩამოწვა ჩვენზე.
და ბოლოს გიწევს, რომ სიჩუმით ელაპარაკო,
ვინც დაგრჩა იმათ, გინდა უთხრა, რომ არ გაოცდნენ –
რომ არ არსებობს ის სიჩუმე, სიტყვით რომ ვერ თქვა,
არც ის სიჩუმე, მოყოლისას რომ არ გამოგრჩეს.

ტატო ჩანგელია

გემშვიდობებით

მე ვტოვებ სახლის
ნაცრისფერ კედლებს
და გადავდივარ ქუჩის სივრცეში.
გემშვიდობებით ქოთნის ყვავილებო,
ჩაკეტილებო ფაიფურის კედლებით
და დაჯილდოებულებო ათასი
პირქუში წამონაზარდით,
რომლითაც ჩემს სხეულში იჭრებოდით
და ღაფავდით სისხლის მახინჯ ლეიკოციტებს.
გემშვიდობებით ტარაკნებო,
მიუხედავად იმისა, რომ მართმევდით
პურის ნამცეცებს, რომლითაც კუჭი უნდა გამეძღო.
გემშვიდობებით ჩემო ჩინურო კედებო,
თქვენ არ მჭირდებით,
ფეხშიშველიც კი თქვენზე უკეთ გავივლი გზებზე.
გემშვიდობებით მაისურებო, ტრუსებო, შარვლებო...
თქვენც არ მჭირდებით
(დეკორაცია უმნიშვნელოა),
მინდა, ყველას ვაჩვენო ჩემი მახინჯი სხეული –
ქათმის მკერდი, რომელიც ძუძუებს შუა გაჩხერილა,
როგორც ფუკუშიმის ბაღებში ამოსული ვარდის კოკორი.
გემშვიდობებით იარაღებო,
თქვენ ჩემი ღირსები არ ხართ,
ჩვენ ერთი ცალი ვარსკვლავიც კი ვერ ავაფეთქეთ ცაში
ხელის ხშირი კანკალის გამო.
გემშვიდობებით თაგვებო,
მიუხედავად იმისა, რომ ინსომნიის გრაფიკს ორმაგად
მიწელავდით,
იატაკზე ხმაურიანი მოძრაობების დახმარებით.
გემშვიდობებით ტელევიზორებო
და შიგ ჩაქსოვილო ფილოლოგიას მოკლებულო
ჟურნალისტებო,

თქვენ მე გჭირდებით, როგორც ყოველი მოძრავი არსება,
მაგრამ მე არ მჭირდება თქვენი ფერადი სხივები და ტყუილი
აზრები.
გემშვიდობებით კედლებო,
მიუხედავად იმისა, რომ არ მიშვებდით თქვენგან
და ცდილობდით, ჰაერი არ მოგეშვათ ჩემს ცხვირთან ახლოს.
გემშვიდობებით ფანჯრებო,
მიუხედავად იმისა, რომ ყოველღამე თქვენგან შემოდიოდა
გარედან ხმები, ჯადოსნური ხსნადების გამყიდველების.
გემშვიდობებით და გჯეროდეთ,
სახლი, რომელშიც აღარ ვიცხოვრებ,
ჩემ გარეშე არასდროს იქნება ცარიელი.

* * * (დედა, როცა მტკივა, შეგიძლია მოხვიდე)

დედა, როცა მტკივა, შეგიძლია მოხვიდე
და მითხრა რომ სისულელეა ყველა ტკივილი,
ნუთუ არ შეგიძლია, მირჩიო ახალ გზაზე გამგზავრება
და შენივე ხელით ამომილაგო ძველი ზურგჩანთიდან
იმედგაცრუებები, სუნიანი მოგონებები, ტკივილის გამომწვევი
აბები...
და ჩამილაგო მზე – გზის გასანათებლად
და ჩამილაგო კანფეტები – გზაში დროის გასაყვანად
და ჩამილაგო სამედიცინო ბინტი – გზაში მოყენებული იარების
შესახვევად.

დედა, ვიცი რომ გამოგივლია უამრავი ტკივილიანი დღე
შენი ცხოვრების ჟანგიან ტყეში, იქამდე, სანამ შეხვდებოდი
მამას.
მე ვიცი, რომ მამამ გაგიქრო ჩვევად ქცეული
დეპრესიული ჟესტები ქარიან აბაზანაში,
ღამის ლანდებთან საუბარი აივანზე ლამპიონივით დაკიდებულ
მთვარის შუქის ფონზე,
მთვარეულივით სიარული გათენებამდე ტუალეტსა და ლოგინს
შორის...

მე ვიცი, რომ როგორც კი გახდი კარგად,
მამა ნახმარი ფეხსაცმელივით მიაგდე ნაგვის ბუნკერთან.

როცა დრო გავიდა და ყველაფერმა იცვალა ფერი,
ანუ როცა შენ ისევ შეხვედი შენი ცხოვრების ტყის ჟანგიან
ადგილას,
მამა გაგახსენდა, მაგრამ მიხვდი, რომ ყველაფერი გვიანაა.

ალბათ მამა რომელიმე უბედურმა ქალმა მოირგო ფეხზე
და მას შემდეგ ერთად თანაარსებობენ ბედნიერად.
ალბათ მამა ახლა დგას აივანზე და ტელევიზორის პულტით
ცვლის ვარსკვლავების განლაგებას ღამის ცაზე.
ჰყავს ალბათ შვილები – ორი, ან სამი,
ჰყავს ძვირადღირებული მანქანა,

აქვს სტაბილური სამსახური
და ცხოვრობს ცხოვრების ტყის ყველაზე ფერად ადგილას.

დედა, ჩემი ტკივილები ტერორისტების მოქარგული ბომბებია,
რომლებიც გულში მილაგია და ნელ-ნელა ფეთქდებიან.
დედა, შენ შეგიძლია მითხრა, რომ ეს სისულელეა,
მაგრამ შენ პულსი აღარ გაქვს...

წყვეტა

და მაინც, ყველაფერი როგორ ტრაგიკულად წარიმართა,
და მაინც, როგორ მალე მორჩა ეს ისტორია.
მარტივი –
როგორც კალკულაცია.
არასწორი –
როგორც პოლიტიკა და სამართალი.

და მაინც, არსებობს შანსები.
მე ვიძინებ.
დედა, თუ ტელეფონმა დარეკა, უპასუხე,
არაფერი თქვა ზედმეტი,
– უყვარხარ, – უთხარი და გათიშე.

3. პროზა

თეა თოფურია

მამლუქი

– ალი ბეგ, ალი, ალი ბეგ...

ისკანდერი მანჯღრევს. მერე ფეხმორთხმით ჯდება. ჩაფიქრებულია.

– ხომ გითხარი, თუ ვინმე არ მოკვდა, არ გამაღვიძო-მეთქი.

– მოკვდა, ალი ბეგ.

– ვინ?

– ჯემალ ხანის ბავშვი, პატარა.

– რომელი ძიძა მე მნახე?! მეომარი თუ მოკვდა ვინმე?

– დიდი ფრინველი მოვიდა და ბავშვი თავის ბუდეში წაიღო.

– ....

– ფაშა ამბობს, დემონი იყოო. ამბობს, რომ დემონები გვებრძვიან.

– კიდევ რას ამბობს ფაშა?

– ფაშას შენი ნახვა უნდა, ალი ბეგ.

დიდი დარბაზი მწვანე აბრეშუმით აქვთ მორთული, ხალიჩები ერთმანეთზეა გაფენილი. სარკმლიდან სამი ვარსკვლავი იყურება, პატარაა, სამ ვარსკვლავზე მეტი არასდროს ჩანს. აბრეშუმს ადუღებულ წყალში ღებავენ.

– ოსმალებს მოვერიეთ, ალაჰი შეგვეწია. მაგრამ ახლა გულმოსულია ალაჰი, დემონები მეომრებს გვიხოცავენ, გუშინ დემონმა ბავშვი წაიღო.

მე უცნაური სენი მჭირს, ერთდროულად ბევრი სხვადასხვა ნივთის აღქმა არ შემიძლია. აზრი გამირბის. ჩემს ოთახში საწოლიც არ მიდგას, მხოლოდ ყველაზე აუცილებელს ვტოვებ. ფაშას ვუსმენ და თან თვალში მწვანე აბრეშუმი მეჩხირება. ფაშა მეუბნება, რომ მეომრების გახშირებული სიკვდილი და

სხვა უცნაურობები ალაჰის რისხვის ნიშანია. მე ვფიქრობ, რომ აბრეშუმი ცხელ წყალში გამოჰყავთ. როდესაც აბრეშუმს აკეთებენ, ყველაფერი იორთქლება. ძაფები გავარვარებულია. აბრეშუმის ხელოსნები დიდხანს ვერ ცოცხლობენ.

– ალი ბეგ, დემონი უნდა მოძებნო.

– უსხეულო სულთან მე რას გავაწყობ?

– ადამიანების რომ არ ეშინოდეს, არც დახოცავდა.

მერე ამ ძაფებს ღებავენ და ზოგიერთისგან ხალიჩებს ქსოვენ. მუსლიმი ქალის ხასიათს მისი მოქსოვილი ხალიჩით იცნობ. მუსლიმი ქალი მთელი დღე ქსოვს, მთელ თავის ვნებას ხალიჩაში დებს. ამ იატაკზე ხუთი ხალიჩაა გაფენილი, არჩევა რომ შემეძლოს, იმ ქალთან დავწვებოდი, რომელმაც მეორე მოქსოვა, მოიისფრო, პატარა ხაზებითა და ფიგურებით. ასეთი ხალიჩის მქსოვ ქალებს ალერსიც ასეთი აქვთ, ყველა ნაკვთს გითვლიან.

* * *

ისკანდერი ისევ ჩემს ოთახში ზის. ხან იატაკს უყურებს, ხან – მე. მზერა არ ეცვლება. როცა მე მიყურებს, გეგონება, ისევ იატაკსაა მიჩერებული.

– შენ რომ უსხეულო იყო, ისკანდერ, ჩემი რატომ შეგეშინდებოდა?

– მე არც ახლა მეშინია შენი, ალი ბეგ.

– დემონებთან ომს გვავალებს ფაშა. გათენდება და გავიდეთ მეჩეთში. ვინმე ჩვენზე ჭკვიანს ვკითხოთ.

– ახლავე გავიდეთ, ხალხს თვალში არ შევეჩხირებით.

– გათენდეს, ისკანდერ.

– რადგან დემონებს ღამე უყვართ?

– არა, მე მიყვარს, როცა თენდება.

* * *

ისკანდერს ჯერ კიდევ სტამბოლის ბაზრობიდან ვიცნობ. ბოძზე მიბმული პატარა ბიჭი ხალხს დასიცხული თვალებით ვათვალიერებდი, როცა მუშტარი მომიახლოვდა. ისკანდერი უკვე ნაყიდი ჰყავდა. აქლემზე გადაკიდულ ხურჯინში იჯდა და ორი კვირის დაუბანელი ხელებით ხმიადს ღოღნიდა. ისკანდერს ვუყურებდი და არც გამიგია, ჩემში რამდენი გადაიხადეს. ახალმა პატრონმა ხურჯინის მეორე თვალში ჩამსვა, უცნობ ენაზე ლაპარაკობდა და აქლემს მიერეკებოდა.

– შენზე ამბობს, ამისგან კარგი მამლუქი დადგებაო, – მითხრა ისკანდერმა.

მე ხურჯინში მოვიკუნტე და ჩამეძინა.

* * *

დიდ წიგნებს ტყავის სუნი ასდის. მოლა ზის და არაფერზე ფიქრობს. მისი მზერა ისეთივეა, როგორც ისკანდერის, როდესაც ის იატაკს უყურებს. ადამიანის ფიქრების გამოცნობა ძალიან ადვილად შეიძლება, უბრალოდ უნდა დააკვირდე მის გამომეტყველებას, სახის ნაკვთებს, ხელების მოძრაობას და ეს ყველაფერი ნაცნობ და გულწრფელ ადამიანზე გადაიტანო. მე, როგორც წესი, ისკანდერზე გადამაქვს, რადგან ისკანდერი ან არასოდეს მატყუებს, ან არასოდეს ყოფნის იმის მოხერხება, რომ მომატყუოს. ისკანდერს კარგად ვიცნობ.

– დემონს ლოცვის ეშინია, ჩვენ ვილოცებთ, ღამითაც. ადრე თუ გვიან დაგვტოვებენ. არაფერი იდარდოთ, ალი ბეგ.

მოლას გაშეშებული სახე აქვს და ჩემ მიღმა იყურება. როცა ისკანდერს ასეთი სახე აქვს, უბრალოდ უნდა, შიში არ შეიმჩნიოს. მოლასაც ალბათ ეშინია.

– არა მგონია, ღამე ლოცვა კარგი იყოს, მაინც ყველა გაიგებს და ყველას ეცოდინება, რომ რაღაც საფრთხეს ვგრძნობთ.

– ისედაც ყველამ იცის, რომ ხალხი იხოცება. დემონს ლოცვის მეტი არაფერი დააფრთხობს. ეშმაკს ხელი და ფეხი არა აქვს, აიღე წყალი და ქვას დაასხი, დასველდება და ისევ გაშრება.

რატომღაც ჩემი ცხენი მიდგას თვალწინ. ფიქრების გასაფანტად თავს ვაქნევ და მეჩეთიდან გამოვდივარ.

სისულელეა ეს ყველაფერი.

კედელი საწოლიდან სამ მეტრშია. მურით ორი წერტილი მაქვს მონიშნული. როდესაც ვფიქრობ, მათ ვუყურებ, აზრების მოკრებაში მეხმარება. ერთი წერტილი მაღლაა, თვალის სიმაღლეზე, მეორე უფრო დაბლა, ისიც თვალის სიმაღლეზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვზივარ.

ახლა ვზივარ და დაძაბული მივჩერებივარ. ისკანდერი ჩემ უკან ზის, თვალებში რომ არ გამებლანდოს.

– დემონების მოხმობა მარტო ძალიან ძლიერ ჯადოქრებს შეუძლიათ, – მესმის ზურგს უკან. ისკანდერმა იცის, რომ დემონების და მსგავსი სულების მაინცდამაინც არ მჯერა. ისკანდერი ხშირად ამბობს, რომ ურწმუნო ვარ, – ნაგიბ ხანი თავად ვერ მოუხმობდა დემონებს, უნდა გავიგოთ, ვის დაავალეს.

– და როგორ უნდა გავიგოთ? – ირონიულად ვამბობ. ისკანდერი მართალია, არ მჯერა დემონების. მეომრებს, როგორც წესი, ისევ მეომრები ხოცავენ.

ისკანდერი ჩუმდება. უდაბნოდან ლომის ღრიალი ისმის.

* * *

შარშან ანტილოპების მთელი ჯოგი უდაბნოდან გადაიხვეწა, ლომები დაიმშნენ და სოფლებში ხალხს ესხმოდნენ თავს. ფაშამ მასაების ორი ჯგუფი დაიქირავა, თითო მკვდარ ლომში ლეოპარდის სამ ტყავს და მეოთხედ ტომარა მარილს იძლეოდა. ათი ლომი მოკლეს და ჯუნგლებში დაბრუნდნენ,

მეტი ტყავი და მარილი აღარ უნდოდათ. გაძვალტყავებული ლომები ისევ სოფლებს უვლიდნენ გარშემო...

– ალი ბეგ, შენ წახვალ და ლომებს დახოცავ.

– სჯობს, ისევ მასაებს შევაძლიოთ რამე ძვირფასი, მე ლომებზე ნადირობის არაფერი ვიცი.

– მასაებს ვერცხლი და ფარჩა რად უნდათ, აღარც მარილი. ვერ დავხარჯავთ და აგვიორთქლდებაო. მასაები უკვე გაბრუნდნენ.

ერთი სოფელი მთლიანად იყო დაცლილი. ყველა სახლში რიგრიგობით ვათევდი ღამეს იმ ფიქრით, რომ ლომები თავს დამესხმებოდნენ. ხმალი და დანა მუდმივად თან მქონდა. ორი მოვკალი.

იასმინი მეოთხე ღამეს მოვიდა. ლამის თენდებოდა, გაღებულ კარში ქალი რომ ჩადგა.

– ვინ ხარ?

– ეს ჩემი სახლია.

ჩადრი არ ეფარა, არც ჩემს დანახვაზე აუფარებია. ზიზღით მიყურებდა.

– ქურდი ხარ?

– ლომებს ვხოცავ. რატომ დაბრუნდი? აქ სახიფათოა.

დაჯდა, კარგად შემათვალიერა და მერე გაიცინა.

– რატომ ხოცავ ლომებს, ისინი ხომ ქრისტიანები არ არიან!

იასმინი არ ქსოვდა ხალიჩებს. არ მიკითხავს, მ აგრამ ალბათ არასდროს მოუქსოვია. მის სახლში ხალიჩები არ ეფინა. იასმინს მე ვუყვარდი, თითქმის მეც მიყვარდა და სანამ ჩვენ გვიყვარდა, სოფლები ლომებმა აიკლეს.

– უნდა წავიდე.

– არ წახვიდე, ალი ბეგ.

– შენც წადი. აქ სახიფათოა. ან საერთოდ რატომ დაბრუნდი?

– სახლში დავბრუნდი.

– ამ სახლში? აქ თაგვების ნაცვლად ლომები და მორიელები დარბიან.

– ყველა ბრუნდება სახლში. შენც დაბრუნდები.

– ჰოდა, მივდივარ კიდეც, ოღონდ შენც წადი.

– ალი ბეგ, რამე თუა ისეთი, რაც ძალიან გიყვარს?

– როგორ არ არის.

– მეც ასე მიყვარხარ.

– ვიცი, მაგრამ...

– რატომ მომკალი, ალი ბეგ, მე ხომ ლომი არ ვიყავი...

* * *

ისკანდერი სადღაცასაა გადაკარგული, რამდენიმე დღეა, არ გამოჩენილა. ჯემალ ხანის სახლიდან უცნაური ხმები აღწევს. მკვდარი ბავშვის დედას, ლატიფანს შინ ვეღარ აკავებენ.

ისკანდერი შუადღისას მოვიდა, პატარა თვალები აქვს, ჩაისფერი.

– ლატიფან ხანუმი სახლიდან ეპარებათ ხოლმე, ხეებზე მიძვრება და ბუდეებში ბავშვის ჩონჩხს ეძებს. ბანგით აბრუებენ, თუ გრძნობაზე მოვიდა, მაშინვე გარბის. ალბათ, მასაც დემონი შეუჩნდა.

– რაღა დემონი გინდა, თუ შვილს ფრინველები დაგიძიძგნიან, – ვეუბნები ზიზღით.

ისკანდერი გაჩუმებულია.

– სად იყავი?

– ვფიქრობდი, ალი ბეგ.

– მერე, რა მოიფიქრე?

– ტყვეები უნდა ვნახოთ, მათ ეცოდინებათ, ვინ ჰყავს ნაგიბ ხანს ასეთი სასწაულმოქმედი.

– ჩვენ არა გვყავს ტყვეები, ისკანდერ, დაგავიწყდა? ყველა დავხოცეთ.

– ჩვენ დავხოცეთ, მაგრამ სხვებს არ დაუხოცავთ.

მე გულსგარეთ ვუსმენ. ხმები დადის, რომ ფაშა სადღაცას ორმოცდაათამდე ტუსაღს მალავს. სინამდვილე არავინ იცის, არც – მე.

– ასეც რომ იყოს, ფაშა მაინც არ გვეტყვის.

– ფაშას არც უნდა ვკითხოთ.

– აბა, სად გინდა ამ ხალხის ნახვა?

– ხალხი იქაა, სადაც საჭმელია.

– სამზარეულოში, ისკანდერ?

– დემონივით დამცინავი ხარ, ალი ბეგ. მე იმის თქმა მინდა, რომ თუ ტუსაღები მართლა სადმე არიან, ვიღაც ისეთიც იქნება, ვინც მათ პურს და წყალს აწვდით.

ისკანდერი ისევ რამდენიმე დღით გადაიკარგა.

– ჯემალ ხანს შენი ნახვა უნდა, – მითხრა წასვლამდე.

* * *

ჯემალ ხანი ახალგაზრდა ბიჭია, თვრამეტი წლის. წინ და უკან დადის და თავის მაღლა აწევის ეშინია.

– ლატიფანი ისევ გაიპარა. საჭურისები გავაგზავნე, ვერ პოულობენ. დემონი დაეუფლა მის სულს.

საცოდავი ქალი ალბათ ჭკუიდან შეცდა, სადმე უდაბნოში ტანსაცმელშემოფხრეწილი დარბის. საჭურისებიც იმიტომ

გააგზავნა, რომ მისი სახე კაცმა არავინ დაინახოს.

– მოძებნე, ალი ბეგ, – ჯემალ ხანი ერთიანად წითლდება. მე თავს ვუხრი და მივდივარ.

* * *

ლატიფანს მესამე დღეს გადავაწყდი. ერთ მაღალ ხეზე იჯდა გაწეწილი. უკან ვერ ჩამოდიოდა. ასე კატებს ემართებათ ხოლმე.

– საჭურისი ვარ, ხანუმ, – ვიცრუე.

ხმა არ ამოუღია.

მაღლა აძრომა დავიწყე. როგორც იქნა, მივაღწიე ქალამდე. ცახცახებდა და ცდილობდა, დაბლა არ ჩაეხედა.

– კისერზე ხელები მომხვიე და თვალები დახუჭე.

ზურგზე ამეკრო, მთელი ტანით ვიგრძენი ახალგაზრდა გოგოს შიშისგან გაოფლილი სხეული. ხელები დამიბუჟდა. ნელა ჩამოვედი ხიდან.

მიწაზე დადგა ფეხი თუ არა, დაბარბაცდა. როგორც ჩანს, უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ხეზე იჯდა. ლამაზი სახე ჰქონდა. ალბათ უყვარდა ჯემალ ხანს. ალბათ გაუჭირდა ჩემი გამოგზავნა.

– ხომ მართლა საჭურისი ხარ? – კიდევ იკითხა, როცა დაინახა, რომ ვაკვირდებოდი, მერე წელს ქვევით გაექცა თვალი.

– კი, – ისევ ვიცრუე.

– წყალი მომეცი.

წყალი და პური მივეცი. ხარბად ჭამდა. მერე უცებ წამოვარდა და გაიქცა. მკლავები მოვხვიე, რომ როგორმე გამეკავებინა.

ცხენზე შევაგდე და თვითონაც შევჯექი.

ღამემ გზაში მოგვისწრო. ჩამოვედით. ცხენი და გოგო, ორივე ხეზე მყავდა მიბმული. არ გამძალიანებია. სანამ დამეძინებოდა, ლატიფანის ჩუმი ღიღინი ჩამესმა: «რაც მოიტანა აღმოსავლეთის ქარმა,

გავატანე აღმოსავლეთის ქარს.

რაც მოიტანა დასავლეთის ქარმა, დავიტოვე.

ჩემი ბავშვი ჩიტებმა გაიყვეს.

თივის ბუდე და თიხის ბუდე ჩემი შვილის ზეწრებია.

ჩემი ბავშვი ჩიტებმა გაიყვეს და ერთად გაფრინდნენ»...

* * *

ისკანდერი რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა და ხის ქერქი მოიტანა.

– ფაშას მზარეული ამ ხის ქერქებს ყოველდღე ამზადებს და სადღაც მიაქვს. ვის შეიძლება ასეთი საზიზღრობა აჭამო?

– მტერს, – დავუდასტურე მე, – ერთხელ მაინც გაყევი უკან, სად მიდის?

ისკანდერმა თავი დააქნია და მერე სარკმელში გაიხედა.

– იქ, – კლდეზე მანიშნა.

– კლდეზე კაცი როგორ უნდა დამალო?

– სამი დღეა, მანდ დავდივარ, არავინ დამინახავს. ალბათ, გამოქვაბულია შიგნით. ალი ბეგ, გახსოვს, იმ კლდიდან წყარო გამოდიოდა, ახლა აღარ გამოდის.

– ცხელი ზაფხულია, დაშრებოდა.

– ალბათ, იყენებენ ამ წყალს.

– თუ ასე გგონია, მაშინ იმასაც დააკვირდი, მზარეული სად შედის.

ისკანდერი ახლა ორი დღის მერე მოვიდა.

– კლდის მარცხენა ფერდობზე გამოქვაბულის ყელია. თოკის გარეშე ვერ ჩავალთ.

– ის სპილოსავით მზარეული თოკით ჩადის?

– საჭმელს აწვდის თოკით.

შუაღამისას გავედით...

* * *

აუტანელმა თავის ტკივილმა გამაღვიძა. ასე ხშირად მემართება. მგონია, თავში რაღაც მიზის. ერთხელ, უდაბნოში, თითისტოლა, ყავისფერი მწერი დავინახე, ბევრი ფეხით. მაშინვე ეს საოცარი ტკივილი გამახსენდა. მეც რაღაც ამდაგვარი მაქვს თავში, უამრავი ფეხი აქვს. ხან გაჩერებულია, ხან ტვინის ერთი ადგილიდან მეორემდე გადაირბენს. იმდენად მტკივნეული არაა, რამდენადაც ამაზრზენი, მწერის საცეცებს თითოეული უჯრედით ვგრძნობ და ერთიანად მაკანკალებს. უამრავი ნახარში მაქვს დალეული. არაფერს უშველია. დარწმუნებული ვარ, რომ ოდესღაც, როცა მიწაზე მეძინა, ის მწერი თავში შემიძვრა და მას შემდეგ იქაა. ვერ გამოდის. რაზა მეუბნებოდა, რომ შეუძლებელია, ადამიანის სხეულში რომელიმე მწერი გაჩერდეს. რაზა ექიმბაშია, ომებში თან დაგვყვება და დაჭრილებს უვლის. ამას რომ მეუბნებოდა, მე ცხენიდან ჩამოვარდნილი, მიწაზე ვიკლაკნებოდი ტკივილისგან, ის კი თავზე მადგა. შორიახლო ჯერ კიდევ იბრძოდნენ.

– დაჭრილი ხარ, ალი ბეგ?

– თავში მწერმა გაირბინა.

– ადამიანის სხეულში მწერი ვერ ჩერდება.

– ჭიები ხომ ჩნდებიან მუცელში.

– მუცელი ეშმაკისაა, თავი – ღმერთის. როგორია ის მწერი?

– ცერის სიმსხო და ბევრი ფეხით.

– ტვინია თვითონ ეგეთი, ალი ბეგ, წვრილად დაქსაქსული. სისხლი აწვება და მაგას გრძნობ.

– ამ მწერის გამო არ შემიძლია ყველაფერი ერთად დავინახო.

რაზამ შემომხედა.

– შენ ხომ გხედავ, შენ გვერდით ცხენია. ორივეს ერთად ვერ გხედავთ, ან – შენ, ან – ცხენს.

იქვე ოსმალის ცხედარი ეგდო. რაზამ ხმალი დაკრა თავზე, მერე ამ თავიდან სისხლიანი, დაკლაკნილი მასა ამოიღო და დამანახა.

– ტვინი ასეთია, ალი ბეგ. ეს ჰგავს შენს ტკივილს?.

მე თვალი მოვარიდე, რომ გული არ ამრეოდა.

– ჰგავს.

* * *

მზე ნელა ამოდიოდა. ჩემი სარკმლიდან მზე და მდინარე ჩანს. მზის ამოსვლას მანამდე ვუყურებ, სანამ მიწას არ ასცილდება. მდინარესთან ბეჰემოტები წვანან. ხანდახან, ისინიც იღვიძებენ და დგებიან. მიყვარს, თუ ბეჰემოტმა მზე გადაკვეთა. ახლაც ერთი წამოდგა და პირდაპირ მზისკენ დაიძრა ზოზინით.

– ალი ბეგ, ჩქარა...

ქვეყანა რომ გაწყდეს, თვალს ვერ მოვაშორებ. «რამე თუ არის ისეთი, რაც ძალიან გიყვარს»... ბეჰემოტი შუა გზაზე შეჩერდა და ხმამაღლა დაიღრიალა.

მზე მიწას აცდა. ორი თითის დადებაზეა ცაში ასული.

– ალი ბეგ, ალი!

სარკმელს თვალს ვწყვეტ და იქითკენ მივდივარ, საითაც ხმაურია.

იასმინსაც ასე ვუყვარდი.

მინარეთის ქვეშ ხალხია შეყრილი. მოლა ქვევით დგას დაბნეული. მინარეთიდან ქალის ხმა ისმის.

– ალაاااااا

ფეხს, როგორც კიბორჩხალას აცლიან საცეცებს, სანამ იხარშება.

მოხუცი ძლივს ლაპარაკობდა. ისკანდერმა წყალი მისცა. გამოქვაბულში სამოცამდე ტყვე ჰყავდათ დაბმული, რკინის ჯაჭვებს აჩხარუნებდნენ და თვალებით გვჭამდნენ. მოხუცი სალილზე ლაპარაკობდა: სალილმა მკვდრები გააცოცხლა და ისევ დახოცა; სალილმა ქარს დაუძახა, სალილს ორმოცი ცოლი ჰყავს, ოთხმოცამდე შვილი და ყველა მისი ბავშვი მუნჯია.

რამდენჯერმე დამესიზმრა ის გამოქვაბული...

– სულწართმეული იყო, – თქვა ისკანდერმა, როცა ისევ კლდეზე ამოვედით.

მე შევხედე.

– გონზე არ იყო, ალი ბეგ. არ იცოდა, რას ლაპარაკობდა.

თავიდან მეგონა, რომ საჭმელი აგიჟებდათ. ორი დღე ხის ქერქებს ვხარშავდი ჩემს ოთახში და ვჭამდი. საშინელება იყო, მაგრამ ჭკუისთვის არაფერი დაუკლია, უბრალოდ, ვბოროტდებოდი.

– შეიძლება, მართლაც არსებობს სალილი. თუ ადამიანი ასეთი ცნობილია, ორმოცი ცოლი და ოთხმოცი ბავშვი ჰყავს, ადვილად ვერ დაიმალება.

ისკანდერი აიმრიზა, სალილის ძებნა დროის კარგვად ეჩვენებოდა.

* * *

ისევ მოლასთან ვზივართ, იგივე ტყავის სუნში. მოლა ფიქრობს. როდესაც ისკანდერს თავი ასე გვერდულად აქვს ჩაქინდრული, მას უბრალოდ უნდა, მოშორდნენ.

– ჯადოქრები ალაჰის ძალასთან ვერაფერს გააწყობენ, ალი ბეგ. ჩვენ ვილოცებთ.

რატომ მახსენდება ჩემი ცხენი რამდენჯერაც აქ შემოვალ? ალბათ ტყავის სუნზე, უნაგირიც ტყავისაა და მასაც ასეთი სუნი ასდის, როდესაც მთელი დღის ჭენების შემდეგ ოფლისგან სველდება.

ოთახში ვბრუნდები და ვცდილობ, აზრები მოვიკრიბო. ისკანდერმა ერთი ქალი მოძებნა, სალილის სახლში მსახურად იყოო.

ქალი ერთიანად ჩადრშია შეფუთული, მარტო თვალები უჩანს.

– სალილი დიდი ბატონია, ალი ბეგ. მდიდარი და გავლენიანი. ბევრი ამბობს, რომ დიდი ძალაც აქვს, მე არ ვიცი. არ მინახავს, ბატონს რამე უჩვეულო გაეკეთებინოს, არც სხვებს უნახავთ. მე მგონია, რომ ბატონი ავადაა და ყველა მისი ბავშვიც ავადაა.

– თუ სალილი ჯადოქარი არ არის, მასზე ასეთი ხმები რატომ დადის?

– არ ვიცი, ალი ბეგ, ალბათ, შიშისგან. ხალხს ეშინია სალილის, მისი სასახლის...

– რა ხდება სასახლეში?

– სიჩუმეა. ოთხმოცი ბავშვი ცხოვრობს და ბგერაც არ ისმის. როცა ბავშვებს რაღაცა უნდათ, მოდიან და გიყურებენ. ხალხს ძალიან ეშინია.

ისკანდერი ქალს აკვირდება. ის მიდის.

– ხომ ვამბობდი, რომ სალილის ძებნა არც ღირდა.

* * *

პარასკევს ორმოცდაათამდე ადამიანი გარდაიცვალა. გვამები დარბაზში ესვენა. ჭრილობები არ ეტყობოდათ. თითქოს, ყველას ერთდროულად გული წაუვიდაო.

– მოკვდა მორიელი? – თქვა ჩემ უკან ვიღაცამ.

რაზა იყო.

– იმ დღესვე.

გარეთ გამოვედი და მდინარეს გავუყევი. ჭალაში ბეჰემოტი იდგა. პატარა თვალებით დამაკვირდა, მერე მდინარეში შეტოპა და ჩაწვა.

* * *

თავი! სანამ ტკივილი არ გადავა, გონს ვერ მოვდივარ ხოლმე, მაგრამ როცა მოვდივარ, ისკანდერს ყოველთვის ძალიან შეშფოთებული სახე აქვს.

– უკეთ ვარ, – ვეუბნები და ფეხზე ადგომას ვცდილობ.

– წყალს ადამიანის ძვლები მოჰყვება, ალი ბეგ.

იატაკზე დაბჯენილი ხელი მიშეშდება. ისკანდერი შუშის თვალებით მიყურებს, ხელში ძვალი უჭირავს, ნეკნს ჰგავს.

– ჭაში იყო.

გარეთ გავდივართ. ქალაქში სულ რამდენიმე ჭაა და ყველა ერთი და იგივე მიწისქვეშა წყაროდან ივსება. სათლით ამოღებულ წყალს ძველები, ჭუჭყი და ტანსაცმლის ნაფლეთები ამოჰყვა. ახლა წვიმების სეზონია. წყალს ალბათ რაღაც შეერია, მაგრამ ასეთ სიღრმეში არასოდეს არავის ვმარხავთ.

– ჭებს არ გაეკაროთ, – ვამბობ ხალხის გასაგონად, – წყალი სხვა ქალაქის ვაჭრებისგან იყიდეთ, ვისაც ყიდვა არ შეგიძლიათ, ორჯერ აადუღეთ დალევამდე.

ხალხი უკმაყოფილოდ დუდუნებს.

სახლში ვბრუნდები. ჭები თუ ვერ გავასუფთავეთ, ყველას აყრა მოგვიწევს. ამას მერჩივნა, მართლა დემონების ხროვას გადავწყდომოდი.

– საღამოს წყაროს სათავესთან ავიდეთ. – ვეუბნები ისკანდერს.

თავს მიქნევს, უგუნებოდაა, თვითონაც ხვდება, დიდ უბედურებას ვართ გადაყრილნი.

ჰაერი აგრილდა თუ არა, გარეთ გამოვედით. დაახლოებით ვიცი, მიწისქვეშა წყარო სად იწყება. წვიმამ ისევ დასცხო. მუხლამდე ტბორში ვდგავარ და აქეთ-იქით ვიყურები. ჩემი საქმე ხმალი და ცხენია, რა გავიგო, მიწის ქვეშ რა ხდება.

– შეხედე, ალი ბეგ!

ჰორიზონტს გავყურებ, ჩვენკენ ვიღაც ქალი მორბის, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ქალაქიდან აგვეკიდა. აქოშინებული გვიახლოვდება და ხელისგულზე დადებულ ძვირფას საყურეს გვაჩვენებს.

– ეს ჩემს ქალიშვილს ეკეთა, როცა დავმარხეთ. დღეს წყალს ამოჰყვა.

– სად მარხია შენი ქალიშვილი?

– სასოწარკვეთის მიწაზე, სულ განაპირას.

* * *

სასოწარკვეთის მიწა უდაბნოს კლდიანი ნაწილია. ასე ჰქვია, რადგან აქ თუ დაიკარგე, ვერავინ გშველის. აქ ხშირად მოდიან თვითმკვლელები და დილით მათ მორიელებისგან დაკბენილს ან ნადირისგან დაძენძილს პოულობენ. ვინც აქ კვდება, აქვე მარხავენ. ხალხს სჯერა, რომ თვითმკველელის საფლავი სახიფათოა.

სასოწარკვეთის მიწაზე წასასვლელად ისკანდერი საგულდაგულოდ ემზადება. შორს არაა, მაგრამ აუცილებლად შეიარაღებული უნდა იყო, ხელნაწერი რუკები და ტანსაცმელი, საკვები უნდა გქონდეს. წყალიც. წყლის საყიდლად ერთი ქისა ფული გავატანე. ვაჭრებსაც უთავდებათ და ოქროს ფასი ადევს.

დილით აქლემებით გავედით.

ამ მიწას საფლავები არ ეტყობა, თუმცა, ზუსტად ვიცი, სადაც ახლა ვდგავარ, იქ აუცილებლად ვინმე იქნება ჩამარხული. რამდენიმე ჩონჩხი აქა-იქ არის გაბნეული. მიწა სველია. წვიმებმა ალბათ მთელი ეს ქვიშა ბამბასავით გაჟღინთა და დაალბო. წყაროს სათავედან აქამდე საკმაოდ შორი მანძილია, მაგრამ, როგორც ჩანს, მიწისქვეშა ნაკადმა მიმართულება მართლაც შეიცვალა. ისკანდერი თავს ურწმუნოდ აქნევს.

– მიმართულება რომ შეეცვალა, ჭებში წყალი დაშრებოდა. მე მგონია, რომ აქ რაღაც სხვა წყარო გაჩნდა, ის ძველ წყაროს უერთდება და მთელი ეს საწამლავი ქალაქში ჩააქვს.

იქაურობას გონებაარეული ვუყურებ. არ მინდა, შეტევა დამეწყოს. აქლემზე ვჯდები და ისკანდერს ვანიშნებ, უკან მომყვეს. მზის ჩასვლის მიმართულებით მივდივარ. ამ მიწებიდან ქალაქამდე ეს ყველაზე მოკლე გზაა. შარშან ანტილოპების ჯოგი უდაბნოდან გადაიხვეწა და გაძვალტყავებული ლომები ცარიელ სოფლებს აწიოკებდნენ... იასმინი აქ ვიპოვე ორი დღის ძებნის შემდეგ. აქვე დავმარხე. წესი არ არის თვითმკვლელების ხალხთან ახლოს დამარხვა. თვითმკვლელის საფლავი სახიფათოა, მისგან დარდი და სასოწარკვეთა, ბოღმა და ბრაზი მოდის. თვითმკვლელი მამლუქივითაა, ის საკუთარ თავს კარგავს და ცივსისხლიანი მკვლელი ხდება.

– თვითმკვლელის საფლავი ხალხს წამლავს, – ამბობს ისკანდერი.

* * *

ფაშა წინ და უკან დადის თავის მწვანე აბრეშუმებში. შეშლილს ჰგავს. მე ნახევრად გაღებული თვალებით ვიყურები. როდესაც ისკანდერი ასე იყურება, მას უბრალოდ ჩემი ეშინია. მეც ახლა საკუთარი თავის მეშინია.

– ოსმალებმა უკვე იციან, რომ ნახევარი ქალაქი წყლისგანაა მოწამლული, მეორე ნახევარი უწყლოდ იხრჩობა. დღეს თუ

არა, ხვალ დაგვეცემიან.

არ დაგვეცემიან, – გულში ვფიქრობ, – უბრალოდ ალყაში მოგვაქცევენ და დაგვიცდიან, სანამ ჩვენით არ ამოვწყდებით.

– გალავნები უნდა გავამაგროთ, – ვამბობ ხმამაღლა.

ფაშა ხელს იქნევს და მიშვებს.

* * *

მთავარი კარიბჭე სამი თვის შემდეგ, ღამე შემოანგრიეს. ბევრნი იყვნენ, უფრო სწორად, ზუსტად იმდენნი, რამდენსაც ვვარაუდობდი. ოთხი საათი გაუჩერებლად ვიბრძოდით. შემდეგ ისკანდერმა სადღაც, შენობაში შემათრია. დაჭრილი ვიყავი. სანამ ხალიჩაზე ვეგდე, გლეხის ტანსაცმელი შემომაჩეჩა.

– გადაიცვი, ალი ბეგ. ქალაქს არაფერი ეშველება. თუ გლეხი ეგონები, შეიძლება, არ მოგკლან.

– დატოვე და წადი, ისკანდერ. ჩავიცმევ.

– მოგეხმარები, ალი ბეგ.

– გაიქეცი, ისკანდერ, აქ დარჩენა სახიფათოა.

ისკანდერი მიდის. მე გონება მებინდება. ხალიჩა ერთიანად სისხლითაა გაჟღენთილი, თითქოს ზედ ხარი დაუკლავთო. ტანსაცმლის გამოცვლა მოვახერხე და კედელს ხელის ფათურით გავყევი. დიდხანს არ მივლია, თავში რაღაც ფეხსახსრიანი გამოცოცდა. ფაშა ალბათ მოკლეს, თუ გადავრჩი, შემეძლება, სახლში დავბრუნდე, – გავიფიქრე, სანამ გონებას დავკარგავდი.

* * *

– ვინ ხარ?

– ალი.

რამდენიმე ოსმალი თავზე მადგას და მათვალიერებს.

– დაჭრილი გლეხია, ბაზარზე ერთ ოქროსაც არ მოგვცემენ.

– არ ღირს თრევად, – უდასტურებს მეორე.

– რას ფიქრობდი, ცოცხალს რომ ტოვებდი? – ვიღაც მესამეს ეკითხებიან.

– ვუმკურნალებ და კარგ ფასად გავყიდი, – დარწმუნებით პასუხობს ის. შემდეგ ჩემთან მოდის და ბეჭებს მიმოწმებს. ტკივილისგან ღმუილს ვიწყებ.

– ამისგან კარგი მამლუქი დადგება.

მაგდა კალანდაძე

შენი სიკვდილი რომ მცოდნოდა

ცხოვრებაში სულ ორჯერ გავიფიქრე, მოკვდეს, რა იქნება-მეთქი. არა, მეორედ სხვანაირად გავიფიქრე – ამას ხომ სჯობდა, მომკვდარიყო-მეთქი. რა მნიშვნელობა აქვს. მოდის და მოდის ეს ხალხი, და მე ერთი სული მაქვს, ამ ამბავს მოვყვე. იმათ ლენასი აინტერესებთ, მე კიდევ მინდა, ჩემსას მოვყვე, რა იქნება, რო. ეგ კი არა, ამას წინათ გასაწურს გამეღვიძა, ეს ჩემი სახელოებიანი ღამის პერანგი იღლიებში ამომეჩარა და ერთმანეთზე მიტყუპებული ფეხებიდანაც ოფლი წურწურით ჩამომდიოდა – დამესიზმრა, თითქოს პოლიციაში მივედი და, ჩემი ბრალია ყველაფერი-მეთქი, ვამბობდი. წყლის დასალევად რომ გავედი სამზარეულოში, კინაღამ ჭკუაში დამიჯდა და, კიდევ კარგი, დილამდე გონი დამიბრუნდა – სასაცილოდ არავის ეყოფა და, დიდი-დიდი, გამომლანძღონ. აქამდე შემინახავს, ახლა რა მეტაკა, ჩავიგდო ეს ენა. მარტო ხომ არ ვცხოვრობ ამ დედამიწის გულზე.

ეს ხალხი კიდევ მოდის და მოდის. პირველი დღეები იყო – მერეღა მივხვდი, რაები მილაპარაკია. ვინერვიულე. მართლა ეგეთი კი არა ვარ, შეურაცხადი. მივხვდი კი არა, წავიკითხე, პირდაპირ დაუბეჭდავთ იმათაც. თავი გვერდით გადაეგდო, რომ ვუთხარი, ლენა, მე ვარ, მაჯაზე ხელი ოდნავ მომიჭირა, მე ვიღრიალე-მეთქი და ეგეთი რაღაცები. დამცეცხლა. კიდევ კარგი, იქვე სხვა რაღაცებმა არ ამომხეთქა. მერე დავმშვიდდი – დიდი ამბავი, ვინ რას მიხვდება, იქვე წერია, რომ ბავშვების გაზრდაში მეხმარებოდა და ოჯახის ახლობელი იყო. მეხმარებოდა არა... ან ეს რატომ ვთქვი. შავი კალგოტკები სულ დაგლეჯილი ჰქონდა და არ ვიცი, სისხლის გუბეში ჩანდა ასე თუ აქამდე არ შემემჩნია, მაგრამ თეთრი ბარძაყები ისე უპრიალებდა, დაკვდომას მოგანდომებდა და დამშრალი ტუჩებითაც დახრას ვერ შებედავდი. ან რამ შემამჩნევინა, ან ახლა რანაირად არ მშორდება თვალებიდან და ხან ცრემლი მადგება, ხან მუცელს ქვემოთ ძვლები მტკივდება. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ადამიანი ვარ მეც.

არა, აღარ მინდოდა. რა მაქვს დასამალი – კარგა ხანი იყო გასული. მაშინ მალევე გადამიარა და ასე, იშვიათად თუ მომადგებოდა ყელში – იმ დროს უკვე თვითონაც გავლილი ჰქონდა. დამპალია ეს ცხოვრება, რომ ვუფიქრდები, ვერც ამაზე უკეთესი მოხდებოდა რამე და ამაზე უარესი კი – რა ვიცი, აგე, მოვყვები ახლა.

პირველად ჩემი შვილების მამაზე გავიფიქრე, მოკვდეს, რა იქნება-მეთქი და თვე-ნახევარში მოწყდა მშენებლობიდან ის ამწე. ამწეა თუ რაც არის, რკინის თოკებით რომ ააქვთ ზემოთ რაღაცები. განა რას აშავებდა? მე აღარ შემეძლო. მეორე შვილიც რომ გავაჩინე, მეგონა, ბავშვები მაინც დამაკავებდნენ, მაგრამ რა დაგაკავებს, სული რომ გეცლება? ეს კაცი კიდევ დღედაღამ მუშაობდა, ორ-სამ თვეში ერთხელ თუ მოუნდებოდა ჩემთვის ხელის შევლება და ახლა რომ ვთქვა, მეზიზღებოდა-მეთქი, არც ეგრე იყო. სუფთა კაცი იყო და არაფერს ისეთს არ იზამდა, მე რაც არ მინდოდა. მაგრამ იმ დღეს რა სიკვდილმა მაფიქრებინა ეგრე გულიანად, ოღონდ მოკვდეს და მეტი არაფერი მინდა-მეთქი. ვერც ვიხსენებ წესიერად, რამ გამაბოროტა ასე. ა, ჰო, მგონი, ანიკოს ახალი ნაქირავები ჰქონდა ბინა ღრმაღელესთან, მარტოები ვიყავით ხოლმე და ისე გავხდი თან მაშინ, ისე გავხდი, თმაც გამისქელდა და ციკლიც მომიწესრიგდა. ორი დღე იცოცხლა საწყალმა, ბავშვები დეიდაჩემთან გავუშვი და კი ვიტირე მერე. ბავშვებზე ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა და მეცოდებოდა საწყალი, რომ მახსენდებოდა, როგორ შეჰხაროდა ამ თავის შვილებს. ახლაც მეცოდება, განა არ მეცოდება.

ლენას ოჯახი კაი ხნის გადმოსული კი იყო ორი სართულით ქვემოთ, მაგრამ დიდი მისვლა-მოსვლა არასდროს გვქონია; მე სად მეცალა და ლენაც სამსახურიდან ისეთ დროს მოდიოდა, რომ მის ორ კაცს და ჩემს ერთს მიხედვა უნდოდათ, ვახშამი, ტელევიზორი... ყველა კაცი ხო ასეა. ლენა კიდე მარტო იყო ძმასთან და მამასთან და კი ევლებოდნენ ორივე თავს, მაგრამ სადილ-ვახშამი და უთო მაინც ქალის საქმეა ოჯახში, სულ რომ ხელის გულზე გატაროს კაცმა. მარტო რომ დავრჩი, კი მოუხშირა ჩემთან ამოსვლას, საღამოობით ისვენებდა ხოლმე,

სერიალს ვუყურებდით, ყავას ვსვამდით, ერთი ეგ იყო, ვერ ვეწეოდით – ჩემს უმცროსს ასთმა აქვს და ამიკრძალა ექიმმა სახლში მოწევა, აივანი კიდევ ამომიშენა ცხონებულმა და კი დამრჩა ახლა ოხრად ეს ამხელა სახლი. დაჭენაობენ ბავშვები და მეც ლაგებას ვერ ავუდივარ.

ბავშვებზე თავიდან ანიკო მეხმარებოდა. კი უჭირდა ხოლმე ღრმაღელედან დამპალოზე სიარული, მაგრამ რა ექნა, ან მე რა მექნა. ლენას ვერ ვიხმარდი, არ ეხერხებოდა დიდად არაფერი, კი ცდილობდა, არა, თავსაც არ იკლავდა, მაგრამ არ გამოსდიოდა ხელიდან. ჩემი და ანიკოს ამბავზე თავიდან დავიძაბე. მეთქი, ახლა ეს რომ რაღაცას მიხვდეს და თმა გაიშალოს ამ სამეზობლოში, რა გინდა მერე რომ ქნა. ჰოდა, ერთ დღეს კინაღამ გასაპნულ ბავშვს გავუშვი ხელი, პირსახოცს რომ მაწოდებდა და სხვათაშორის მკითხა, დიდი ხანია, შენ და ანიკოს ერთმანეთი გიყვართო?.. ენა გადამეყლაპა, იმიტო, რო ეს „ერთმანეთი გვიყვარს“ ისე მეუხერხულა, იმის იქით რას მიხვდა და როგორ მიხვდა, სულ გვერდით მიმრჩა და პირველად დავფიქრდი მაშინ, მიყვარდა თუ არა ანიკო, ან მას ვუყვარდი თუ არა. ჰოდა, კიდევ იმ ღამეს ბევრი ვილაპარაკეთ მე და ლენამ. თავიანი გოგო ყოფილა ამასობაში-მეთქი, ვიფიქრე. ჰოდა, მერე, რა გასაკვირია, რომ დამეწყო. დამეწყო და ლენაც იფერებდა. ვითომ ვერ მივხვდებოდი ახლა – კეკლუცობდა, ნაირ-ნაირ კაბებს იცვლიდა, მრგვალი თვალებით თავისსავე სხეულს ათვალიერებდა – ჩემს დაბნეულ მზერას საკუთარს აყოლებდა და ხან მუხლებს შორის, ხან თხელი ლიფიდან გამოშვერილ ძუძუს კერტებზე, ხანაც მოშიშვლებულ წელზე, ხან სად და ხან კიდევ სად არ აღმოაჩენდა ხოლმე. ვიცოდი, რომ იცოდა და იცოდა, რომ ვიცოდი. მერე კარგა გვარიანად მივირთვი: ღამღამობით მესიჯებს ვწერდი. ისეთს არაფერს, ისე, უბრალოდ ვწერდი. მოვუხშირე. ჰოდა, ერთ დღეს რაღაც უმტკივნეულო დებილობაზე უმტკივნეულოდვე მიპასუხა, რა კარგი იქნებოდა, ოდნავ მაინც რომ მინდოდეს გოგოებთან ყოფნა, მარტო ბიჭებზე ვგიჟდებიო და გააგრძელა მესიჯის ტექსტი, ვითომც აქ არაფერი. ახლა მე იმის ჩიტი არა ვარ, არ შემემჩნია ეს ამბავი

და, მივწერე, მოიცა, მე მეგონა, გოგოებიც მოგწონდა-მეთქი. უი, არა, არაო. მართლა არაო. მოვყვე ახლა რა იყო მერე? პრინციპში, არაფერი ისეთიც არ იყო. პირველად ხო არ მემართებოდა ეს დამპლობა. ჩაკვდა. მალე არა, მაგრამ რაც მთავარია, ჩაკვდა. ოღონდ მართლა. ისევ ვსვამდით ყავას, ისევ ვუყურებდით სერიალს, ანიკოც ხან მყავდა, ხან – არა: მარტოხელა ბიძა ჩავარდა ლოგინად და ის და დედამისი მორიგეობით უვლიდნენ. დედა კი არ ტვირთავდა ძალიან, მაგრამ იმდენი დრო მაინც აღარ ჰქონდა და მეც ამსიშორეს ვარ გადაკარგული, ახლოს მაინც მეცხოვრა.

ახლა რა მოხდა: წეღან რომ ვთქვი, ჩაკვდა, ოღონდ მართლა-მეთქი, მთლად ეგრე რომ არ იყო, მაშინ მივხვდი, ლენას მოტაცების ამბავი რომ მითხრეს. დარჩა და ცოლად გაჰყვა იმ საქონელსო, რომ გავიგე, აი, მაშინ მორჩა, თუ მორჩა. სადღაც სოფელში იყვნენ წასულები და იქ ხომ არ დარჩებოდნენ, ჩამოვიდნენ მალევე, რაღაც მიწვევა-მოწვევა ჰქონდათ ტკბილი სუფრით. აქეთაც ვიყავი და იქითაც, ეს წარბებგადაბმული საქონელი ჭამდა, სვამდა, ლენა იღლიაში ამოედო და ლენა კიდევ კისკისებდა, კისკისებდა, კისკისებდა. მოგტყვნია პატრონი-მეთქი, რამდენჯერაც მაშინ გავიფიქრე, იმდენი სიხარული მე და ჩემს შვილებს.

გავბრაზდი.

მაგრამ ეგრე ხომ არაა. მეც ადამიანი ვარ. წლინახევრის იქნებოდა ბავშვი, ლენა და ის საქონელი აქ რომ გადმოვიდნენ. მონატრებული მყოლია – გამიხარდა, ჩემებმაც იცნეს, სულ ღამეებს ვათენებდით ლაქლაქში. ის საქონელი მორიგეობდა ხოლმე, სადღაც დაცვაში თუ რაღაც ჯანდაბაში მუშაობდა; ლენა ისევ იმ თავის სამსახურში იყო; თითქოს სულ არ გასულიყო ის იმდენი დრო, ისევ სერიალებს ვუყურებდით, ისევ ყავას ვსვამდით, ეს ჩემი უმცროსიც რომ წამოიზარდა, სამზარეულოში თითო ღერსაც ვუკიდებდით, დიდი მწეველები მაინც არ ვიყავით ისე, ახლა სულ მთლად გავაგდე ხელიდან.

თქმა რომ გეჩქარება, ამბებს ახტები და მოკლედ ვიტყვი ანიკოზე – არაფერი შეცვლილა, ხან ერთად ვიყავით, ხან აქეთ-

იქით, მეც ხან ასე ვიყავი, ხან ისე, ხან კარგად, ხან ცუდად, ჰოდა ლენას კიდევ ვერ მივუხვდი კარგა ხანს, როგორ იყო. იყო რა – საქონელი რომ გყავს სახლში, ეგრე უნდა იყო. ახლა დანა-ჩანგლით არ დასდევდა მგონი, არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. რაღაცებს კი მიყვებოდა ხანდახან, რომ თვრება, გიჟს ემგვანებაო თუ რაღაც ეგეთებს, მაგრამ დიდი ყურადღებითაც არ ვუსმენდი – საქონელი საქონელია, გინდა დაათვრე, გინდა წყალი ასვი, გინდ აქეთ გაუშვი და გინდ იქით გადააბი. საქონელთან რომ ცხოვრობ, ეგრე იქნები, სხვანაირად ვერა. კი, ვაწყნარებდი ხოლმე, რა, განა მე არ მაწყნარებდა? ასე, ერთმანეთისთვის ვიყავით, ეს ბავშვებიც სულ და-ძმასავით ერთად ჭამდნენ და სვამდნენ, ერთად ეძინათ.

ასე, ერთი წლის თავზე უცებ მაჯახა. არც აცია, არც აცხელა და საღამოა, ბავშვები დაბანილი მყავს, უფროსი საზეპიროებს იმეორებს ხმამაღლა, უმცროსი ეჩხუბება, შუქი ჩააქრეო, ამ დროს მესიჯი მომდის. მიყვარხარო. დაიძინეთ ახლავე-მეთქი. ჰოდა, რა ვქნა ახლა, ვფიქრობ. კი შემაქანა ისე. ჯერ ამ სიტყვის გაგონებაზე სულ მაქანებს, მაინც რა იცოდა ეს „გიყვარს“, „მიყვარხარ“, „უყვარხარ“, რაღაცნაირი სიტყვაა, გაფიქრებაზეც რომ უსიამოვნოდ ვიშმუშნები, ეს კიდევ... მოიცა, დავაზუსტო ახლა-მეთქი, ვიფიქრე. თან მაინც დამპლობა რომ წამოყელყელავდება სადღაც, ხომ ჩაკვდა, მაგრამ ვინ თქვა, რომ მკვდარი არ უნდა გაგახსენდეს, ჰოდა, მეც პირდაპირ ვაჯახე, ანუ, ჩემთან დაწოლა გინდა-მეთქი? ვინ დამინდო... სიგიჟემდე მინდაო. და აღარ გაჩერდა. მესიჯების აკრეფა კი ეხერხებოდა. მეთქი, არა. ვერა. ქმარი გყავს შენ, ანიკო მყავს მე, კიდევ რა ვიცი... კი მაგრამ, მაშინ ხომ გინდოდაო. ცოცხალი თავით არ გამეშვა. არადა, ლენაა. ვიღაცა ხომ არ არის. ლენაა და მაშინ ხომ მინდოდა. ახლა? ახლა აღარ მინდა. ერთი კვირა კი მაჟრჟოლა, მერეც, ცოტა ხანს, მერე კიდევ ბოლომდე, ბოლო წუთამდე ყელში მაწვებოდა ხოლმე აქა-იქ, იშვიათად, მაგრამ არა და მორჩა. არ მინდოდა. მერე რა, რომ მაწვებოდა. მაინც არ მინდოდა.

დამეკარგა მაშინ ლენა. ასეც უნდა ყოფილიყო. დამეკარგა და როცა შემთხვევით ვხვდებოდით ერთმანეთს, ან ბავშვები

მიმოდიოდნენ, განა რამეს ვიმჩნევდით, ისევ ისე მეხუტებოდა და კისკისებდა, ოღონდ თვალის გასწორება უჭირდა და ლაპარაკობდა ყველაფერზე, სულ ყველაფერზე. ან რანაირად შეეძლო ასე ყველაფერზე ლაპარაკი. მერე კიდევ გავიდა წელიწადიც და ამანაც გაიარა. ან გაიარა და ან არა კიდევ, მაგრამ ლენა გათავისუფლდა და ამ ამბავსაც უკვე ისე ვიხსენებდით, გეგონებოდა, მეზობელი კორპუსის გოგოებისას ვყვებოდით. მთავარი ის იყო, რომ გათავისუფლდა და ახლა გულში რა დარჩა და როგორ, მაგდენს აღარ ჩავძიებივარ მაშინ, ჩემი პრობლემებიც თავზე საყრელი მქონდა. მეც ადამიანი ვარ.

ლენა იყო. ვიღაც ხომ არ იყო. კი სულ ვბრაზდებოდი და ხანდახან ნიშნის მოგებითაც მომისმენია იმ საქონლის ამბები, მაგრამ ლენა იყო, ვიღაც ხომ არა – რას გაუძლებდა. ადგა და გაუშვა. არ მომეშვება ეგ მეო, კი ამბობდა, მაგრამ იქნებ ცოტათი მაინც ამოვისუნთქოო. ფეხები არ მოგჭამოს-მეთქი, სულ ვეუბნებოდი. ბევრსაც არაფერს ჰყვებოდა, თითქოს ეჭვიანობდა ის საქონელი, ვისზე, რაზე – არ ვიცი. ბევრს არ მიყვებოდა, ან, შეიძლება, არც არაფერი ჰქონდა მოსაყოლი. ან კიდევ... ან კიდევ ჩემზე ხომ არ მომიყვებოდა. თავიდან ხომ არ დაიწყებდა, ძლივს გვერდიგვერდ ჯდომა შევძელით. ან მეჩვენება ახლა მე ეს ყველაფერი და ისიც მომეჩვენა, ცოცხალმკვდარი როგორ მიჭერდა ხელს, მისი თვალებიც მომეჩვენა და უცნაური ღიმილიც – რას დავინახავდი იმ კუნაპეტში. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ჰოდა, ასე გამწარებული იჯდა ერთხელ ჩემთან, შაბათი დღე იყო, ბადრიჯანს ვჭრიდი მე, ლენას პირველად წასკდა ცრემლები და კი აღარ მახსოვს, რა მოხდა მაშინ, ემუქრებოდა ის საქონელი თუ მორიგი სკანდალი ჰქონდათ სახლში, რომ გავიფიქრე, ამ დღეში ჩავარდნას, არ სჯობდა, მომკვდარიყო-მეთქი. არა, ასე კი არა. ვთქვა? ვიტყვი. ამ დღეში ჩავარდნას, არ სჯობდა, მაშინ მოეკლა, როცა მოიტაცა-მეთქი. მოეკლა-მეთქი, პირდაპირ ასე გამჭრა ტვინში და მერე დანა დავდე, ხელები დავიბანე, ლენას თავი გულში ჩავიკარი და თვითონაც

ჩემს წელზე ჰქონდა ხელები მოხვეული, ჩახუტებისას ფრჩხილებს მაჭერდა ხოლმე ზურგზე.

ამ მართლა დამპალოს უბანს კიდევ განათება ხომ არ ეღირსა. ბავშვები ჩემთან იყვნენ სამივე, სროლის ხმა რომ გავიგონე. ფანჯრიდან გავიხედე და არაფერი ჩანდა. შემოვბრუნდი. ბიჭო... არ წყდება ეს სროლა. რას ვიფიქრებდი. კიდევ გავიხედე. ფანჯრის გაღების კი შემეშინდა და გასწვრივ მეორე კედელთან მივედი, სადაც სარკმელი მაქვს სულ ღია. მანქანის დაქოქვის ხმა გავიგე და რამდენიმე წამით სროლა შეწყდა. მერე კიდევ სულ შეწყდა და გავაღე ეს ფანჯარაც – მეხუთეზე ვარ და იქნებ რამე დავინახო-მეთქი. რას დაინახავ, ჩოჩქოლის ხმა მომივიდა მარტო და სულმა წამძლია, შევყარე ფეხები ქოშებში და გასაღებს ხელი დავავლე, კარი შიდა საკეტზე გამოვხურე, ლიფტს არც დავლოდებივარ. ძმა, გია ყვიროდა, ლენას მიხედეთო და ეს ხალხი ცხვარივით დგას გარშემო, არ ინძრევა. სადაა ლენა, არ ჩანს ლენა. გია ხელს იშვერს, ძირს აგდია. გავყევი გიას ხელს და ჩემი გოგოა იქ, თეთრად ანათებს სისხლის გუბიდან, თავი ჰკიდია ქინძისთავზე დამაგრებულივით. ნეტავ გულში ჩამეკრა, ნეტავ ტუჩებზე მეკოცნა, ნეტავ მისი გემო შემეტოვებინა, ნეტავ მცოდნოდა, რომ ორი წუთის მერე მოკვდებოდა. ნეტავ ერთი დღის წინ მცოდნოდა. გინდაც ერთი წლის წინ. მცოდნოდა.

ეს ხალხი კიდევ მოდის და მოდის, ხან რას მეკითხებიან, ხან – რას. მეც ხან რას ვუყვები, ხან რას და ნამდვილი ამბის თქმა ისე მინდა, ისე, ხელებით სკამს ვარ ხოლმე ჩაფრენილი – მაჯების ტკივილმა რომ შემახსენოს ენაზე კბილის დაჭერა. ნამდვილი რა, განა რამეს ვიტყუები. ჩემი ამბის თქმა მინდა. ჩვენი დამპალი ამბის. ჩემი და ლენასი.

მას მერე ყოველ დილას იმაზე ფიქრით ვიწყებ, როგორ წამებით უნდა ამოხდეს სული იმ საქონელს, უფრო მეტიც – ყოველ დილას ღმერთს ვთხოვ, ლენას საფლავს დააკლას ის საქონელი, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალია, ცოცხალია და ველოდები.

მამუკა ხანთაძე



ამბავი

თვალი გაახილა და ვერც გაახილა. შუბლი ხელით მოიჩრდილა და სანამ კიდევ ერთხელ ცდიდა გახელას, მიაყურადა...

ველური ყმუილი, არანაკლებ ველური ხორხოცი და ტირილის ხმა გაარჩია ჩვეულებრივ, ქალაქის ხმაურთან ერთად. არც იმდენად შემზარავი, რომ უცებ წამომხტარიყო საწოლიდან და სხვა, მისებრ ჭორიკანა ტიპებთან ერთად აივნიდან დაეზვერა, რა ხდებოდა... თუმცა მეტად უცნაური კი იყო. შეიბრუნა ძილი... ისე, ნახევრად ფხიზლად. უცნაური ხმები კი მატულობდა და მატულობდა... ჯერ ერთი, რომ სწორედ უცნაურობა ემატებოდა, მეორეც – ქალაქის ხმებს უკვე აშკარად აღარ ჰგავდა!..

– აუ, ამ დილაუთენია რამ გაამხეცა ეს ხალხი!.. – ჩაიბურდღუნა და გვერდი იცვალა.

იწრიალა, კიდევ იწრიალა და ბოლოს დედის გინებით წამოჯდა, თვალები მოისრისა და გუშინდელ ნასუფრალს ცერად გახედა... საპახმელიოდ ღვინით სავსე ჭიქა დალანდა და მოდუნდა, სიბრაზემ გაუარა, სინაზე ჩაეღვარა სითბოსთან ერთად და მცირე ჟრუანტელმაც გაურბინა ტანში. წამოიზლაზნა, ჩუსტებში ფეხი დამიზნებით გაყო და სამზარეულოსკენ გალასლასდა...

მაცივარი გამოაღო, უკან გადაყო ხელი და შავ პარკში გახვეული შეკვრა გამოაძვრინა ოსტატურად, მეორე ხელით ნახევარი კარაქიც გამოაყოლა. მაგიდაზე დადო ორივე. ხის დაფა გადმოიღო, შეკვრა გახსნა, ხორცის მოზრდილი ნაჭერი გადმოდო დაფაზე და სამ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი ისევ შეკრა, შავ პარკშივე ჩადო და მაცივარში შეინახა. გაზი აანთო, ტაფა დადო, კარაქი მთლიანად დააგდო, ხორცის ის ორი ნაჭერიც დააწყო და ზომაზე მეტი ხეშეში მარილიც წააყარა ზედ... გაზი მაღალზე დააყენა და ახლა უკვე შემაშფოთებლად უცნაური და შემზარავი ხმების წარმოშობის დასადგენად აივნისკენ დაიძრა.

აივნის კარი ღამით მიხურულიყო, თუმცა ვერ იტყოდი, რომ ეს ხმაურს აკავებდა. კარის გამოღებამ ეფექტი უმალ გააძლიერა. კოკამ ფეხით მიმოწია დაყრილი ნაგავი, ბოლომდე გავიდა აივანზე და ქვემოთ ჩაიხედა. ხმები კი ისმოდა, მაგრამ ხალხი ნაკლებად ჩანდა ქუჩაში. ისიც, ვინც ჩანდა, ან თავქუდმოგლეჯილი სადღაც გარბოდა, ან მიწაზე დამხობილი რაღაცას ხაოდა. კოკა ვიწრო ქუჩაზე ცხოვრობდა, მისი აივნის წინ ასევე სახლი იდგა... ეს ვიწრო ქუჩა მოედანს უერთდებოდა და ხმაურიც იქიდან მეტი მოდიოდა... ამიტომ ბუნებრივად, თვალი იქითკენ გააყოლა... გააყოლა, მაგრამ აშკარად სხვა რაღაცამ გაიტყუა მზერა კიდევ უფრო მარცხნივ და კიდევ უფრო ზემოთ...

– აუ, ჩემი დედას შევეცი! – ერთი ეს თქვა და ცალკე დანახულით შეცბუნებული და ცალკე უხერხული პოზის გამო უკან გადაქანდა. დაცემისას მოაჯირს ხელი ჰკრა მიმართულების მისაცემად და ოთახში გადავარდა. მაშინვე ოთხზე დადგა და კატასავით ფრთხილად ისევ აივნისკენ გახოხდა.

თავი გაყო და ცალი თვალით ისევ იქით გაიხედა, თან მაინც ფიქრობდა, რომ მოეჩვენა, თუმცა ორწუთიანი გაშტერებული მზერის მერე ყველა ეჭვი გაუქრა... მოედნის თავზე, ჰაერში, ყავლაშვილის პროექტის 14-სართულიანი კორპუსის ზომის ფიგურა ლივლივებდა. ფიგურა ადამიანისას ჰგავდა, უფრო სწორად კი, ეკლესიაში ხატებზე გამოსახულ ანგელოზსა თუ რომელიღაც წმინდანს...

...სუნმა გამოაფხიზლა, სამზარეულოდან ოთახში და შემდეგ აივანზე გამოღწეულმა დამწვარი ხორცის სუნმა. წამოხტა, გაიქცა სამზარეულოში, გაზქურა ჩააქრო, დანანებით გახედა დამწვარ ხორცს... ოთახში შევიდა. ის ცოტაოდენი, ბოთლში სასწაულებრივად დარჩენილი არაყი სულმოუთქმელად ხია. კიტრის მწნილის მომცრო ნაჭერი მიაყოლა... საწოლთან მივიდა, შარვალი ამოიცვა და მაისურიც მოირგო. სისხლძარღვების გაფართოებასთან ერთად შიშის გრძნობაც მიუნელდა და უკვე ჩაცმულ-დახურულ-ცოტააზრზემოსული

აივანზე თამამად გავიდა, კარგად რომ დაკვირვებოდა იმ საოცრებას.

...ჩაცმულობა განასხვავებდა ხატებზე ნანახისგან. უფრო მდაბიოდ გამოიყურებოდა, ერთი მთლიანი ჯვალოს მოსასხამი ეცვა, თუმცა თვალისმომჭრელად ლამაზი და კაშკაშა ოლარი ამშვენებდა. კოკა ახლაღა მიხვდა, რომ ის რაღაც თუ ვიღაც ლაპარაკობდა... თუმცა სიშორისა და აუტანელი ხმაურის გამო არაფერი ისმოდა. მიყურადებაც სცადა, დაიძაბა, მაგრამ ამაოდ. ქუჩას ჩახედა და დარბაისელი კაცი დაინახა სწრაფი ნაბიჯით მომავალი...

– რაო, რას ამბობს? – გასძახა კოკამ.

– წადი, შენი დედაც!.. – ამოსძახა იმ დარბაისელმა.

– შენიც და შენი ყველა ძმაკაცის დედებიც!.. – არ დაუთმო კოკამ.

კაცმა უხმოდ აუჩქარა ფეხს.

«ტელევიზორი», – გაუელვა კოკას თავში.

შებრუნდა ოთახში, ტელევიზორი ჩართო, მაგიდასთან მივიდა, ევას ჭიქაში წეღან დალანდული ღვინო არყის გზას გაუყენა და ვალმოხდილი სავარძელში იმ დროს ჩაჯდა, დიქტორის პირველი სიტყვები რომ გაისმა:

– როგორც საერთაშორისო სააგენტოები გვატყობინებენ, ანალოგიური სიტუაციაა თითქმის ყველა მოზრდილი ქალაქის თავზე... განცხადების ტექსტიც იგივეა, თუმცა ყველგან ადგილობრივ ენაზე წარმოითქმება. ჩვენი კორესპონდენტები ცდილობენ მიუახლოვდნენ ამ არსებას და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვან, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ... რაღაც უხილავი ველი არ იძლევა ამის საშუალებას. ჩვენ კი ისევ გადმოგცემთ ანგელოზის განცხადებას უცვლელად.

კოკას ჩაეცინა, ანგელოზი კი ნამდვილად მომესმაო, ფიქრი კი განცხადებამ შეაწყვეტინა... საამურად ბოხი ხმა შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდა:

– მე, ვარახიელი, ადამიანებს გამცნობთ უფლის ნებას! – დღეის ამას იქით, ძის შობიდან 2015 წლის 16 ივლისს, 961 წლის ლოდინისა და თმენის შემდგომ სამოთხის კარი იკეტება სამარადჟამოდ... და ცოცხალთა შორის მხოლოდ ერთი ადამიანიღა იქნება ღირსი და რჩეული დაიმკვიდროს სასუფეველი ანგელოსთა შორის. ყველა დანარჩენი გამწესდება ჯოჯოხეთში... მარადიული ტანჯვისთვის. თვით უფალი შეარჩევს ღირსეულს ღირსეულთა შორის.

– ეეე... ეს რა სირობაა, რამე უფრო კაი პონტი ვერ გამოაცხადა! – ჩაუბურდღუნა კოკამ. ერთწამს კი დახუჭა თვალი, მთელი კუთხე-კუნჭული ჩაძაბა ტვინში და მალევე წყნარად ამოისუნთქა, – ეს განცხადება მე არ მეკუთვნის! – გონებაშივე გამოიტანა ვერდიქტი და თავისივე დასკვნამ გაამხიარულა... წამოდგა, რამდენიმე ჭიქიდან ღვინის ნარჩენები ერთ ჭიქაში მოაგროვა და კმაყოფილებით გადაყლურწა.

პახმელია, კურსკთან, გუდერიანის ტანკებივით იხევდა უკან. მძიმედ, მაგრამ საიმედოდ. თუმცა როკოსოვსკის ტანკებს აშკარად საწვავი აკლდათ, შეტევა უფრო სწრაფი და შედეგიანი რომ ყოფილიყო, სტალინის გონება თუ გადაარჩენდა კოკას... მარჯვენა ხელი მოხარა მუცელთან, თითქოს კიტელში გაუყარა და სამხედრო ნაბიჯებით ოთახში გაიარ-გამოიარა. სულ რამდენიმე წამი დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. მობილური აიღო, საჭირო ნომერი აკრიფა და დაელოდა.

– როგორ ხარ?.. მაიცა, რა... ეგ მერე! შენ იცი, რა მითხარი? გუშინდელი ფულიდან რამე დაგრჩა?.. მიდი რა, გთხოვ, ერთი ბოთლი არაყი მიყიდე და ამოიტანე, რა... რა სად უნდა იყიდო, ტო, მაღაზიაში! რა ხდება ეგეთი! ვერა ხარ კარგად?.. მერე რა, რომ ანგელოზი იყო, შენ რა მაგით? სამოთხეში მოხვედრა გინდა?! მთელი ცხოვრება პუტანკა იყავი, შე ჩემა! შენ ვინ გაგიშვებს სამოთხეში?! რა მაგდალინელი, ხომ არ გაჟუილებს! კაი, მე მოვალ და გამოგართმევ მაგ ფულს! კაი, ევუშკები...

კურსკის რკალის შესაკვრელად ერთი 250 გრამი მაინც სჭირდებოდა და სხვა რა გზა ჰქონდა, – ჩაცმა დაიწყო.

კარი კი გაიხურა, მაგრამ მერე ისევ შემობრუნდა ბინაში, ჯინსის ქურთუკში ჯიბეები მოქექა, ძველი «ლისიჩკა» ამოაძვრინა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. «ეტა, ნა ვსიაკი პაჟარნი...» – გაიფიქრა და კიბეზე ღიღინით დაეშვა.

სადარბაზოდან გამოსვლა, თვალის მიმოვლება და გაფიქრება თითქმის ერთდროულად მოხდა: «ტრაკულად არის საქმე!»

«ღმერთო, მაპატიესა» და «ღმერთო, შენ შემინდეს» ჩურჩულით ხალხის ჯგუფები ერთი და იმავე მიმართულებით მოძრაობდნენ. კოკა ეგრევე მიხვდა, ცოტა ქვევითა და ერთი ქუჩის გადაღმა პატარა ეკლესია გაიხსნა ორი წლის წინ, სწორედ იქითკენ მიემართებოდნენ. ემანდ, გიჟი არავის ვეგონოო, ფრთხილად, კედელ-კედელ დაიძრა კოკა საპირისპირო მიმართულებით, ევას სახლისკენ. რამდენიმემ კი დაარიგა ჭკუა, – საით მიდიხარ, ტაძარი აქეთ არისო, მაგრამ მხოლოდ ზრდილობიანი ღიმილით დაეთანხმა მათ. ევას სადარბაზოშიც შეპარვით შევიდა. უცებ აიჭრა მესამე სართულზე და ნახევრად შეღებულ კარში შევარდა. ევა წასულიყო, მაგიდაზე ათლარიანი დაეტოვებინა სიგარეტის კოლოფქვეშ. «იდიოტკა», – გაიფიქრა კოკამ და ფული აიღო. ასევე სწრაფად დატოვა ბინა და კიდევ უფრო ზემოთ აუყვა ქუჩას.

მაღაზიის შესასვლელში თავის განუყრელ ტაბურეტზე ჩამომჯდარი ვარუჟანა ლოცულობდა. ხელში პატარა ხატი ეჭირა და აშკარად ლოცულობდა.

– ვარუჟან, შენ ხო ქრისტიანი არა ხარ, რას ლოცულობ? – მხიარულად ჰკითხა კოკამ და თან გამოცარიელებული მაღაზია შეათვალიერა.

– მაიცა, რა, კოკაჯან! მი გრიგორიანცი ტოჟე ხრისტიანე. დაჟე დო ხრისტა ზნალი, ჩტო ბუდემ ხრისტიანამი...

– რამდენი სომეხია, შენი აზრით, სამოთხეში, ვარუჟან? – ისევ სიცილით ჰკითხა და დააყოლა, – ეს თამარა სადღაა, არყის ყიდვა მინდა!

– კოკაჯან, რა თამარა! მიდი, აიღე არაყი, ვერ ხედამ, ყველა ეკლესიაში გარბის! ფეხები არ მტკიოდეს, მეც წავიდოდო! ია, ჩტო, ხუჟე იხ, ბლიად. ვაბშე, რა დროს არაყია, ბიჯო! წადი, ილოცე, იქნებ შენ შეგხვდეს პუტიოვკა!

– ერთი შენ შეგხვდება და მეორე მე, რაა, – გაიცინა კოკამ და თან დახლში თამამად შესულმა, არაყი შეარჩია, ჩამოიღო. ერთი შეკვრა შებოლილი სულგუნი გამოაძრო და თამარას პატარა კარადიდან ორი ყავის ჭიქაც გამოაყოლა. ვარუჟანას გვერდით, ბორდიურზე ჩამოჯდა, არაყი გახსნა, ჭიქებში ჩამოასხა, სულგუნის პარკიც გაგლიჯა, იქვე დადო, ერთი ჭიქა ვარუჯანას მიაწოდა და დაიწყო:

– ძია ვარუჟან, იცი, რასა ვფიქრობ? იმ ერთ კაცს სამოთხისთვის ვერ იპოვიან!

– პაჩიმუ, კოკაჯან?!

– პატამუ, ძია ვარუჟან, რომ ეგეთი კაცი ერთიც რომ ყოფილიყო, მაშინ წარღვნა დაიწყებოდა. როგორ მაშინ, ნოეს დროს.

– შენ იცი, კოკაჯან, რომ ჩვენი გვარი იმ სოფლიდან არის, სადაც ნოეს კოვჩეგი ჰარარატთან გაჩერდა?

– აუ, ჩემი!.. რა ნოეს კოვჩეგი! მოდი, ქალებს გაუმარჯოს! თავ და ათლარშენახულ ქალებს! – და არაყი მიუშვა.

– მე ვერ დავლევ, კოკაჯან, ცხელა ძალიან!

– როგორც გინდა, ვარუჟან! პროსტა, თქვი მაშინ. ისე, სიცხე შენ იქ ნახე... ჯოჯოხეთში, – გადაიხარხარა კოკამ და როკოსოვსკის ტანკებს, ვატუტინისაც შეუერთა აშკარად.

– ზა ჟენშინ, ნუ...

სადღეგრძელოს და ლაპარაკის გარეშე კოკამ კიდევ ორი ხია. სამხრეთიდან კონევიც შეუერთდა და რკალიც შეიკრა! დარჩენილ არაყს თავი მოუკრა და ისე, რომ ვარუჟანას სიტყვაც არ უთხრა, სახლისკენ გასწია. ამასობაში ხალხის ნაკადიც შემცირდა. ორსართულიან ლამაზ სახლს რომ ჩაუარა, სიმღერის ხმა შემოესმა...

«ესენიც უბერავენ, რა...» – გაიფიქრა.

აივანზე შუახნის მამაკაცი გამოვიდა, ულვაშიანი, ხუჭუჭი თმითა და თეთრი პერანგით. კარგა შემთვრალი მოაჯირს ჩამოეყრდნო და აშკარად კოკას მიმართულებით იკითხა:

– ჩემი ძმა, მართლა იყო ის ანგელოზი, თუ ღადაობენ?

– კი, ძმაო, მართლა იყო! – ცოტა არ იყოს, დაძაბულმა უპასუხა კოკამ.

– დურუ, შემო რა, კაცო, მფარველი ანგელოზების სადღეგრძელოა! – შიგნიდან გამოსძახა ვიღაცამ თეთრპერანგიანს.

– ხო ვამბობდი, ერთხელაც ძალიან გაბრაზდება ის კაცი-მეთქი! – ყველას გასაგონად წამოიძახა თეთრპერანგიანმა და ისევ პურმარილისკენ შებრუნდა.

«აი, ხალხი, ძმაო! დარბაისელი კაცები! არც კი აშლილან სუფრიდან, ვენაცვალე ამათ!» – ცოტა შურით გაიფიქრა.

ევას გადაურეკა.

– სექსი გინდა? – პირდაპირ ჰკითხა, – ხო, კაი, რა გითხარი ეგეთი, შე ჩემა! მაინც ჯოჯოხეთის პასაჟირი ხარ!..

ტელეფონი გათიშა და შეჩერდა.

ეკლესია სულ ორ ნაბიჯზე იყო. შორიდანვე გამოჩნდა მწყობრი, ულამაზესი რიგი. ასეთი ლამაზი რიგი ადამიანებისა კოკას ცხოვრებაში არც ენახა და არც სმენოდა. გვერდიდან კიდევ მეორე რიგი გამოჩნდა, ასეთივე ლამაზი, თუმცა მომცრო და ცოტა მოჭრელო.

ხალხი რიგში იდგა მოწიწებით, ძალიან ზრდილობით და უკიდურესი კდემით. რიგებს შორის, ეკლესიის კედელი მოჩანდა, დიდი თეთრი ფურცელი რომ გაეკრათ წარწერით: «მარჯვენა რიგი შენდობის მთხოვნელი მართლმადიდებლებისთვის, მარცხენა რიგი მოსანათლთათვის». უფრო ახლოს რომ მივიდა, კოკამ მომცრო ასოებით მიწერილი ტექსტიც გაარჩია: «ინათლებიან მხოლოდ მუსლიმები, კათოლიკეები, პროტესტანტები და ბუდისტები».

მეორე რიგიც სწორედ ამ ხალხისა იყო. ის-ის იყო, კოკამ იქვე მდგარი რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის შეთვალიერება დაიწყო, რომ ეკლესიიდან მღვდელი გამოვიდა და სწორედ ამ ჯგუფის საყურადღებოდ, ხმამაღლა, თუმცა მორიდებულად განაცხადა:

– გთხოვთ დაიშალოთ, მიეცით საშუალება მართლადმორწმუნეებს, შენდობა შესთხოვონ უფალს.

ცოტა უცნაურად მოეჩვენა მღვდელი კოკას და უცებ დააფიქსირა: ანაფორა არ ეცვა, სწორედ ისეთი ჯვალო წამოეხურა, როგორიც იმ ვარახიელს... ჯვარიც ხისა ეკიდა გულზე. კოკას გაეცინა, მღვდელმა არ შეიმჩნია. ჯგუფი განერვიულდა და ის-ის იყო, დაშლას აპირებდნენ, მომცრო რიგს მაღალი კაცი გამოეყო. მიუახლოვდა, ხელით ანიშნა, მოგროვდითო და წრეში შუაში ჩამდგარმა თავის დახრით წაიჩურჩულა:

– აქვე, სამ გაჩერებაში მეჩეთია... იქ ერთი კეთილი მოლაა, ისლამს მიგაღებინებთ და მერე როგორც მუსლიმები, მოდით და მოინათლეთ ქრისტიანებად.

ხლისტებმა შვებით ამოისუნთქეს და ნელ-ნელა სახეზე კმაყოფილებაგამოხატულნი დაიძრნენ მეჩეთისკენ.

რიგი მართლაც დიდებული შესახედი იყო... ცოტათი მავზოლეუმის რიგსაც წააგავდა... დამტკბარი უყურებდა კოკა. ფოტოც გადაუღო. საპახმელიო შიმშილმა შეაწუხა. თავში

წამოსული უამრავი მაიმუნობა და მამაძაღლობა უკუაგდო და სახლისკენ წავიდა.

დამწვარი ხორცის სუნი არ გასულიყო. საძინებელში შეაღო ფანჯარა, ორპირი უშველიდა ამ ამბავს. მაცივართან მივიდა ისევ. ისევ ის შავი ფუთა გამოიღო და გახსნა... სულ ცოტა ხორცი დარჩენილიყო.

– ეეეე!.. – გააპროტესტა კოკამ და ზლაზვნით საკუჭნაოსკენ დაიძრა. იქაც იდგა პატარა მაცივარი. გამოაღო კოკამ, ისევ შავი, მაგრამ მოზრდილი ცელოფანი გამოიღო. ზედვე მაცივარზე დადო და გადახსნა. შავი ცელოფნიდან ქალის ძუძუმ გამოანათა. კოკამ ლისიჩკა ამოღებასთან ერთად გახსნა და ძალიან ალესილი პირით ძუძუ შუაზე გადაჭრა. ერთ ნახევარს ლისიჩკა წვერით ჩაარჭო, მეორე კი ისევ გადახვია ცელოფანში და მაცივარში შეინახა.

დანაზე აცმული ნახევარძუძუთი სამზარეულოსკენ დაიძრა და თან «კატიუშას» მელოდია წაუსტვინა. ხის დაფაზე ძეხვივით დაჭრა, აჯიკაში ამოავლო სათითაოდ და დიდ ტაფაზე ლამაზად დააწყო ძუძუს ნაჭრები.

– კარგი გოგო იყო ლანა, სექსიც კარგი იცოდა... და უგემრიელესიც აღმოჩნდა... – ფიქრთან ერთად ტუჩები გააწკლაპუნა კოკამ.

ნახევარ საათში, გემრიელად ნასადილარი, ბერლინაღებული გონებით საწოლში ტანსაცმლიანად ხოშიანად ხვრინავდა კოკა.

* * *

ალბათ შუადღეს კარგად გადაცილებული იქნებოდა, ცხვირში რომ სიმწარე იგრძნო. თვალგაუხელელი იდაყვებზე წამოიწია და სუნის წარმომავლობის დადგენას ნახევრად მძინარე შეეცადა. არა, დამწვრის სუნი ნაღდად არ იყო... უფრო მყრალი და უფრო მწველი გემო ჰქონდა. და რაღაცნაირად

ცხელი. ახლაღა იგრძნო იმაზე მეტი უცნაური ხმაური, ვიდრე დილით ესმოდა.

– ეს რაღა ჯანდაბაა, ბლიად! – თან თვალი გაახილა. წამოჯდა, ათიოდე წამი ამ პოზაში გაჩერდა, შემდეგ ადგა და ისევ აივნისკენ წავიდა. ავტომატურად იქით გაიხედა, სადაც დილით ანგელოზმა განცხადება გააკეთა. და რაც იქ დაინახა, იმან შოკში ჩააგდო. ყავლაშვილის პროექტის 14-სართულიანი კორპუსის სიმაღლის აბსოლუტურად შიშველი სატანა რაღაცას იუწყებოდა.

ტელევიზორი ჩართო. განცხადების ტექსტიც იმწამს გაისმა:

– მე, ველზევული, დაცემული ანგელოზი და ჯოჯოხეთის მპყრობელი, ვაცხადებ, რომ დღეის ამას იქით მხოლოდ ერთ ცოდვილს მივიღებ სამუდამო სამკვიდროდ სეტყვასა და დელგმაში.

კოკა უცებ გამოფხიზლდა.

– ეეეეე, ამათ შიგ ხომ არა აქვთ! – დაიყვირა. აბაზანაში შევარდა. უცებ გაიპარსა, იბანავა, საკუბოვე კოსტიუმი ჩაიცვა შავ ინსპექტორებზე. კაი დუხიც ბლომად მიისხურა და აღელვებული ქუჩაში გავარდა.

მოედნისკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია... ცოტა ხანში ვარუჟანა დალანდა. ძლივს მილასლასებდა იმავე მიმართულებით.

– ეშმაკო-ჯან, მე მეკუთვნის, ცავატანემ. მე ისეთი ჩათლახობები მაქვს გაკეთებული, ვერავინ რო ვერა ქნამს, ძია-ჯან!..

კოკამ უხმოდ ჩაუარა... გაშლილი ლისიჩკა კისრის არტერიაში მისცა გვერდულად და აუღელვებლად გააგრძელა გზა...

* * *

იმ აივნიდან ისევ ქეიფის ხმა გამოდიოდა. დურუ აივანზე იდგა. სიგარეტს აბოლებდა და მასპინძლის ღვინის ავკარგიანობაზე ფიქრობდა.

2015 წელი

უჩა ზაქაშვილი

გამოღვიძება

რა ძნელია თვალის გახელა... ფიქრობ და ცდილობ, გადაგრეხილი წამწამები ერთმანეთს დააშორო. რა ძნელია გაიხსენო, სად ხარ, როცა მიშტერებიხარ სუსტად განათებული ოთახის კედლებს, უფრო შორს კი, მისაღებ ოთახში გამეფებულ ანარქიას, ჭრელაჭრულა ნივთებს, აბსტრაქციული მხატვრობის ნიმუშივით რომაა გადადღაბნილი... იქნებ ისიც კი იფიქრო, რომ ღმერთი ხარ და ცის კაბადონიდან გადასცქერი მეგაპოლისებს, სადაც მხოლოდ სარეკლამო ბილბორდებსღა შემორჩათ სიცოცხლის ნიშანწყალი – ციმციმებენ, ან უდაბნოებს, სადაც ეს-ესაა, ჩაისისინა მარტოხელა გეკონმა, ან ჯუნგლებს, რომელსაც ალისფერი თუთიყუშების გუნდმა გადაუფრინა, მაგრამ სურნელს რას მოუხერხებ? განა შესაძლებელია, ზეცაში ალკოჰოლის და ხილის წვენის სურნელი იყნოსო და თანაც ღმერთმა? ო, არა! ვარდნა გარდაუვალია. ჩაუქროლებ გრძედებს, განედებს, პარალელებს... იქამდე იფრენ, სანამ რომელიმე ქვეყანას, ქალაქს და ბოლოს რომელიმე სახლს, რომელიმე კონკრეტულ ქუჩას არ დაასკდები. ამ მოგზაურობაში გადაფურთხება აუცილებლად მოგინდება და სწორედ ამ დიადი ფურთხისთვის მაინც ეღირება საწოლიდან თავის წამოწევა, რომ მიდამო გაისიგრძეგანო. მაგრამ ფანჯრამდეც კი ვერ მივაღწევ, ტუალეტს ვინ ჩივის... ამხელა ექსპედიციის დაგეგმვაზე იოლი ნერწყვის ჩაყლაპვაა... ასეც ვიქცევი და დარცხვენილი ვათვალიერებ ჩემს სამყოფელს. ოთახს ოთხი კედელი და ერთი კარი აქვს. ეს კარი იმას ნიშნავს, რომ მიწაში კი არა, დედამიწაზე ვარ, სავარაუდოდ, ცოცხალი. კარი პირდაპირ მზის სხივებით განათებული მისაღები ოთახისკენ გადის... რა შორს ხარ, მზეო, კოჭებამდე ნაგავი და ეს ჩემი სიბრმავე აღგიმართავს ზღუდედ. ხელისცეცებით უნდა გამოვიკვლიო გზა, ეს თავბრუსხვევაც შემთხვევითი არ იქნება. ყველაფერი ჩემს შენთან ვერმოსვლას ემსახურება. ყველაფერი წინასწარაა დაგეგმილი. ვიღაცას არ უნდა, რომ კვლავ გიხილო, სახე

მოგიშვირო, გავინაბო, შენი ხმელი სურნელი შევისუნთქო ამფეტამინივით.

რა ძნელია, გაიხსენო, სად ხარ, როცა შუშის თვალებით მიშტერებიხარ ჭრელაჭრულა ნივთებს, ხარახურით მოფენილ იატაკს... ეს შუშის კონსტრუქცია დუბაის ღირსშესანიშნავი შენობის მაკეტი კი არა, ჟურნალის მაგიდა უნდა იყოს – მოულოდნელად აღმოაჩენ და გულში სიხარული ჩაგეღვრება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დუბაი გაგახსენდა და მეორე, იმიტომ, რომ სახლში ხარ, სახლში! მაგრამ ვის სახლში? დროა, ვინმეს მოუხმო, დაუძახო ადამიანს, კატას, ძაღლს. რომელიმე აუცილებლად იქნება ახლომახლოს. რომელიმე აუცილებლად მოირბენს, რამეს გეტყვის, აგლოკავს, ან, სულაც, გიკბენს. „ვის დავუძახო?“ – ეკითხები საკუთარ თავს და მყისვე მოდის პასუხი. რა თქმა უნდა, კატა სჯობია.

– ფისო, ფისო, ფისო – ბურდღუნებ, ჯერ გიკვირს, „ნუთუ, ოთახში მარტო არ ვარ? ნუთუ, ასე უხმოდ ვლაპარაკობ, რომ თავადაც არ მესმის?“ ოდნავ წამოწევ თავს, კიდევ ერთხელ მოავლებ მზერას მართკუთხედ სივრცეს.

– ცუგა, ცუგა, ცუგა, კა მნე მალჩიკ! – უხმობ ძაღლს და ხველა გიტყდება. ჰო, ხველა დროულია ამ დროს. მთავარია, არ დაიხრჩო. ინსტინქტურად ხელს იატაკისკენ აფათურებ. ინსტინქტებმა ყოველთვის ჩვენზე კარგად იციან, სად უნდა ვეძებოთ ხსნა და არც არასდროს ცდებიან. მუყაოს ქილა. წვენი. სახურავის გარეშე. საკმაოდ თბილი, მაგრამ ესოდენ საჭირო სითხე. სულ ორიოდე ყლუპი ჩარჩენილა. ესეც შვებაა. პირში კი ჩემი უცნაურად გადახეხილი ენა დამპალი ანანასის არომატში ტივტივებს. განა მკვდარმა შეიძლება ამდენი შეძლოს? მერე რა, რომ კატა და ძაღლი არ არიან ჩემ გარშემო. იქნებ სტუმრად ვარ?

– გიოოო. გიორგიიი. – ვამბობ და თავმომწონედ ავშტერებივარ ჭერს, რომ ასე მაგრად მოვიფიქრე – სტატისტიკურად საქართველოში ათი გადაფურთხებიდან შვიდი, ჩვეულებრივ, გიორგის ხვდება, ხოლო სამი უფლებამდამცველ გიორგის, ეს უკანასკნელნი ფურთხის გამო საკუთარ სისხლში ჩაგახრჩობენ.

ნერწყვი უკვე გადავყლაპე და ახლა ეს საფრთხე არ მემუქრება. ჰოდა, ვის დავუძახო, თუ არა მას? პასუხად ზუსტად ჭერს ზემოთ რაღაც ამოხვრინვის, ამოოხვრის, ამოხავილის, ამოხრუტუნების ხმა მომესმა. სმენა დავძაბე, მაგრამ მისაღებიდან ფანჯრის ჭრიალის მეტი არაფერი ისმოდა. ჭერი დუმდა.

– გიოოო. გიორგიიიი. – ვცადე უფრო თამამად, ისე, როგორც ნახირში ამაყი ხარი შესძახებდა თვალებმინაბულ ძროხას. წარმოვიდგინე კიდევაც ეს სურათი. მინდორი, მენახირე ბიჭუნა ჯოხს იქნევს და ტრაკზე გამალებული მირახუნებს, „აცე, შე კარგმოტყნულო“ – ჩამყვირის. მე კი ერეგირებული ასობგერებით ვღმუი, ჩემს კუდრაჭას ვუღმუი. მხოლოდ მისი ვარ, მხოლოდ მისკენ მივიღმუი. ჯოხი რას დამაკლებს, მირტყან, დაე, ისე მირტყან, როგორც მონას, როგორც ტყვეს, როგორც პატიმარს... და მოულოდნელად ოფლი მასხამს... შეშინებული ვაპარებ ხელს საბნის ქვეშ... ოღონდ ეგ არა, ოღონდ რამე სექს-სათამაშო, თუ როგორც ეძახიან, ეგ არ იყოს, ოღონდ ჩემი უბიწოება იყოს ისევ შეუბღალავი, ისევ უმანკო ვიყო ოღონდ და დაე, მირტყან, რამდენიც უნდათ, მესროლონ, რაც უნდათ, ყველაფერი, ვიბრატორების და კიტრის გარდა. ჰოო, არც სტაფილო... ვერცერთს გადავიტან. მომცრო ზომის ატვიორტკის ტარზე რას იტყვი? – ჩამხითხითებს ჩემი შინაგანი ხმის ის ინტონაცია, რომელიც ყველაზე რთულ სიტუაციებში ჩნდება და რამე ჩათლახურს ამბობს ყოველთვის. ხელში კი ბოთლი მრჩება. ღვინოა. ფრთხილად ვაკვირდები. განსაკუთრებით თავსახურის მიდამოებს. სუფთაა. წკრიალა. გაუხსნელი. მშრალი. არანაირი ზემოქმედების კვალი. ეტიკეტზე ჩემი ძვირფასი სამშობლოს მტრების გულისგასახეთქად ოქროსფრად აწერია „ქართული ღვინო – ძეგვის ველი. წითელი. ნახევრად ტკბილი“. სიამით შევციცინებ. „ჩვენ შორის არაფერი მომხდარა წუხელ“ – ვბუტბუტებ და მეგობრულად ვკოცნი. დაე, თუნდაც კატა, ძაღლი და გიორგი არ იყვნენ გვერდით. მარტოც დავიტევ ამ სილაღეს, ამ გამარჯვებულ გულისცემას, ამ დაუოკებელ სწრაფვას სიცოცხლისკენ... ასეთი გამარჯვების შემდეგ წამოჯდომა სულაც აღარ ჰგავს ევერესტზე ტანგის და მზის სათვალის

ანაბარა ასვლას. ასეთი სიხარულის მერე ეს დამძიმებული გოგრა სულაც აღარ ჰგავს 220 კილოგრამიან შტანგას, რომელსაც მე ვიღაც იდიოტი შტაგნისტივით სახედაძაგრული და დაჭყეტილი, უნდა ვეძგერო. წამოჯდომა სულ იოლია, აი, უყურეთ, თავმა გადამძალა და პირდაპირ ლოგინის მეორე ბოლოს დავასკდი შუბლით და ახლა იატაკს სექსუალური ძალადობის მსხვერპლივით დავცქერი, პრეზერვატივის გახსნილ ჭრაჭუნა პაკეტსაც ვხედავ. აი, კიდევ ერთი, მეორეც. ზედ მისაღები ოთახის ზღუდეზე მესამეც მოჩანს. ეს იმ ამბავს მაგონებს, მიდიხარ, ხახვის ფურცელს აბნევ გზაზე, კვალის დასატოვებლად, რომ მერე მოგაგნონ. ნეტა რა ხდება ამ გახსნილი პაკეტების ბოლოს? ნეტა რას მანიშნებს? მარტო პაკეტები რატომ ყრია? თვითონ რეზინები სადაა? – ვფიქრობ და უზადო ინტუიციაზე დაყრდნობით მარჯვნივ ვატრიალებ თავს. მილიმეტრიც და პირდაპირ ცხვირზე ავიბამდი... ლოგინის შუაში ჩამოვჯექი. თავბრუსხვევა და ორიენტაციის დაქვეითება ერთდროულად მიტევდნენ. ყველა მხარეს მძლევდა თავი. მე კი ამ გრძნეული ხელების დახმარებით ვინარჩუნებდი წონასწორობას. ოჰო, ერთი პრეზერვატივი საკიდზეც შეუბნევიათ, პირდაპირ პერანგებზე და აი, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი სამყაროს შეცნობისკენ და სულ სხვაგვარად დავინახე ის ოთახი, სადაც განვისვენებდი: დაჭმუჭნული ქურთუკი ტუმბოსა და კედელს შორის ჩაეჭყლიტათ – ალბათ რამე დააშავა და არ აპატიეს. ოთახის სივიწროვიდან გამომდინარე, იატაკი მხოლოდ ერთ მხარეს ჩანდა, დანარჩენ ადგილს ტუმბო და საწოლი იკავებდნენ. ძირს შემოქმედებითი უწესრიგობის სანიმუშო სურათს იხილავდით. თან რაღაც მანქანებით ყველა ნივთი წყვილად ეყარა. კოსტუმი და ჯიბიდან ამოჩრილი ნასკი, საფულე და მის კედლებში მოყოლილი ძეხვის ნაჭერი, ტუფლები ტუმბოზე გაეხადათ, სავარაუდოდ მანამდე მასზე მდგომი სანათი წინა ნაწილით ლოგინის ქვეშ შეეჩურთათ. კბილის ჯაგრისს და აქანდაზსაც ერთად ეთიათ ღამე. ზედ ხალიჩაზე საპარსი ქაფის გატეხილი ბოთლიდან ამოზვირთული, მუხლამდე სიმაღლის თეთრი მასა თანთალებდა. ამ ფონზე საოცრებას ჰგავდა ლოგინთან სიმეტრიულად, აკურატულად და ესთეტიკურად მიწყობილი

შლოპანცები. თითქოს მათ წუხანდელ ღამესთან არაფერი აკავშირებდათ, თითქოს ისინი ეს-ესაა, დაბრუნდნენ დილის ლოცვიდან, მათი პატრონი კი სუფთა, ფაფუკი და საყვარელი ვინმე ბრძანდებოდა.

რა ძნელია ადგომა, როცა ოთახში არ დგას არცერთი ისეთი ნივთი, რომელსაც შეგიძლია, დაეყრდნო. ყველაფერი დაბალია. თითქოს ლილიპუტების ქვეყანაში მოხვდი გულივერივით. კედლები ისეთი ციცაბოა, თუ მიყრდნობი, თორემ დაყრდნობა არაფრისდიდებით არ გამოგივა. ჩემი ოთახი კუანა ზღვას ჰგავდა ოკეანესავით გადაჭიმულ მისაღებთან შედარებით, რომელიც მზად იყო ჩემნაირი წახრილი გემები ისე ჩაესანსლა, არც ამოებოყინებინა. ჯერ სხვადასხვა ჯურის პარკებში და პაკეტებში შევცურე, გზადაგზა რიფებივით ამოშვერილ ბოთლებს წამოვკარი ფეხი, მერე საჭმლის და სითხის ნარჩენებზე ვისრიალე უმუხრუჭოდ, კიტრის ნათალზე მაინც დავკარგე წონასწორობა და ბოლოს სავარძელზე გავირიყე მაგიდის ნაპირას. ისეთი დაღლილი ვიყავი, თითქოს დედამიწას შემოვარტყი წრე „კონტ-ტიკით“ ჰეიერდალივით. მაგიდაზე უჩვეულო კერძი მოემზადებინათ. მოხარშული მაკარონები ერთი კუთხიდან მეორესკენ გადადიოდა, ზოგან ბღუჯა-ბღუჯადაც ეყარა, ყველის ნაჭრები, ანანასის ნარჩენები, რა თქმა უნდა, სიგარეტის კოლოფში ჩარჭობილი ჩანგალი და მასზე მადისაღმძვრელად მოსხმული კეტჩუპიც არ უნდა გამოგვრჩეს. ამ დროს კვლავ გაისმა ის მაგიური ამოხვრინვა, ამოხროტინება თუ რაღაც მსგავსი და მე კვლავაც მხოლოდ ინსტინქტებზე დაყრდნობით თავი სწორედ იქით მივაბრუნე, სადაც... მისაღებ ოთახს ანტრესოლი ჭრიდა შუაზე, რომელიც აივანივით გადმოკიდულიყო. სავარძელზე გაშოტილმა უფრო მეტი ვერ დავინახე და ფეხზე წამოვიმართე. მოაჯირიდან რამდენიმე სანტიმეტრში ლოგინის კიდე ჩანდა და... სრულიად შიშველი სხეული, გაშოტილი, თავთით ხელამოდებული, იღლიისკენ დახრილი ცხვირით. ოდნავ წითლად შეფერილი სახით. სულაც არ ქონდა იდეალური სხეული. ჩანდა მისი ამობურცული ღიპი, ხელით კი სასქესო ორგანოს ოდნავ მომუჭული ხელით იცავდა თუ ეფერებოდა...

უფრო უკან კი კედელზე პეიზაჟი მიეხატათ: თეთრი ღრუბლით დაფარული ცა, გორაზე მდგარი შენობები, მუქი მწვანე ბორცვები... ვუყურებდი და მესმოდა ჩემი გახშირებული სუნთქვა. ნუთუ ნამდვილია? ნუთუ ის აქაა? ნუთუ მისკენ მივყავდი პრეზერვატივის პაკეტებს? ნუთუ მე და მან მოვახდინეთ ამ სახლში ეს ყოველივე? ჯორჯონე ჩემო, ნუთუ მძინარე ვენერაა ჩემ თვალწინ? – გავიფიქრე და თავბრუდახვეული პირდაპირ შუშის მაგიდაზე გადავვარდი. არც ტკივილი მახსოვდა, არც ჩემი სამარცხვინო მდგომარეობა. „მძინარე ვენერა იმასვქენი.“ – მხოლოდ ეს მიტრიალებდა თავში. რას იფიქრებდა, ესეთი რო ვენახე? ალბათ მაშინვე ტაქსს გამოიძახებდა და მიმატოვებდა. არა, მძინარე ვენერა ვერასდროს გაიღვიძებდა და თუ გაიღვიძებდა, მძინარე ვეღარასდროს იქნებოდა. ის ნამდვილი იყო. ხანდახან ხვრინავდა კიდეც. მე უნდა მომევლო მისთვის, რამე გადამეფარებინა, რომ არ გაციებულიყო. სახლი უნდა მომეწმინდა, სუნს რომ არ შეეწუხებინა. პიცა უნდა შემეკვეთა, ყავა მომედუღებინა და მიმერთმია. კვლავ ფეხზე წამოვდექი და ვენერას მუცელს დავაკვირდი. ხო ვამბობდი, ცოცხალია– მეთქი, სუნთქავდა! სუნთქავდა. ერთი კარგათაც შევაგინე ჯორჯონეს ამ ღიპის მიხატვისთვის. ან ეს პუნტულა ხელები რად გინდოდა რო მიახატე, შე, უნამუსო? – ვიდექი მრავალ გაუგებარ ნივთიერებაში ამოსვრილი და ჯორჯონეს გემოვნებას ვუწუნებდი. ბედი რომ მქონოდა, მანეს ოლიმპია იქნებოდა აქ გაშოტილი. ის უფრო სუსტიცაა, ბევრად მაცდურიც და თან ღვიძავს... ან ურბინსკის ვენერა. ისიც ღიპიანია, მაგრამ უფრო ლამაზია, თან ისე იყურება, დიდი ჩალიჩიც არ დასჭირდება მაგის დაბმას. ჰო, იმან რა დააშავა, შე ჩემის კასტელფრანკო? მაგრამ მძინარესაც არა უშავს. იქნებ გაიღვიძოს კიდეც. აბა, მძინარეს რა პონტში დავეჩალიჩებოდი, რომელი ინკუბუსი მე ვარ? ნეტა სად გავიცანი? – ვფიქრობდი და აბაზანას დავეძებდი დარეტიანებული.

რა ძნელია ბანაობაში დროის დაკარგვა, როცა ანტრესოლში მოწყობილ საძინებელში სულ შიშველი ქალი ხვრინავს... და თან ქალსაც გააჩნია... ისე მომინდა მისთვის სულ ერთი წამით

ახლოდან შეხედვა, რომ აბაზანაში აღარ შევსულვარ. ის იყო, კიბის პირველ საფეხურზე შევდგი ფეხი, რომ კარზე ზარმა დარეკა.

კარი გავაღე. ბებერი ქერა იდგა და ისე მიმზერდა, როგორც ბოზი სრულიად შიშველ კლიენტს – ცნობიმოყვარეობაგამოშიგნული, უგერგილოდ.

მართლა შიშველი ვიყავი. გვიანღა ავიფარე ხელები.

– როგორ გაერთეთ წუხელ, გოგოებო? – მეკითხება.

– ჰა?

– ხომ გთხოვეთ, ხმაურზე?

– დიახ.

– ნაგავზეც ხომ გთხოვეთ?

– იცით, ზემოთ მას სძინავს და ნუ იხმაურებთ.

– რას აცმაცუნებ ტუჩებს, რამეს ამბობ?

– ვერ გაგიმხელთ ვინაა, მაგრამ ძალიან გთხოვთ.

– მოკლედ, წავედი. დავბრუნდები საღამოს, დამხვდეს ქირის ფული და სისუფთავე.

როცა ქერა ბოზი წავიდა, გამახსენდა, რომ ვიცნობდი მას წინა ცხოვრებაში, ან, შეიძლება, არც ვიცნობდი, მაგრამ მეგონა, რომ ეს ქალი წინათ სულ სხვანაირი იყო. უფრო დედაშვილური, უფრო სათნო, უფრო ჯიგარი. არც პომადა ესვა, არც შემოლანძღული კაბა ეცვა, არც სიგარეტი ჰქონდა პირში გაჩრილი და უფრო მეტიც, არაფერი ეცვა და სულ შიშველს ვხედავდი ხოლმე, ერთ-ერთ გამზირზე იდგა მუდმივად მარმარილოს სადგამზე ძეგლივით, და თუ არ ვცდები, საერთოდაც, ძეგლი იყო. ეს ქერა ბოზი ძეგლი იყო ოდესღაც. და თან ვიღაც ჩემალალა ოლიმპიელის ძეგლი, თუ ყველა ოლიმპიელის სიმბოლო ერთად. მოკლედ, იმდენი ვიჭყლიტე ტვინი ამ ქალზე ფიქრით, თბილისში ჩავედი სპორტის სასახლესთან და იმაზე დავიწყე ფიქრი, მის წინ

მდგარ ფოთლიან ბიჭუნას თავზე რა ეხურა და ეხურა თუ არა საერთოდ რამე. და ამ დროს სრულიად უმიზეზოდ თბილისობა გამახსენდა, ღორის კვლა რომ მიდის პირდაპირ ქალაქის ცენტრში, სისხლით რომ რწყავენ ასფალტს, ბრეზენტებს რომ შლიან, რომ სვამენ, უმ მწვადს რომ ჭამენ და მერე ყველა ერთად ტუალეტს რომ ეძებს. იქ ხომ არცერთი საზოგადოებრივი ტუალეტი არაა და ამიტომ ისევ თბილისქალაქს რომ უწევს საკუთარ თავზე ყველას შარდის ოქსალატების, ფოსფატებისა და კარბონატების მიღება ღორის სისხლთან ერთად.

მერე სარკესთან მივედი:

– მოგიტყანთ ვიკინგი დედები. – ვთქვი და მივხვდი, რომ ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. მხოლოდ ტუჩებს ვარხევდი.

– ჯორჯონე კი არა, ჯორჯ მაიკლი ხარ. – ვცადე სიტყვების დამარცვლა და ხორხში მეტი წნევის გატარება, მაგრამ ხველა ამიტყდა.

ლოგინში ვენერა მეწვინა, მაგრამ ვეღარ ვლაპარაკობდი...

– ზურააბ... – მეძახდა ვიღაც.

ოფლმა დამასხა, როცა ძახილი განმეორდა.

– ჰა? – გავძახე.

– მოდი ჩემთან, სიხარულო. – მიხმობდა.

– გესმის ჩემი? – ვკითხე, თან სარკეში საკუთარი თავი შევათვალიერე. – ვიდექ შიშველი ვითარცა მხოლოდშობილი ტიჯანი ბაბნგიდა.

– მეღადავები ზუურ. მოდი, დამენახე, სად ხარ.

– თუ კიდე დამცინი, დაგლეწავ. – ვუთხარი სარკეს. ჩემი ხმა კვლავ არ მესმოდა.

– ვის ეჩხუბები, ჩემო სამეფო კოდალა? მოდი რა.

დიდ ოთახში გავედი და ანტრესოლს ავხედე.

ვენერა გულაღმა გადაწოლილიყო და ხელით მუცელს იფხანდა.

– ამო, რა.

– ახლავე, მივალაგებ ცოტას და მოვდივარ. – ჩავიბუტბუტე.

– ამო რა და მერე მეც მოგეხმარები.

– სუნზე ცუდად ვხდები, ალერგიული ვარ, ხო იცი. – მივუგე.

– ეეე, ჩაიდუდღუნა და გვერდი იცვალა.

ცოტახანს ვუმზირე. მერე იმას ჩაეძინა და მგონი მეც, რადგან, როცა თვალი გავახილე, ჯორჯონეს ნახატიდან აღარაფერი იყო დარჩენილი. მცხუნვარე მზის სხივების ეფექტით თუ უბრალო დღის სინათლის გავლენით ვენერას ფონი გადანათებული და სიმკვეთრედაკარგული მოჩანდა. ვეღარ გაარჩევდი, კონკრეტულად რა ჩანდა, ცა, წყალი, ღრუბლები, ლურჯი ფარდა თუ თეთრი ტრაკი.

კარზე ზარის რეკვამ კიდევ ერთხელ გამაღვიძა.

პირველი, რაც გავაკეთე, ანტრესოლს ავხედე. ვენერას კვლავ ეძინა. სახლი დაელაგებინათ და ჩემთვის პლედი გადაეფარებინათ.

როდესაც კარი გავაღე, ისევ ქერა ძეგლი შემომეგება.

– შენ კიდე გახდილი ხარ? – მკითხა.

გაშტერებული ვუყურებდი ამ ჩურჩუტ ქალს. ახლა უფრო მოკლე კაბა ჩაეცვა. პომადა ჩამოებანა და სახეზეც უფრო სადა მაკიაჟი ეცხო. ვიდზე იყო დამდგარი, რა.

– კაი, სამზარეულოში ხუთიანი, აბაზანა საუცხოო, მისაღებსაც არა უშავს. კარგად გიმუშავია. და ფული? – შემომხედა და ტუჩები გამობრიცა, ისე, როგორც კოცნის წინ.

– იცით, რაშია საქმე, ფული არ ვიცი, სად მაქვს, ცოტა მადროვეთ. – ვლუღლუღებდი და ვიხსენებდი, სად შეიძლება შეენახა ფული ჩემნაირ ნუდის.

– თუ გინდათ, ერთად მოვძებნოთ, სადაა ფული. – განვაგრძობდი.

– მხრებს რომ იჩეჩავ, კი ვიგებ, რასაც გულისხმობ, მარა რას აცმაცუნებ მაგ ტუჩებს? თუ ფული არ გაქვს, მითხარი, ეს სიმუნჯე რას მოიგონე? უნდა შემეცოდო და რამე? რას მეშოუმენები? – მას ჩემი არცერთი სიტყვა არ ესმოდა, მე კი ასე, ზეზეულად ჩამეძინა.

…როცა გამოვიღვიძე და თვალი გავახილე, ლოგინზე ვიწექი. თავთით ქერა მედგა და რაღაცას მებაზრებოდა. „უნდა იპოვნო, თუ გინდა, რომ ამან გაიღვიძოს გაიგე?“ – გავარჩიე სიტყვების მორევში.

– ვინა დეიდა, ვინა? – ჩავილუღლუღლე და მე თვითონ მომესმა ჩემი ხმა. ხმის დაბრუნება ნამდვილად მოსალოცი ამბავი იყო და ამის ნიშნად ქალს გავუღიმე.

– ვინა და კუპიდონი დეიდაგენაცვალოს.

– ვინა?

– ჩემი თანამშრომელი. ჩემი ასისტენტია რა.

– მე რატო?

– ვენერა მაგის ნაშაა და მარტო ეგ აღვიძებს.

– რა უბნელია, ე?

– მოიცა და, რომ არ გავაღვიძოთ საერთოდ და ასე გავიტანოთ? მდინარე აქვეა.

– ე, არა რა, გთხოვ, შეყვარებულს რა პონტში მიკლავ.

– რაო რაო? – თქვა და ხრინწიანი სიცილი შეიყვანა.

– ნუ დამცინი, თორე მაგარს გაგიფენ. – გავუჭედე.

– შე ჩემისა, აფროდიტე გიდგავარ წინ, კუპიდონის მოძებნას გთავაზობ, რომ ეს არსება გააღვიძო და გააფორმო, და კიდე შენ მეკაჩავები? – დამიძაბა მომენტალურად.

წამით გავშეშდი.

– რა იბაზრე?

– რაც გაიგე.

– შენ გინდა, რო მე ეს ისა და ისა?

– მე მინდა რო ორივემ გააჯვათ აქედან და ამის უმოკლესი გზა იმ სირარსებას გამოღვიძებაა.

– და რა ბაზარია ეგა?

– რომ მე აფროდიტე ვარ, ეს ვენერაა და კუპიდონი კიდე ჩემი შნირთუხუცესია?

– ჰო, ეგა.

– მითოსი ასე რატო გახატიათ ამ ახალგაზრდობას, ვერ ვიადებ რა.

– მითოსი?

– ბერძნული კულტურა, ძველი ღმერთები, თქმულებები.

– ბერძნებს ხო დედა აღარ ჰყავთ ისედაც, და რაღა დროს მაგათი ბაზარია.

– ოოო, კაი ჰო. მე სიყვარულის ღვთაება ვარ, კუპიდონი ეროტიკის მასტერია.

– და ვენერა?

– ეგ ჩვენი მონაღვთისაა.

– ტრეფიკინგის ბანდა ხართ?

– ეგეთ პონტში.

– ვა, რა მაგარს ღადაობ, საღოლ ჩემი. – ავხითხითდი და ვიგრძენი, რომ დამევასა ეს ქალი.

– ბინის ქირა დაიდოს, ვენერა თავის მთებში წაეთრეს და ფუნდუკში ფულზე გაქირავდეს, შენ კიდე შენ ცოლ-შვილს მიხედე.

– ჰა?

– ვენერაააა.

– ვენერااااა? წამოვიძახე მთელი ხმით. და მივხვდი, რომ ვენერას გაღვიძება აქამდე არც მიცდია. ფეხზე წამოვიმართე. ანტრესოლის კიბეები უფრო ყოჩაღად ავიარე. ვენერას ტრაკს ვუცინოდი ერთ ადგილზე დაყინული, როცა ქერამ გადამასწრო და ვენერას ზემოდან ისეთი ტრიუკით დაახტა, თავი ენ ბი აის ჩატენვების კონკურსზე მეგონა და ტაში დავუკარი.

ქერამ მძინარეს ჯერ საჯდომი აუწითლა ბუზსაკლავით, მერე ლოყებში ურტყა და ბოლოს ფეხში მოკიდა ხელი და იატაკზე ჩამოაგდო. ვენერას კვლავ კდემამოსილი სიფათით ეძინა.

– ეს ცვილის ხო არაა? – გამეხსნა გონება წამით.

ქერა ისეთი სახით მიყურებდა, ვერ გაიგებდი, გავარტყი თუ ვერ. თან ვენერას მუცელთან ყური მივუტანე. და მანდ დათბა... მისი სუნთქვა მხარზე მელამუნებოდა ცხელი მუცელი კი ყურის ბიბილოს მიწიწმატებდა.

– გაუბედე მიდი, გაუბედე – ჩამქირქილა ქალმა და ხარხარი დაიწყო.

შემრცხვა და ფეხზე წამოვიმართე.

– მიდი, მიდი, არ გიყურებთ.

– რა მოხდა, ვნახე, ხო ცოცხალია-მეთქი.

– ხუთასი წელი არ დაიბრიდა და ეხლა რა მოკლავდა ამ წაკლას.

– ბიჯო, არადა მამენტ, შენ უფრო წაკლა ვიდზე ხარ. – ისევ წამომიქროლა გაჭედვის სიომ.

– ჰოო?

– ჰოო, მაგარი წაკლა ხარ. კბილები რას გიგავს ჯერ მარტო. მერე თმები. ბებიაჩემი ელვირასავით, სიბერეში რო გარეკა და

ცხელი ატვიორტკით მოინდომა დახვევა. ჰოო, რას გეუბნებოდი? – გონება წამიერად მეთიშებოდა.

– რა მოუვიდა ელვირას, მითხარი რა?

– დაიწვა. თმებზე გაეკიდა ცეცხლი.

– საწყალი.

– ხო.

– ყველა დამწვარი მებრალება საერთოდ, ჩემიც და სხვისიც.

– მაგარი ჯიგარი გოგო ხარ, თან მაგრად მეცნობი რა. – არა, ფაქტია, რომ აფროდიტე ნაღდად მევასებოდა და ის წამიერი აფეთქებები სინამდვილეში არანაირ ნეგატივს არ მოასწავებდა ჩვენს შორის. უფრო მეტიც, ძუძუებზე ვთირავდი და ვცდილობდი, არ შეემჩნია.

– რაც შენ ჩემზე გიანანისტია ბავშვობაში ალბათ. – თქვა ბოლოს.

– რა გქვია? – ვკითხე მე.

– აფროდიტე.

შემდეგი გამოღვიძება უფრო კარგად მახსოვს. უფრო მძაფრად. უფრო გააზრებულად.

თავთით ჩემი ძმაკაცი სანდრექსონი მედგა თეთრზეწარშემოხვეული, უდრეკი სახით, ვითარცა ზევსი. მე ალბათ მითოსური ვირის ვიდზე ვიდექი და მხოლოდ მისი ღიპისკენ მეჭირა თვალი. ეს ღიპი თან მეცნობოდა და თან არც, უფრო კი გაურკვეველ შეგრძნებებს აღმიძრავდა... მის ზურგს უკან ანტრესოლი და კედელზე დახატული პეიზაჟი ცისფერი ცით და თეთრი ღრუბლებით შევნიშნე.

– აეროპორტში გვაგვიანდება, დროზე ადე. ტაქსი ათი წუთია იცდის.

– კაი.

მხოლოდ ეს ვთქვი.

აეროპორტისკენ გზა ჩემთვის აღმოჩენას ჰგავდა. პირველად ვიყავი ამსტერდამში. გვერდით სანდრექსონი მეჯდა და მისკენ გახედვა ძალიან უცნაურ უხერხულობას იწვევდა ჩემში.

სამშობლოში დაბრუნებიდან ორი უძილო ღამის შემდეგ ელექტრონული ფოსტით წერილი მივიღე იმ სახლის მეპატრონისგან, სადაც შვებულება გავატარე.

„ბატონო ზურა, მინდა მწუხარებით შეგატყობინოთ, რომ თქვენი ვიზიტის შემდეგ ჩემი სახლის ანტრესოლიდან გაქრა „მძინარე ვენერას“ რეპროდუქცია. მასში 12 ევრო და 80 ევროცენტი მაქვს გადახდილი. სამწუხაროდ, ჩეკი ვეღარ ვიპოვე, მაგრამ იმედი მაქვს, გამოიჩენთ გულისხმიერებას და ამინაზღაურებთ ამ დანაკარგს.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ მწუხარებას დანაკარგის გამო და არ იფიქროთ, რომ ქურდობაში გადანაშაულებთ და არც პოლიციისთვის მიმართვას ვგეგმავ. ჩემი სახლის კარი მუდამ ღიად დარჩება თქვენთვის. პატივისცემით, აფროდიტე ვონ ნიუმანი“.

მიუხედავად სანდრექსონის შესაბამისი განხრით მიღებული განათლებისა, მისი ექსპერტობა მხატვრობაში დიდად არც მწამდა, მაგრამ მაინც მეწყინა მისი გამდიდრების გეგმა ასე უსახელოდ რომ დასრულდა. აფროდიტეს წერილი წავშალე, დასაძინებლად დავაპირე წასვლა და მოულოდნელად ზურგს უკან ის ნაცნობი ამოხვრინვა, ამოოხვრა, ამოხროტინება თუ რაღაც მსგავსი ხმა მომესმა... წამით შევკრთი და ოთახში ვენერას დავუწყე ძებნა და სულ ტყუილად... სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ ოთახში ჩემი ბებერი გერმანული ნაგაზი როზა-უმცროსი მწვავე ბრონქიტს ებრძოდა...

ლადო კილასონია

ზედა გაბოზელი მაქცია

წიგნიდან «შეშლილის ჩანაწერები»

სრულიად საიდუმლოდ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პარანორმალურ მოვლენათა შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელის, პროფესორ თენგიზ შაიშმელაშვილის წერილი საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის ბიო-ინჟინერიის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორ გენადი სუროვს.

ამხანაგო პროფესორო, დღეს საღამოს უშიშროების კომიტეტის ვიცე-პოლკოვნიკმა, ამხანაგმა ჟორა საგანელიძემ გადმომცა ხაშურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის, კაპიტან გამცემლიძის მიერ, პირადად მისთვის გამოგზავნილი საიდუმლო დეპეშა და მითხრა, რომ მისი აზრით შიგ მოყვანილი ფაქტები სასწრაფოდ ითხოვდა ჩვენი სექტორის ჩართვას. ეს იყო მუყაოს სქელი კონვერტი, რომლისთვისაც ზემოდან წაეწერათ, რომ არავის ჰქონდა მისი გახსნის უფლება, გარდა ამხანაგი საგანელიძისა. კონვერტში აღმოჩნდა ახალგაზრდა გამომძიებლის, კახა დვალის პატაკი, რომელიც მან გაუგზავნა თავის უფროსს, იმან კი საიდუმლო დეპეშით გადმოუგზავნა ამხანაგ საგანელიძეს. და გავეცანი რა დვალის მოხსენებას, წაკითხულმა მაიძულა, იმავე წამს საიდუმლო წერილით მომემართა თქვენთვის, რადგან ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს ერთობ უცნაურ, საშიშ და ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენასთან, რომელიც საჭიროებს როგორც დაფიქრებას და გაანალიზებას, ასევე დაუყოვნებლივ მოქმედებას, წინააღმდეგ შემთხვევაში:

ა) შესაძლოა, წარმოიქმნას სერიოზული პრობლემა, რომელიც სასწრაფო რეაგირების გარეშე აუცილებლად გადაიზრდება ეპიდემიაში.

ბ) ჩვენი ქვეყანა დაკარგავს ძალზედ მძლავრ იარაღს, რომელიც შესწავლის, გაანალიზების, ოდნავი გარდაქმნის და მიზანმიმართულად გამოყენების შემთხვევაში, იქცევა ახალ წყალბადის ბომბად.

თავიდან ვფიქრობდი, რომ საკუთარი სიტყვებით გადმომეცა საქმის ვითარება თქვენთვის, ამხანაგო პროფესორო, მაგრამ შემდეგ ჩავთვალე, რომ დვალის პატაკი ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს და მისი გაცნობისას თქვენ ნათლად დაინახავთ საქმის ვითარებას, ამიტომ ამ წერილთან ერთად გიგზავნით ახალგაზრდა გამომძიებლის პატაკის ვრცელ ამონარიდს.

რა თქმა უნდა, დვალი, მისი უფროსი და ეჭვმიტანილი უკვე ჩვენთან იმყოფებიან, ყველასგან საიდუმლოდ მოყვანილები, იზოლირებულ ოთახში მოთავსებულები და მორჩილად ელიან მომავალ დირექტივებს.

მაგრამ მოდით, ჯერ გაეცანით ამონარიდს დვალის მოხსენებიდან:

ხაშურის რაიონის უმცროსი ლეიტენანტის, გამომძიებელ კახაბერ დვალის პატაკი ხაშურის რაიონის მილიციის უფროსს, კაპიტან ა. გამცემლიძეს, 1968 წლის 14 ოქტომბერი.

ამხანაგო კაპიტანო! გაცნობებთ, რომ ერთობ უცნაური საქმე, რომელსაც «ზედა გაბოზელი მაქცია» დავარქვით, გახსნილია, მთავარი ეჭვმიტანილი დაკავებულია და ყველასგან იზოლირებულ კამერაშია მოთავსებული.

საქმე დაიწყო ორი კვირის წინ, როდესაც ხაშურის რაიონის მილიციაში შემოვიდა ზედა გაბოზელი გლეხის,

კოლმეურნეობის მშრომელი წევრის, სპირიდონ გენძეხაძის საჩივარი. ამხანაგი გენძეხაძე იუწყებოდა, რომ დაეკარგა მსხვილფეხა საქონელი, კერძოდ კი ხარი. მართალი გითხრათ, მის საჩივარს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, რადგან საქონლის ქურდობა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ქართულ სოფლებში, მაგრამ პირველი საჩივრიდან ორი დღის შემდეგ, ჩემს სამუშაო კაბინეტში შემოიყვანეს თეთრთმიანი მოხუცი კაცი, კოჭლობისას გრძელ ხის ჯოხს რომ ეყრდნობოდა. ეს კაცი აღმოჩნდა ზემოთ ხსენებული სპირიდონ გენძეხაძე, რომელმაც განმიცხადა, რომ იპოვა საკუთარი ხარი და რომ ეს საქმე აშკარად და სასწრაფოდ მოითხოვს გამოძიებას, რადგან, აქ გენძეხაძის სიტყვებს მოვიყვან «70 წლის კაცი ვარ და ასეთი არაფერი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო». მე თან გავიყოლე ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი ბესიკ ცივტარიელაშვილი და გენძეხაძესთან ერთად, მანქანით ავედით ზედა გაბოზში. ზედა გაბოზი ქვედა გაბოზის მაღლა მდებარეობს და მთიანი სოფელია, სახლები აქ შემაღლებულ ბორცვებზეა გაშენებული ერთმანეთის გვერდით, უფრო ზუსტად კი, ორ ერთმანეთთან ახლოს აზიდულ ბორცვზე და აქედან გამომდინარე, ზედა გაბოზი ორად იყოფა: მარცხენა და მარჯვენა ზედა გაბოზი. ბორცვების ირგვლივ ტყეა, ბორცვებს შორის, დაბლა, ჩამოდის მდინარე გაბოზი, რომლიდანაც მოდის სოფლის სახელწოდება. მდინარეზე ხის ხიდია გადებული, ვიწრო, მუდამ სველი და საშიშად მოქანქარე, მაგრამ გაბოზელები მიჩვეულები არიან ზედ სიარულს, რადგან 70 წლის გენძეხაძემ სულ იოლად გაიარა სველი ფიცრები, როდესაც მე და ამხანაგ ცივტარიელაშვილს დაახლოებით 10 წუთი დაგვჭირდა ერთი ბოლოდან მეორეში გასასვლელად.

შემდეგ გენძეხაძე მაღლა, მარჯვენა ზედა გაბოზისკენ გაგვიძღვა, გასცდა სოფელს, ტყეს შეერია და ცოტა ხნის სიარულის შემდეგ შავ, კლდოვან ფერდობს მიადგა, რომლის წვერისკენაც დაკლაკნილი ბილიკი ადიოდა. ბილიკს ავყევით, ვიწროა და ლამის საცალფეხო, თან, ალაგ-ალაგ ნაშალ კლდეებზე გიწევს სიარული და ქვემოთ რომ გადაიხედავ, ძალზედ უსიამოვნოა.

– აქ რა გინდა? – ვკითხე ბოლოს გენძეხაძეს, როდესაც კლდის წვერამდე აღარაფერი გვაკლდა.

– მეც ეგაა, რომ მიკვირს, – მიპასუხა მან. ჩვენ სამივე ერთად გავედით კლდის წვერზე და მე და ცივტარიელაშვილმა გაოცებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს.

კლდის წვერი წარმოადგენს ფართო, მოსწორებულ მრგვალ მოედანს, უფრო კი ტაფობს, რადგან მის ირგვლივ, მაღლა ცისკენ ისევ ადის შავი, შიშველი კლდეები. ტაფობის ცენტრში ძველი ნანგრევებია.

ნანაგრევების წინ უზარმაზარი სისხლის გუბე იდგა, მის ცენტრში კი ხარის ვეება მოჭრილი თავი ეგდო, იქვე იყო დანაწევრებული სხეულიც, ხარი გაეტყავებინათ, დაფლეთილ და დასახიჩრებულ, სისხლში მოთხვრილ ტყავს ბუზები ეხვეოდა, მოშორებით, ჩამქრალ, შავად ჩაფერფლილ კოცონზე, უზარმაზარი, გაჭვარტლული ქვაბი იდგა, შიგ, გაციებულ და გაქონილ წყალში, ხარის მოხარშული ბეჭი ეგდო. ქვაბის გვერდით კი დატკვირული ძვლები ეყარა.

– აი, ამაზე გეუბნებოდით, – გვითხრა გენძეხაძემ.

მე და ამხანაგმა ცივტარიელაშვილმა ადგილი შევისწავლეთ, ჩანაწერები გავაკეთეთ, რამდენიმე ფოტო გადავიღეთ და თავქვე დავყევით ბილიკს კვალის საძიებლად და ვიპოვეთ კიდეც, აშკარად მამაკაცის და აშკარად მძიმე ფეხსაცმლისგან დატოვებული, მაგრამ ვერსად მივაგენით ხარის ჩლიქს. ჩლიქის მკაფიო კვალი მხოლოდ კლდის ძირში, ბალახზე აღმოვაჩინეთ.

– ესე იგი, ხარი აქ იყო, – ვთქვი მე.

– კი, აქ კარგი ბალახი იცის, – ამიხსნა გენძეხაძემ.

მაგრამ ამ დროს ცივტარიელაშვილმა ჩაიმუხლა, აქეთო, დაგვიძახა, ჩვენც მივუახლოვდით, დავიხარეთ და ყველამ ერთად დავინახეთ ჩლიქის კვალის მახლობლად სწორედ იმ დიდი, ბლაგვი ფეხსაცმლის კვალი, კლდოვან ბილიკს რომ მიუყვებოდა მაღლა. ხელმეორედ მოგვიწია ბილიკზე ასვლა და

კვალის შედარება, ეჭვი არ იყო, ერთსა და იმავე ადამიანს ეკუთვნოდა. ისევ ავედით კლდის წვერზე და ქვაბის მახლობლადაც ვიპოვეთ იგივე ნაკვალევი. შემდეგ ქვემოთ ჩამოვედით და ბალახზე დავიწყეთ სისხლის წვეთებს ძებნა. არაფერი, ბალახი სუფთა იყო. აქედან გამომდინარე, დავასკვენით:

ა) უცნობი უთვალთვალებდა ხარს, ან შეიძლება გამოდენა კიდეც აქეთ, კლდისკენ.

ბ) ხარი ქვემოთ არ დაუკლავთ, ის ზევით აიყვანეს, იმ ბილიკით, რომელზეც ამხელა პირუტყვი ვერანაირად ვერ გაივლიდა და რომელზეც მისი კვალი არ არის, ანუ ან ამწეთი აწიეს, რომლის კვალს ასევე ვერ მივაგენით, ან დიდმა ჯგუფმა აიტანა, ნაკვალევი კი მხოლოდ ერთია. აქედან გამომდინარე, ხარი ერთმა ადამიანმა აიტანა კლდის წვერზე. რაც შეუძლებელია.

სოფელში ჩატარებულმა გამოკითხვამ შედეგი არ მოგვცა, არავინ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ ნანგრევები კლდის თავზე ძველ ეკლესიას ეკუთვნის, რომელიც 14-ე საუკუნეში დაანგრია თემურ ლენგმა.

ასე გამოვბრუნდით უკან, ხაშურში, მაგრამ სამი დღის შემდეგ მოვიდა სპირიდონ გენძეხაძის მეორე დეპეშა, რომელშიც ერთადერთი სიტყვა ეწერა: «ჩამოდით!»

და მე და ამხანაგი ცივტარიელაშვილი ხელმეორედ აღმოვჩნდით ზედა გაბოზში, ამჯერად მის მარცხენა ბორცვზე, დაკეტილ ეკლესიასთან. ეკლესიის ეზოში ხალხი შეკრებილიყო, გენძეხაძე ეზოს ჭიშკართან დაგვხვდა და შიგნით შეგვიძღვა.

ტაძრის წინ, სისხლის გუბეში პირქვე იწვა დანაწევრებული დიდი კავკასიური ნაგაზი, მოჭრილი ფეხები ტანქვეშ ჰქონდა დალაგებული, მოკვეთილი თავი კი წინ ედო და დანაწევრებულ ტანს შეჰყურებდა.

დანაშაულის ადგილის დათვალიერების შედეგად კვლავ იქნა აღმოჩენილი იგივე, ბლაგვი ფეხსაცმლის კვალი, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ ძაღლის ნაკვალევი, რომელიც ეკლესიის მახლობლად მცხოვრები გლეხის, ვალოდია სუმბაძის ნაგაზი ყოფილა, ცნობილი თავისი სიავით.

გამოკითხვამ კვლავ არაფერი მოგვცა. ორივე დანაშაული ჩადენილია აშკარა რელიგიური საფუძველით, ეკლესიის ეზოში, ორივეს დაჰკრავს მსხვერპლშეწირვის ნიშნები, ასე დამახასიათებელი დღესასწაულებისთვის. მაგრამ ზედა გაბოზში მორწმუნე არავინაა, ეს ინფორმაცია უკვე ხაშურის მილიციიდან გამოვითხოვეთ, ადგილობრივი ინფორმატორისგან. უკანასკნელი მღვდელი სოფლიდან ექვსი წლის წინ წავიდა. ერთ დღესაც ჩაულაგებია ჩემოდანი, ტაძარი დაუკეტავს და ქალაქიდან ამოსული მანქანისკენ წასულა, ეკლესიის ეზოსთან რომ ელოდებოდა. იქვე მდგარა სოფლის მოსახლეობა, რომელსაც უთხოვია: რას შვები მამაო, ნუ დაგვტოვებ, თორემ შენ რომ წახვალ ჩვენზე ღვთის მადლი აღარ გადმოვაო. მღვდელი წამით გაჩერებულა, როგორც რეზინის ხელთათმანზე დენი არ გადადის, ისე თქვენზე არ გადმოდის ღვთის მადლიო! უთქვამს, ჩამჯდარა მანქანაში, წასულა და იმის მერე აღარ დაბრუნებულა.

ასე რომ, კვლავ ხელცარიელები წამოვედით ხაშურში, ორი დღის შემდეგ კი მოვიდა სპირიდონ გენძეხაძის მესამე დეპეშა. ამჯერად თავდასხმა განხორციელდა ადამიანზე და გვყავდა თვითმხილველი. კი არ წავედით, გავფრინდით ზედა გაბოზში.

გენძეხაძე დაზარალებულის სახლთან დაგვხვდა. თვითონ დაზარალებული ლოგინში იწვა. ეს გახლავთ მამია ლორთქიფანიძე. ჩია კაცი, წვრილი ხმით და პატარა ხელებით. აი, რა მოჰყვა მან: წინა ღამით, ნასვამი მოდიოდა მარჯვენა ზედა გაბოზიდან თავისი სახლისკენ, რომელიც ზედა გაბოზის მარცხენა ბორცვზე მდებარეობს. ხიდამდე არმისულს მოეჩვენა, თითქოსდა ვიღაც უკან მოჰყვებოდა. აქ ლორთქიფანიძის სიტყვებს მოვიყვან: «როგორ, იცი?! ზურგიდან რო გრძნობ, რო ვიღაცაა იქ, ნაბიჯებიც გესმის. გავჩერდები, გაჩერდება ისიც,

გავაგრძელებ გზას და ისევლე მომყვება, არ მივიხედე და ერთის მეტი არ გავჩერებულვარ, ვიცოდი, რო მიმხვდარიყო რო შევამჩნიე, ან რო გავქცეულიყავი, უეჭველად შემომახტებოდა უკნიდან. მასე ვიარე და სანამ ხიდი გამოჩნდებოდა, ერთი სიცოცხლე გავათავე, ხიდი რო გამოჩნდა, ე მაშინ ვერ მოვითმინე, გავიქეცი და მანდ შემეშალა ზუსტად, ადრე მომივიდა... კი, როგორ არ მესმოდა, ღრენის ხმა იყო, მგელი ან ძაღლი რო მოგდევს, ისეთი. ვხვდებოდი, მეწეოდა, ხიდს რო მივაღწიე, მანდ მთლად ახლოს იყო, ქშენა მესმოდა ყურთან, მერე ზურგში რაღაც წვეტიანები ჩამერჭო და ჩამომისვა და ჩამსერა ქვემოთკენ, ვიღრიალე, ხელი ავიქნიე, ხიდზე ავვარდი და ხიდი რო შებორძიკდა და წყალში ჩავარდნის ხმა რო გევიგე, მაშინღა მოვიხედე. ღამე იყო, მარა ნაღდად ვიცი, რო მხეცი არ ყოფილა, კაცი იყო, შავი წვერით და რაღაც გრძელი ტანსაცმელი ეცვა, წყალში აფართხუნებდა ხელებს და ძაღლივით იღრინებოდა». ჭრილობების დათვალიერების ნება ვთხოვეთ ლორთქიფანიძეს, გადმოტრიალდა, მთელ ზურგზე კისრიდან წელამდე ხუთი წვრილი, წითელი ხაზი გასდევდა, კლნჭების კვალი იყო.

ჩავედით ხიდთან, თავდასხმის ადგილი დავათვალიერეთ, სადაც ისევ იგივე კვალი დაგვხვდა – ბლაგვი ფეხსაცმლის დაკბილული კვალი. შემდეგ ზედა გაბოზის ორივე ბორცვზე გამოვიკითხეთ ინფორმაცია, ისევ არაფერი და ბოლოს მე და ცივტარიელაშვილი, დაღლილები ჩამოვსხედით ეკლესიის ეზოს წინ, წყაროსთან. ვცდილობდით, რაიმე საერთო გვეპოვნა ამ სამ დანაშაულს შორის. პირველი ორი ჩადენილი იყო ტაძრის ტერიტორიაზე და მსხვერპლშეწირვას წაგავდა, მაგრამ მესამე, ხიდზე? ან რა საერთო უნდა ჰქონოდათ ხარს, ძაღლს და ადამიანს. და სწორედ ამ დროს, იქვე, ჩვენ მახლობლად შემოკრებილი სოფლის ბირჟის ხორხოცი მოგვესმა:

– ა, ძმაო, სოფელიც ასეთი უნდა, მეტრაკე ვერ გაიჭაჭანებს ვერსად, გინდა კაცი იყოს და გინდა ცხოველი.

და უცებ დამარტყა.

მყისვე დავუკავშირდი ხაშურს, ადგილობრივი ინფორმატორის მისამართი გავიგე (ინფორმატორთან სტუმრობის ფაქტებს, რა თქმა უნდა, არ მოვიყვან) და სულ რაღაც ნახევარ საათში დანაშაულის მოტივი ხელთ გვქონდა. აღმოჩნდა, რომ გენძეხაძის ხარი არასოდეს ეკარებოდა ძროხებს და ხშირად იყო შემჩნეული სხვა ხარების გარემოცვაში, თან საეჭვოდ, რის გამოც მის პატრონს სოფელში ხშირად დასცინოდნენ. იგივე აღმოჩნდა სუმბაძის ნაგაზი, რომელიც როგორც ზედა გაბოზელები ამბობენ «ხშირად უნახავთ სხვა კაც ნაგაზზე მიმჯდარი» და ბოლოს, მამია ლორთქიფანიძეზე მთელ სოფელს სცოდნია, მიუხედავად იმისა, რომ ცოლიც ჰყავს და ორი შვილი, მაინც «იმნეირია», რის გამოც მის შვილებს სოფელში «მინეტიჩებს» ეძახიან.

ამხანაგი ცივტარიელაშვილი მყისვე დაუკავშირდა ხაშურის მილიციას და ქართლის რაიონის ორი ყველაზე პირწავარდნილი მამათმავალი, ანუ უფრო გასაგებად «მეტრაკე» – ტუნელა გივი და პირიქით კობა ამოაყვანინა ზედა გაბოზში, სადაც შემუშავდა კიდევაც ოპერაციის გეგმა.

რადგან დამნაშავის კვალი ყველაზე ხშირად ზედა გაბოზის მარჯვენა გორაკის მიმდებარე ტყეში იქნა ნაპოვნი, ჩვენი მახეც იქ დავაგეთ, ხეებს შორის, პატარა, კოხტა ველზე გავშალეთ კუბოკრული პლედი, გავაწყვეთ საჭმელი, დავანთეთ კოცონი, პლედზე ტუნელა გივი და პირიქით კობა დავსვით, რომელბსაც მკაცრი და ზუსტი ინსტრუქცია ჰქონდათ, ჩვენგან ინსცენირებულ ყვავის ჩხავილზე დაეწყოთ თავისი საქმე, ანუ ალერსი. მე კოცონის მახლობლად ავძვერი ხეზე და იარაღმომარჯვებული ჩავიმალე ფოთლებში, ამხანაგი ცივტარიელაშვილი კი პლედის გვერდზე აქოჩრილ ხშირ ბუჩქნარში შეძვრა.

შებინდებულზე ჩვენს ორ აგენტს ნიშანი მივეცით და ისინიც საქმეს შეუდგნენ და როდესაც ჩამობნელდა და მათი იმჟამინდელი პროფესიული მოვალეობა, სიამოვნებაში გადაიზარდა, ტყის სიღრმეში უცნაური ღრენა გაისმა, ხეების

მიღმა შავი ლანდები გაკრთა და უეცრად კოცონით განათებულ მდელოზე ხუთი შავწვერიანი, გრძელ შავსამოსიანი კაცი გამოვარდა და ღრიალით გაექანა ჩვენი, ერთმანეთზე ჩახუტებული და შიშისგან გაქვავებული შიშველი აგენტებისკენ. აქ კი, მთელი ჩემი პატივისცემისა და მადლიერების მიუხედავად, უნდა მოგახსენოთ რომ ახალგაზრდა ცივტარიელაშვილს ნერვებმა უმტყუნა, მან ნაადრევად განახორციელა სამი გასროლა, რის შედეგადაც მოიერიშეებიდან დაიჭრა ერთი, დანარჩენები კი ისევ ტყეში გაუჩინარდნენ. ხიდან ჩამოვხტი და ამხანაგ ცივტარიელაშვილთან ერთად დავედევნე დაჭრილ დამნაშავეს, კოჭლობით რომ ცდილობდა გაქცევას, დაახლოებით ას მეტრში დავეწიეთ და წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როდესაც შავწვერიანი, გრძელშავსამოსიანი და კატასავით მოქნილი ველურის ნაცვლად, გლეხურად ჩაცმულ, ფეხში დაჭრილ ქაღარა ბაბუას წავადექით თავზე, ხის ფესვებზე მიწოლილი რომ სუნთქავდა აჩქარებით.

მოხუცს ხელები შევუკარით, შემდეგ ჭრილობა დავუმუშავეთ, მანქანამდე ხელით ვატარეთ, უკანა სავარძელზე ჩავსვით და ხაშურის მილიციის იზოლატორში ჩამოვიყვანეთ დაკითხვაზე, მაგრამ უშედეგოდ, ჯიუტი ქართლელი გლეხი გამოდგა, რომელსაც ვერც მუქარით და ვერც მუჯლუგუნებით ვერაფერი ვათქმევინეთ. შემდეგ მოხუცის შესაშინებლად ჩვენი ორი მოწმე ტუნელა გივი და პირიქით კობა შემოვიყვანეთ, რომლებმაც უყოყმანოდ დაადეს ხელი გლეხს, ეს იყოო. მაგრამ მოხუცი მაინც არ გატყდა. ამიტომ მოწმეების გაყვანა ვბრძანე.

– დიდი მადლობა და კარგაააად ჩემო ოქრო, ძალიან მაგარი იყავი, – უთხრა ტუნელა გივიმ, კობას, გადაიწია, ტუჩებში აკოცა და მე თვალებს არ დავუჯერე, რკინის სკამზე მიბმული თეთრწვერა მოხუცი აკანკალდა, სახე გაუწითლდა, ყელზე თოკებად ამოებურცა ვენები, მოხუცმა უკან გადააგდო თავი, საშინლად დაიღრიალა, თეთრი თმები დაბლა წამოუვიდა, მხრებზე დაეცა და გაუშავდა, უწვერულ სახეზე ხშირი შავი წვერი ამოუვიდა, მიწაზე მუშაობისგან დამტვრეული ფრჩხილები წაუგრძელდა და მოვლილ ბასრ კლანჭებად ექცა,

თვალის უპეებთან შეყრილი ნაოჭები გაეშალა, ჩია მხრები ძვლების და მყესების ტკაცანით გაუვიდა განში, ტანსაცმელი შავ წყალივით აულივლივდა, მერე ისევ მყარი ფორმა მიიღო და გრძელ შავ ანაფორად დაეკიდა სხეულზე, კისერზე კი ჯაჭვზე ჩამოკიდებული დიდი ვერცხლისფერი ჯვარი შემოეხვია. ქართლელი მოხუცი მართლმადიდებელ მღვდლად იქცა, პირზე დუჟმომდგარი რომ იწევდა «მეტრაკეებისკენ» და ნამდვილად ამოგლიჯავდა ქვის იატაკში ჩაბეტონებულ სკამს, რომ მე ტუნელა გივი და პირიქით კობა ოთახიდან არ გამეგდო. როგორც კი ისინი გავიდნენ, მღვდელი დამშვიდდა და წყნარი, აუღელვებელი ხმით მოჰყვა საკუთარ ამბავს: ერთი თვის წინ ტყეში გადაყროდა შავებში ჩაცმულ, ჯვარჩამოკიდებულ და წვერიან კაცს, რომელმაც კისერზე უკბინა და ამის შემდეგ თუკი სადმე მამათმავლობას მოჰკრავდა თვალს, ასე ემართებოდა. ამ ორმა მაქციამ დაკბინა კიდევ სამი ადამიანი და ახლა მაქციების რიცხვი ხუთი იყო.

ასე რომ, ამხანაგო კაპიტანო, საქმე «ზედა გაბოზელი მაქცია» გახსნილია, დაკავებულია ერთი ეჭვმიტანილი, დადგენილია სხვა მაქციების ვინაობა, ვფიქრობ, რაც მალე გამოცხადდება ძებნა მით...

ამხანაგო პროფესორო, კოლეგავ, ვფიქრობ, არ არის საჭირო ახსნა, თუ რა სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან თუკი ჩვენ შევძლებთ ამ მაქციების შეპყრობას, მათ დეტალურად შესწავლას და თვისებების, ანუ აგრესიის ობიექტების და მაქციობის შეცვლას, ვთქვათ მამათმავლებიდან – კაპიტალისტებზე, კბენის შედეგად კი მღვდლის ნაცვლად მივიღებთ იდეურ კომუნისტს და შემდეგ ამ ძალას მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნებში გადავისვრით, ჩვენ სულ მალე ავიხდენთ ოცნებას, ანუ მივიღებთ აბსოლუტურად წითელ, მოაზროვნე მსოფლიოს და დედამიწაზე ერთხელ და სამუდამოდ დადგება კომუნიზმის ერა!

პატივისცემით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის
პარანორმალურ მოვლენათა შემსწავლელი ჯგუფის
ხელმძღვანელი, პროფესორი თენგიზ შაიშმელაშვილი.

1968 წლის 15 ოქტომბერი

ზურა გოგიძე

ჯადოსნური ფუნჯი

ამისი დახატვაც არ გამომიდის, როგორც ყოველთვის. მაგრამ ხელობა მაინც არაფერი ვიცი და ისევ ამ ნახატების გასაღება უნდა ვიღვაწო აღსასრულამდე. ადვილია. აკი ადვილი ყოფილა აქამდე, უკვე რამდენი ხანია.

თავგასიებულები გამომიდიან, მხარმოღუნულები, ცალფეხდაგრძელებულები, ერთიმეორესთან უზომოდ დიდ-პატარები. სამაგიეროდ იაფად ფასობენ ჩემები.

აი, ხელოსან ნაზირაშვილისთვის კიდევ უფრო ადვილიცაა: იმან ხატვა იცის, ყველა სურათი წაღმა გამოუდის და ფულსაც ისა შოულობს. მე კი, ძველი ამბავია, საუკუნეა სიღარიბე ვცანი ჩემს თავზე გამარჯვებად. დღეს ცოტას ვიშოვი და ვჭამ უგემურ, იაფ ლუკმებს და ვცოცხლობ, ვიდრე კიდევ შემდეგ ლუკმებამდე, შემდეგ შოვნამდე. და როცა არა ვჭამ, ვიცი, ხვალ თუ ზეგ კიდევ შევჭამ, გავძლებ. ბოლომდე, სანამ გავძლებ.

ვუზივარ ახლაც ვარსკვლავის შემგროვებლებს ღამის ცაზე და ამაოდ ვცდილობ გაშლილ მუშამბაზე ღამის და ვარსკვლავების სიბნელე-სინათლის გაწონასწორებას.

ძველი ამბავია და ასეც მიდიოდა ყოფის საქმე, ვინ იცის უკვე რამდენი წელია და სწორედ ახლა, როცა უკვე სიბერეს ვაპირებდი, ამიფორიაქდა გონება და შიგნიდან ყველაფერი: დაგინახე და შენზე ფიქრები დამემართა, უსაშველოდ და უიმედოდ.

როგორღა გინდა თავიდან ამოგიგდო? ვუზივარ ხატვას, ცაზე ვარსკვლავის შემგროვებლებს, და შენა გფიქრობ, იმის მაგივრად რომ ნახატი-სამუშაო ვიფიქრო, ხაზი, ფერი, ბნელში სხივის გამონათება მოვიფიქრო იმ ღამის ცაზე, იმ ნათელ ვარსკვლავებში.

არც თავს ვანებებ. გეგონება ალალბედზე ვახტუნავებ ფუნჯის მოძრაობას, გეგონება თავი არც კი მადგას კისერზეო:

დახატვისა არაფერი მახსენდება და ჩემს თავს არაფერს ვეკითხები, ასე ვქნა თუ ისე-თქო.

შენ მელანდები.

აქამდე საათის წიკწიკივით ზუსტად და საიმედოდ აწყობილ ყოფაში გამოცანა შემომიტანე. შენ დანახვამდე ყველაფერი ადვილად ვიცოდი, რაც როგორ იყო, და ახლა აღარაფერი ვიცი. გამიჩნდი ხათაბალად.

მაგრამ ეგრე კარგი რომ ხარ?

არა, ვერა, ვერსაით დამავიწყდე ამიერიდან.

ნეტავ ვინ წერა-მწერალმა იყო გზაზე შენი თავი რომ დამიხატა ბედისწერად? სიკეთის იყო თუ ბოროტების იმისი განზრახვა?..

მაგრამ უცებ რაღაცამ შემწყვიტა და გამომაძრო შენზე ფიქრებიდან. ნეტავ რა ძალამ? რა საჭიროებამ? რამ გამომიყვანა თავშიგნით შენზე დაკვირვებიდან თავგარეთ ტურტლიან სახელოსნოში?

დავინახე: ფუნჯსა ვწმინდავდი ჭუჭყიანი ჩვრით, საგულდაგულოდ, ზეთში ვასველებდი და ჯაგრიდან საღებავის ნარჩენებს ვაცლიდი.

სურათი გამახსენდა, მუშამბა, ღამის ცა და ვარსკვლავები. შევხედე. დამემთავრებინა დახატვა. ამიტომაც ყოფილა რომ ყურადღება შენიდან აქეთ წამომსვლია წამის წინ, ასე მოულოდნელად.

მიკვირდა: ასე რანაირად დამეხატვინა, რომ გზადაგზა არაფერი მომიფიქრებია, რა და როგორ. ფუნჯი თვალთან ახლო მოვიღერე, იმასა ვკითხავდე დაკვირვებით, ნუთუ თვითონვე, უჩემოდ ეღვაწნა?

*

მერე კიდევ იყო, ცა და ვარსკვლავები გასასყიდად რომ მიმქონდა ვაჭარ წუნკალოვის სახელოვნებო დუქანში. მზიან

აღმართში, იმ შუადღეში, შენ რომ აივანზე გამოსულიყავ და კარალიოკებსა ჰკიდებდი მზის სხივებზე.

დავდექ, გავშტერდი, მოგაჩერდი. ღონე წამივიდა, ხელ-ფეხი წამერთვა. ცა ხელში ქვაფენილზე გამივარდა, შენი სიტურფის ჯადომ ადგილზე გამაქვავა. ვიდექ პირდაღებული, ფეხებთან მეყარა წუხანდელი ვარსკვლავები და არ კი მახსოვდნენ: ჩემი მზე აივანზე გამოსულიყავ, თავზე დამნათოდი.

როგორ უცნაურადა ხდება რომ სამყაროს გაუთავებელ გნიასსა და ალიაქოთში, შიშით და შიმშილით დაბრმავებული ვირთხები ცხვირის ცეცებით რომ დავძრწივართ მიწაზე ლუკმების და შურის ძებნაში, ერთ მშვენიერ დღეს მაინც როგორა ვპოულობთ ჩვენ-ჩვენი გულის იმ ერთადერთსა! ეს რა თამაშია ბედისწერისა? და ნეტავ კეთილი ღმერთის წყალობაა თუ ბოროტი ღმერთის დაცინვა, კაცი პოულობდე და ვერ კი მოიპოვებდე იმ შენს ერთადერთს?

ხომ თვალი არ მომიწყვეტია, და კიდეც მომეჩვენა, ვითომ შენც მიყურე. აი, სულ ბოლოს, ვიდრე აივნიდან წახვიდოდი.

მოვედი გონზე, ავიღე სურათიც ქვაფენილიდან. ვიარე და შუბლის კოლოფით შენი მზერა მიმქონდა, გეგონება მიხაროდა.

მივედი წუნკალოვისას, დარდი არა მქონდა სურათს თუ არც მომიწონებდნენ. მაღალი სარკე აქვს იქა, დუქანში, იმის დანახვას მივაშურე: აბა ვნახო როგორი ლამაზი ვარ დღეს, რომ სანატრელისგან დანახვა მერგო წუთის წინ?

თავზე აწეწილ ჯაგარს კიდევ რა უშავს, წვერი მქონია ყვითელი საღებავით დათხუპნული. მაგრამ რა ჩემი ბრალია, უბრალო მოკვდავი საკუთარ წვერს წინასწარ რანაირად დავინახავდი? შინიდან გამოსვლამდე რანაირად მეცოდინებოდა თუ მოთხუპნულიც ვიყავი?

ვიხეტიალე კიდევ იმ დღეს შენ ქუჩაზე, შენ აივანთან. სულ კი ამაოდ. სულ ამაოდ.

*

დღეში უბნის პოლიციელი იმდენს არ გაივლის შენს ქუჩაზე, რამდენიც მე ვიარე კიდევ იმის აქეთა დღეებში.

– უცხო ქალბატონოთ, – თავდახრილი, ხელში კალათით გამოდიოდი სახლის კარიდან, მე რომ გითხარი – ბედისწერის ნებით არის, რომ მე თქვენზე ფიქრი შემეყარა დაუძლეველი. მე ხომ სულ არაფერი გამეგება ამაო სოფლის წაღმა-უკუღმართობისა, ოღონდ გაგიმხილოთ: აემ გულში სულ მომენატრება თქვენი ბრწყინვალების შემონათება, – მარცხენაზე ვიდებდი თითსა.

თავდავიწყებული ისეთ კაი ხმაზე გავიკრიფე, შორიახლო გამვლელმა მოქალაქე ქალბატონებმა ჩემსკენა ცქვიტეს თვალ-ყურები, იშვირეს ცხვირები. შეგრცხვა, დაიბენი.

– აბა რას ბრძანებთ, სირცხვილია, გთხოვთ, – მითხარი და ფეხს აუჩქარე ჩემგან.

დავრჩი. ვიდექი და კეფას ვიფხანდი ეული.

დრო არაფერს არა ცვლიდა. დღეც გავიდა, ორიც, სამიც, მეტიც.

უცნაურად გაჩხერილი ჩავრჩი მანამდელი ყოფის უმიზნო გზებიდან სიბერეში გადასასვლელ უღელტეხილზე. შეუფერებელი, ყმაწვილური შფოთვა და აღტაცება მიქროდა ღვიძლში, გონებაში, ძარღვებში და, ამასთან ერთად, ამაო მოფიქრებები ყოფის გამოცნობაზე.

მაგრამ ცოტავდებოდა უგემური, იაფი ლუკმები და დავუბრუნდი უხეირო მოღვაწეობას. ამ ჯერზე გარეული მხეცებია დასახატი, მიკიტან სამაილოვსა სურს ასეთი სურათი.

ძალიანაც კარგი. ცხოველები კაი ხალხია სახატავად: უფრო ადვილად გპატიობენ უვიცობას, უნიჭობას, უზუსტობებს, ვიდრე დასახატი ადამიანები.

ვუზივარ ტილო-მუშამბას. თავიდან ნახატის მოფიქრებით დავიწყე, მაგრამ მერე და მერე შენზე ფიქრმა მომტაცა გონება

და ფუნჯი ისევ თავის ჭკუაზე ხატავს ახლაც, უჩემოდ. გეგონება, სულ ტყუილად მიჭირავს ხელით, არცა ვხედავ ხატავს თუ არა, და თუკი ხატავს, რასა ხატავს. სულ შენა გხედავ და ფუნჯს რომელიღა მზერა მივადევნო?

ფუნჯი იღვწის, მე კი იქა ვარ, სადღაც, შენთან. გარე უკვე მოღამებულა, ოთახ-ბინაში უკვე ლამპა ანთია, ზედ ფუნჯის თავზე, მე კი ისევ შენა გხედავ და ყოფის ამოხსნას დავდევ საკუთარ თავში.

*

ღამე გხედავდი. ცაზე ასულიყავ, სინარნარით ჰაერზე ნავარდობდი, სიშორეში გაჰყურებდი ვარსკვლავ-წერტილებს. მე კიდევ, ვითომ ხმელეთით მოვდიოდი შენკენ. ეტყობა, მაღალზე თუ იყო ის ხმელეთ-სავალი, რომ ის იყო, ხელის გამოწვდენით ადვილად უნდა მოგწვდომოდი.

მაგრამ შუაში ჩაგვიდგა ბოროტი მკითხავი, გზაზე გადამეღობა ის ბებერი კუდიანი.

– გაიწ, ბებერო, – ვეუბნევი – გზა მომე, სხვაგან დაეყუდე.

წყეულს ცალ ხელში დროშასავით მაღალ ტარზე დამაგრებული ზანზალაკებიანი ჯადო უჭირავს, გზას იმით მიღობავს, მეორეში კიდევ, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემივე ფუნჯი უჭირავს, ცხვირთან იღერებს და მრგვალი თვალებით აკვირდება.

– ჩემთვის რას გამოიმეტებ, რომ გაგატარო? – ზედ არც მიყურებს.

– რა გინდა, რო? რა გამოვიმეტო? – ვეუბნები.

„ნეტავ მე რა მაქვს, შენ რა ჩემი ფეხები მოგცე?“ ჩემს თავში ვამბობ.

– მოიფიქრევ, ძმობილო. არა და არ იქნება.

ისე აკვირდება ჩემი ფუნჯის ჯაგარს, გეგონება ღერა-ღერა უნდა გადათვალოსო.

აღარ მიფიქრია, მარცხენა გულის ჯიბეში ვნახე. ქისა მქონოდა იქა, პატარა, სავსე ტომარა. გამიხარდა, გამოვიღე, გავუწოდე დედაბერსა.

– აჰა. წაიღევ.

უსიამოდ ფართხალებდა, ფეთქავდა ქისა ჩემს ხელისგულში, მეზიზღებოდა ხელში ჭერა მისი და რაკი დედაბერმა ჩამომართვა, მაშინვე შარვალზე შევიწმინდე ხელზე დარჩენილი იმისი წითელ-ლორწო კვალი.

გვერდზე გადგა, დამითმო გზა ზანზალაკებიანმა ჯადომ. ვიარე და ზურგს უკანღა ჩამესმა ბებრის ბოროტი გაცინება.

არც მივაფურთხე, შენკენ ვიდოდი. ხელის გაწვდენაზე იყავ, მაგრამ ვერ მოგწვდი. ფეხის წვერებზეც ავიწიე, ხტუნვაც დავიწყე. არადა, ისე ახლოსა ჩანდი.

ზურგსუკან ქირქილებდა ბებერი და ბოღმა მახრჩობდა. შენ კი ვარსკვლავებს გაჰყურებდი უწინდებურად.

*

დღე კიდევ უფრო სიზმარივით გათენდა. კი არც გათენდა და, გათენებისწინა რომელიღაცა ბნელ საათზე გამეღვიძა და რაკი მაშინვე შენი მოფიქრება დამემართა, ვეღარც დავიძინე.

რაღა გაეწყობა, ავდგე, ავანთო, საათი ვნახო, ვჭამო რამე. ჩაი მაქვს, პურები, გულს გადავაყოლებ. წუხანდელ დახატულ მხეცებს დავხედავ, იქნებ გასწორება-მოლამაზება უნდოდეს. მახსოვს, თითქოს არაუშავდა გამოვიდა წუხელ.

მაგრამ არ დამხვდნენ მხეცები.

ყურადღებით ვუყურებ ტილო-მუშამბას, მაგრამ მხეცები არ არიან იქა. რა მოვიფიქრო ამაზე? როგორ უნდა მივხვდე? ვერც როგორ, არც არაფერი. აი, ნამდვილი ოინი თუ გინდა!

იქნებ სურათი სადმე უადგილოდ შევჩურთე და აღარ მახსოვს? მაგრამ ტილო ხომ აქ არის, მხოლოდ მხეცები აკლია! იქნებ

სულაც არ დამიხატია?

მოიცა!

ლამპა ავიღე, უკანა კედელზე აყუდებული ძველი დაფები ვნახო, ძველი სურათები, აქამდე რომ ვერ გამესაღებინა, იქნებ იქ ჩამრჩა მხეცების რამე ნიშან-წყალი?

აი, დაფა. მაგრამ ცარიელია! ამაში ხომ ეხატა ზღაპრული ცხოველი ჟირაფი! ამის უკან კი ნახატი თოლიების დაფაა და ახლა ისიც ცარიელი მხვდება.

კარგი, სულაც ჯანდაბას ყველა ჟირაფი და მხეცი, მაგრამ ჩემი დახეული ტუფლების პორტრეტი? აღარ არის, ახლა მოტიტვლებული დაფა მიყურებს ტუფლების მაგივრადაც!

წყეული ფუნჯი! სულ იმისი ოინებია, თურმე უკუღმა მიხატავდა ყველა სურათს, ოინებს მიგებდა მთელი ცხოვრება. ხელი დავავლე, ფანჯარაში მოვისროლო ფუნჯი მოღალატე.

ჯავრის საყრელად შუაზედაც გადავტეხე.

მაგრამ ფანჯარაში თურმე ახალი ოინი თამაშობდა და დავდექ მეც პირდაღებული იმის ყურებად: იქ, გარეთ, თოვლი მოსულიყო, ზედ უკვე დილა უწყებდა დანათებას იმის სითეთრეს და დაიარებოდნენ შიგნი არსებები, იმ ბნელ-ნათელ თოვლში. პირველი ჟირაფი გამოვიცანი იმათში, გრძელი. და იქ იყვნენ სხვებიც, ჯოგად დადიოდნენ წუხანდელი მხეცებიც, ათვალიერებდნენ მათთვის უჩვეულო, ქალაქურ არემარეს და იმათ საზოგადოებას თავზე დააფრინავდნენ თოლიებიც. ჩემები არიან, ამათ გამოცნობას რა უნდა, აბა, ვინ ჭკუათმყოფელი მხეცი მოვა შუაგულ ქალაქში სასეირნოდ. დახეული ტუფლებიც კი იმათ ასდევნებოდნენ, სულ ბოლოში მისდევდნენ მხეცების სეირნობას.

გატეხილი ფუნჯი ცხვირთან მოვიღერე და ვათვალიერე, იმ ღამის დედაბერივით. ეს რა ჯადოქრობაა? ნახატები კი ქუჩაში დადიოდნენ. რომელი ყველაზე დიდი მურა დათვი იყო, ის ორ ფეხზე ამდგარი დაიარებოდა, ხელის გულები შეეერთებინა და პეშვით დაჰქონდა მანათობელი ვარსკვლავების გროვა, ახმახი

ჟირაფი კიდევ, იქიდან სათითაოდ იღებდა ვარსკვლავებს და ტელეგრაფის მავთულზე კიდებდა. დასტრიალებდნენ იმათ ფრინველი თოლიები, ცხვირებით იღებდნენ ისინიც სათითაოდ ვარსკვლავებს და სახლების აივნებზე, სარეცხის თოკებზეცა ჰკიდებდნენ, საზეიმოდა რთავდნენ ჩემს ქუჩას, გეგონება, ეს-ესაა, ირანის შაჰმა უნდა გამოიაროსო საპატიო მოგზაურობით.

და მიჰყვებოდნენ ქუჩას სიშორეში აი, ამ მოღვაწეობით.

აი-და, ფუნჯი! აი, ოინბაზი და ოინიც გაუგონარი!

ახლა მოწიწებით ვაკვირდები ოინბაზ ხელსაწყოს და მრცხვენია, რომ ასე უსულგულოდ გავტეხე წუთის წინ. ამას წებოთი გავამთელებ, რომ გათენდება, სარქის მეჩექმეს ვეტყვი, იმასა აქვს კარგი წებოები.

*

ზურგს უკან, ოთახში, სულ პატარა მოძრაობა გავიგონე, მოვეშვი ფანჯარას, მოვიხედე და შენ დაგინახე. გავშეშდი პირდაღებული, ფუნჯის ნატეხები ძირს დამიცვივდა.

გარედან უკვე არაუშავდა, სინათლე შემოდიოდა და გხედავდი: ძველ ტახტზე მოკუნტული და შეციებული იღვიძებდი, საბრალოდ წაგეფარებინა შენივე საგარეო, გრძელი ფარაჯა. მაშინვე წამოიწიე, წამოჯექი. მიყურებდი, შეშინებული თუ შეფიქრიანებული.

– თქვენ ხომ... – გაოცებით ენა დავძარი – მე ახლავე ცხელ ჩაის... – ვერა გამეგო, ვილუღლუღე – ჩაი მაქვს, პურები. თქვენ ხომ გაითოშეთ. ახლავე.

ავწრიალდი, ავფუსფუსდი, ჩაიდანი გავმართე, სუფთა ფინჯნებს ვეძებდი რომ უცებ გამახსენდა, ოთახში მოველ, ჩემი საბანი ვნახე, ჩემივე ხელით ზედ იმ ფარაჯაზე შემოგახვიე.

ცოტა ხანში ცხელ ჩაის ვსვამდით და აღარა გციოდა, კიდევ ცოტა ხანში აღარ გეშინოდა და ვიცინოდით და კიდევ ცოტა ხანში სულ ჩემთან იყავი ამიერიდან.

თურმე მაშინ გგონებივარ ლამაზი, როცა ქვაფენილზე კი არა, ვარსკვლავებიან ცაში ვიდექი შენი აივნის წინ და გაშტერებით გაკვირდებოდი. თურმე ფიქრებში ჩაგრჩენია ჩემი აღსარებიდან რომ მარცხენა გულის კარი ღიად დამრჩენოდა შენი სხივების მოლოდინში.

სახელოვნებო დუქანშიაც კი მისულხარ საგანგებოდ ჩემი შრომის ახლოს სანახავად, გასასინჯად.

თურმე ადვილად მოგიკვლევია ჩემი ბინისთვის და ბევრი გიყოყმანია. აღარა გდომებია შენც შენი ძველი ყოფა, ისიც მტანჯველი და აბეზარი. მაგრამ ახალში შემოსვლა კი შეგშინებია და გიყოყმანია. მაინც წუხანდელ უძილობას გათენებამდე გამოპარვიხარ ქვეყნიერების უჩუმრად, ჩემი კარი ღიად დაგხვედრია და მოსულხარ გათენების ჩემთან დალოდებად.

შეგცივნია. დაგძინებია.

და ახლა შიშისა და ყოყმანისგან შვებად დაგინახივარ, როგორიც დაგიხვდი. იმისთანებს მეუბნები ახლა, გეგონება, კარგი ვყოფილიყავით მე თუ ჩემი ნახატები. გონებაგაფანტული გისმენ, ბოლომდე ვერცა გგებულობ, ბოლომდე არცა მჯერხარ.

მაშ, ბედისწერას გაცვლა დაეწესებინა ჩემს თავს: ძველი, ეული ყოფის, ბნელი სულის გამონაჭყლეტი ნახატები წუხელ სამუდამოდ წასულან და იმათ სამაგიეროდ შემომიხვედი ნათელი, ახალი ყოფა მოგიტანია წყვდიადის დამხობად, გუნების გამთელებად.

აკი, ზემოთ ვიკითხავდი და, კეთილი ყოფილა ჩემი ღმერთი.

*

მეჩექმეს წებოთი გამთელებული ფუნჯი მიჭირავს ისევ, მარტო შენა გხედავ ახლაც, შენს სიკარგესა ვფიქრობ ყველა ფიქრით

და თვითონ მახატვინებს ფუნჯი, ოღონდ სინათლეს, სიტურფეს, სიხარულს.

ამას კარგად გავყიდი წუნკალოვებში, იქნებ, ხელოსან ნაზირაშვილზეც არანაკლები გადამიხადონ ამიერიდან.

4. კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

ეს ვერც მწერალმა და ვერც ჩვენ ვერ შევძელით

არ ვიცი, დაინტერესდებოდა თუ არა ოკუპაციის თემით, ებრაელებით და ზოგადად, 40-იანი წლების საფრანგეთით პატრიკ მოდიანო, რომ არა მისი ებრაული სისხლი... საერთოდ ხომ ასე ხდება ხოლმე, რაღაც მძაფრად უნდა შეგვეხოს, გვეტკინოს, რომ იძულებული შევიქნათ, ყურადღება მივაქციოთ. თვითონ ამბობს, რომ ჩემს რომანებში ოკუპაციის თემა არც ისე ახლოს დგას 40-იანი წლების რეალურ მოვლენებთან, მე მხოლოდ ვქმნი მსგავს ატმოსფეროსო, მაგრამ მკითხველმა იცის, რომ მის ტექსტებში აღწერილი ამბები ძირითადად დოკუმენტურია, პერსონაჟები — ძალიან ხშირად — რეალურნი... არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრონიკა, რომელიც თან სდევს ტექსტს, ფონია, ომი, რომელიც ხდება, ასევე ფონია, ძირითადი კი მაინც ის ადამიანია, რომლის ამოტივტივება მწერალმა განიზრახა და თითქოს არც კი გაამახვილა მასზე ყურადღება, ისე, უნებურად გადმოგვცა მისი ყველაზე ნიუანსობრივი შტრიხები, ასახა ხასიათი, გაგვაყოლა მის ნაკვალევს და საბოლოოდ ერთი დიდი პანორამა დაგვიხატა, რომლითაც ბევრად უფრო მეტი გვითხრა, ვიდრე უბრალოდ ისტორიის თხრობაა.

«დორა ბრუდერი», რომელიც გამომცემლობა «აგორამ» გამოსცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში, 15 წლის ებრაელი გოგონას

გაუჩინარების შესახებ მოგვითხრობს 40-იან წლებში. მწერალს შემთხვევით უვარდება ხელში მისი დაკარგვის შესახებ განცხადება, თუ სპეციალურად ეძებს მას, ამას არა აქვს მნიშვნელობა. მთელი ტექსტი დეტექტივს გვაგონებს. უცნაურ, მაგიურ დეტექტივს, სადაც მწერალთან ერთად დავეძებთ დაკარგულ გმირს, რომლის სახელიც ჰქვია რომანს და რომელიც ერთხელაც არ «დაგვინახავს» მთელი ტექსტის მანძილზე. მის შესახებ ქრონიკები, განცხადებები, წერილები, პოლიციის ანგარიშები და სხვადასხვა ქაღალდები მოგვითხრობენ. დოკუმენტსა და დოკუმენტს შორის მისი კვალი წყდება და ჩვენ იმედით და მუდარით ავტორს შევჩერებივართ, იქნებ როგორმე მიგვდენოს შემდეგ დოკუმენტამდე, იქნებ როგორმე გადააბას თხრობა, საფეხური საფეხურზე დაადგას და წინ წაგვიყვანოს, იქით, საითაც გოგონა წავიდა... მაგრამ ავტორს დროდადრო სასოწარკვეთილება იპყრობს, კვალს კარგავს და უიმედოდ დარჩენილი შემოგვჩივის, რომ დორას ამბავს ვერ აღადგენს, ვერ გაუკეთებს რესტავრაციას იმ ნაბიჯებს, რომელიც წლების წინ მტვერმა გადაფარა... «ასეთი ადამიანები ამქვეყნად უხილავ კვალს ტოვებენ, სხვების თვალთაგან ფარულ ცხოვრებას ეწევიან. მათ ვერაფრით გამოარჩევ იმ ქუჩებიდან ან გარეუბნის პეიზაჟებიდან, რომელშიც არსებობა უხდებათ.»

პატრიკ მოდიანოს ძებნის ეს იდეა თანდათან თავგადასავალში გადასდის. გიჩნდებათ შეკითხვა — რა არის ეს, ავტორის ისტორია თუ გმირისა? ჩვენ, ერთი მხრივ, მწერლის გულშემატკივარი ვართ, მეორე მხრივ კი – დორა ბრუდერის...

თავად ავტორი კი... ის უკვე არამხოლოდ დორაზე ფიქრობს, არამედ ზოგადად, ადამიანებზე, მათ თითოეულ ნაბიჯზე, რომელიც უკვალოდ გაქრა. რაც უფრო მეტადაა შეპყრობილი ემოციით, რაც უფრო მცირდება ძებნის არეალი და შესაძლო ტრაექტორია, მით უფრო მეტად ცდილობს, მოიშოროს სენტიმენტალური განცდები და თხრობა საქმიანი, მშრალი და

დოკუმენტური გახადოს, მეტად ერთვება სხვა, პარალელურ ისტორიებშიც, რომელთა შორის, რაღაც მომენტში, თითქოს იკარგება დორა ბრუდერის სახე და ამოტივტივებას იწყებს 40-იანი წლების საფრანგეთი რიგითი ადამიანებით, რომელთა შესახებ მხოლოდ რაღაც გაელვება, ფურცლის ნაგლეჯი ან ორიოდე წინადადება ლაპარაკობს. აქ წააწყდებით გაცილებით შემაძრწუნებელ ისტორიებს, რომელიც ებრაულ ოჯახებს გადახდათ თავს. თქვენ თვალწინ გაიელვებს მრავალი სახე, უმეტესად ბავშვების ან ახალგაზრდების, რომლებიც საბედისწერო «ბადეში» მოყვნენ და სავარაუდოდ, საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპნენ. დორა ბრუდერის მტვერწაყრილ ნაბიჯებს ერევა ათასი სხვა ნაბიჯი... და თქვენ ალაგ-ალაგ გიპყრობით განცდა, რომ ავტორი მარტოა ქვეყნიერების წინაშე. მხოლოდ ის მოძრაობს, გარშემო კი ყველაფერი სტატიკურ მდგომარეობაში დარჩენილა და ამ თავისი სასტიკი დუმილით წინააღმდეგობას უწევს მას.

ემოციას ამძაფრებს ისიც, რომ მწერალი დროდადრო თავის ბიოგრაფიულ დეტალებს ურთავს თხრობას. მშობლების დაშორება, მამასთან დამოკიდებულება და ტკივილი – ეს ყველაფერი დამაჯერებელს და ემოციურს ხდის გამოძიებას, რომელსაც ავტორი აწარმოებს მთელი რომანის მანძილზე,

რათა მიაგნოს დაკარგული გოგონას კვალს. პერსონაჟის მოუხელთებლობა, მისი ეფემერულობა და იმავდროულად ასეთი მსხვილი პლანით საკუთარი ამბების ჩვენება თხრობას კონტრასტულ იერს აძლევს. წარმავალობისა და გაქრობის განცდას ეკამათება დღევანდელი რეალობა, ავტორის აწმყო, რომელშიც ის წარსულის გადარჩენას ლამობს. ავტორის თვალთახედვის ფოკუსში თითქოს მთელი საფრანგეთია, და დორა მხოლოდ მიზეზია სიუჟეტის განვითარებისა, მერე კი გრჩება შთაბეჭდილება, რომ დორაა მთავარი, ხოლო ფონი მხოლოდ ნაწარმოებისთვის აუცილებელი აქსესუარია. მოგვიანებითღა ხვდები, რომ ეს ყველაფერი — ნაცრისფერი არარაობა, წარსულის აჩრდილებთან ბრძოლა და გოგონას ბედ-იღბალი — სამყაროსეული ოქსიმორონია, რომელიც ერთმანეთის გარეშე ვერ არსებობს.

დახატო ომი ისე, რომ ერთმა პერსონაჟმაც კი არ გაიაროს მთელი ტექსტის მანძილზე, რომელიც ხელშესახები და ცოცხალია, რომელსაც ავტორი ხორცს ასხამს და მის სუნთქვას გვაგრძნობინებს, რა თქმა უნდა, პატრიკ მოდიანოს მწერლურ ოსტატობაზე მეტყველებს. კითხულობთ და ჩაგესმით საბეჭდი მანქანის კაკუნი, ფოტოაპარატის ჩხაკუნი, ცხვირში ლინოტიპის მანქანაზე, ტყვიისაგან ჩამოსხმული სტრიქონების ოხშივარი და სტამბის სუნი გცემთ... არსად, არსად არ ჩანან ადამიანები. პოლიციელებიც კი ფოტოპორტრეტების სახით არიან წარმოდგენილნი. და როგორც რომანის მთარგმნელი, ჟორჟ ეკიზაშვილი ამბობს, «იქ დუმილი ლაპარაკობს». რადგან «ისტორია თავის საიდუმლოს არ ამხელს ხოლმე ბოლომდე». არსად არ ჩანს იარაღი, სანგრები, აფეთქების ხმა, სისხლიანი ადამიანები... მაგრამ ეს ყოველივე გაცილებით სასტიკად იგრძნობა ამ სტატიკური შავ-თეთრი კადრების ფონზე.

ვსაუბრობ მეორე მსოფლიო ომზე და დაკარგულ ებრაელ გოგონაზე... რა უნდა იყოს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი «დორა ბრუდერში»... თუმცა, შეიძლება, ყურადღებიდან გამოგვრჩეს ის, რაც არანაკლებ მთავარი და მარადიულია, როგორც პრობლემა, როგორც მენტალური აქტი, როგორც ადამიანის

არსებობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მამოძრავებელი ძალა — გაქცევა, გათავისუფლება...

«გაქცევა — ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება, – საშველად მოხმობაა, ზოგჯერ იგი თვითმკვლელობის ტოლფასია, მაგრამ წამით მაინც გაიცნაურებ მარადიულობას. სამყაროსთან ერთად დროსთანაც წყვეტ კავშირს. გეჩვენება, რომ ზეცა უფრო კრიალაა, მხრებიდან კი მძიმე ტვირთი მოგეხსნა». დორას გაქცევა ამბოხია. ჩვენ არ ვიცნობთ მისი ცხოვრების დეტალებს, მაგრამ აღწერილი ამბებიდან იოლია ამგვარი დასკვნის გაკეთება. თუმცა, მისი ეს პროტესტი (ოჯახისა თუ სკოლა-ინტერნატის მიმართ) ომის «ხმაში» იხშობა. თავისუფლებისკენ სირბილი უნებურად სიკვდილისგან თავდაღწევის მცდელობას ეჯაჭვება და მერე საერთოდ იკარგება, რადგან საყოველთაო ისტერია ყველაფერს ქვიშაზე დატოვებული ნაკვალევივით მყისიერად შლის. დორას ახალგაზრდული ვნებაც – ყოფილიყო თავნება და უმართავი, ამ ქარიშხალში იკარგება. თუმცა კი, თავდაპირველად, როცა რომანის კითხვას იწყებთ, გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ სწორედ გაქცევის ამ წყურვილზე, მის ფილოსოფიაზე, დორას განცდებზე, პროტესტზე და რისკზეა ეს ნაწარმოები... მერე და მერე კი კვლავ გაორების განცდა გიჩნდებათ (როგორც წეღან, როცა მთავარ პერსონაჟს ვადგენდით) — ბოლოს და ბოლოს, რის შესახებაა ეს რომანი, თინეიჯერი გოგონას გაქცევაზე თუ ომზე... ცხადია, ბოლოს ასკვნით, რომ ერთიცა და მეორე თემაც ბუნებრივად ერწყმის ტექსტის ფაბულას და კიდევ ერთხელ გიჩნდებათ აღფრთოვანება მწერლის ოსტატობის მიმართ — როგორ ჩატია ამ პატარა წიგნში ამდენი მნიშვნელოვანი რამ ისე, რომ არსად არ დაირღვა ბალანსი მხატვრულობასა და დოკუმენტურ თხრობას შორის, ფილოსოფიასა და პრაგმატულ რეალობას შორის, სოციალურსა და ადამიანურს შორის...

ვფიქრობ, რომანის მთარგმნელმა, გიორგი ეკიზაშვილმა, ზუსტად მიაგნო იმ ენას, რომელიც მეოცე საუკუნის ამ პერიოდს ყველაზე ბუნებრივად გააცოცხლებდა. ქართულ ენაზე კარგად ისმის ის რევერბერაცია, რომელიც წარსულს მომდევნო

თაობაში გააცოცხლებს და მერე კი, კიდევ უფრო შემდგომ თაობას მიაწვდის ზუსტ ინტონაციასა და ხმას...

15 წლის დორა ბრუგერის კვალი კი ოსვენციმის ბანაკთან წყდება... მისი სიცოცხლის დასასრულიც ასე იკვეთება. თუმცა, მთავარი, თუ რით სუნთქავდა, რა უყვარდა, რატომ გაიქცა, რა ამოძრავებდა და როგორი იყო — ეს ყველაფერი უცნობი დარჩა ჩვენთვის. და სწორედ ეს საიდუმლოა კიდევ ერთი მარგალიტი, რომელსაც აგნებს მწერალი და დასასრულ ამბობს: «ვერასოდეს გავიგებ, როგორ ატარებდა დღეებს, ან სად იმალებოდა; ვისთან ერთად დაეხეტებოდა ზამთარში, პირველი გაქცევის დღეებში და მერეც, გაზაფხულზე, მეორე გაქცევისას. ეს მისი საიდუმლოა; არც ისე დიდი, მაგრამ ძვირფასი საიდუმლო, რომელსაც ვერც ჯალათები, ვერც ბრძანებები, ვერც ეგრეთ წოდებული საოკუპაციო ხელისფლება, ვერც ბანაკები, ვერც ისტორია, ვერც დრო — ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ადამიანს ამცირებს და ანადგურებს — მას ვერ მოსტაცებს.» და მართლაც, ვერც ყოველივე ამან და ვერც მწერალმა და ვერც ჩვენ, ამ საიდუმლოს შეცნობა და გაგება ვერ შევძელით...

5. ახალი თარგმანები

ჟან-პოლ სარტრი

„Les Temps Modernes“. პროგრამული განცხადება

[12]

ჩვენ არ გვსურს, გვრცხვენოდეს იმის გამო, რასაც ვწერთ, და არც ოდნავი სურვილი არ გვაქვს ვილაპარაკოთ, რათა არაფერი არ ვთქვათ. თუმცა ამას რომც ვესწრაფვოდეთ, მაინც არაფერი გამოგვივიდოდა და, საერთოდ, არც არავის გამოუვა. ყოველი დაწერილი თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ აზრს, მაშინაც კი, როცა ის შორსაა იმისაგან, რის გადმოცემაზეც ოცნებობდა ავტორი. ჩვენ მწერალში ვხედავთ არა ვესტალს[13] და არა არიელს[14]: მწერალი ძალაუნებურად «ჩაბმულია», «ნიშანდებულია», იგი – თანამონაწილეა და მისგან ვერ დაიმალება ყველაზე შორეულ თავშესაფარშიც კი; და თუკი არსებობს ეპოქები, როცა იგი თავის ხელოვნებას იყენებს არაფრის მაქნისი ჟღერადობის წვრილმანი რამის გამოსაჭედად, ეს რაღაცაზე მეტყველებს, მაშასადამე, ან ლიტერატურა და ალბათ, საზოგადოება კრიზისულ ყოფაშია, ან ***გაბატონებული კლასები მიუთითებენ მწერალს ფუფუნების საგნების შექმნას სიფრთხილის გამო, რათა მან არ შეავსოს რევოლუციის რაზმები***. ვინაა ფლობერი ჩვენს თვალში, თუ არა ნიჭიერი რანტიე, ნაძაგები ბურჟუა, რომელსაც ჰგონია, საიმედოდ გავიმიჯნე სოციალური მანქანიდანო. განა არა დგას მისი დახვეწილი ხელოვნების მიღმა კრუასეს[15] კომფორტი, დედისა და დისწულის ზრუნვა, გამოზომილი რეჟიმი, აყვავებული საქმე, კუპონების რეგულარული შეკვეცა? არც ისე მრავალი წელია საჭირო, რათა წიგნი იქცეს საზოგადოებრივ მოვლენად, რომელიც განიხილება სოციალურ ინსტიტუტებთან და სტატისტიკით აღირიცხება სხვა საგნებთან ერთად; არც თუ ისე დიდი მანძილით დაშორებაა საჭირო, რათა წიგნი შეერწყას თავისი ეპოქის ავეჯს, მის ტანსაცმელს, ქუდებს, სატრანსპორტო საშუალებებსა და საკვებ პროდუქტებს. ისტორიკოსი ჩვენ შესახებ იტყვის: «თუკი ისინი კითხულობდნენ ამას, იცვამდნენ ასე». პირველი სარკინიგზო გზები, ქოლერა, ლიონელ ფეიქართა აჯანყება, ბალზაკის რომანები,

ინდუსტრიის ბობოქარი განვითარება – თანაბარზომიერად ახასიათებს ივლისის მონარქიას. ყოველივე ეს არახალია და მრავალჯერ თქმულა ჰეგელის შემდეგ, მაგრამ ჩვენ გვინდა მისგან პრაქტიკული დასკვნები გამოვიტანოთ. მწერალს როგორც კი ჩამოერთმევა გაქცევის ყოველგვარი შესაძლებლობა, გვსურს, რომ იგი განუყრელად იყოს დაკავშირებული თავის ეპოქასთან; ეს მისი ერთადერთი შანსია, ეპოქა მისთვისაა წარმოქმნილი და მწერალი ამ ეპოქისთვისაა შექმნილი. ***საწყენია, რომ ბალზაკი გულგრილი დარჩა 1848 წლის რევოლუციისადმი, რომ ფლობერმა გამოავლინა კომუნის ლაჩრული გაუგებლობა***. გვწყინს მათ გამო; მათ რაღაც სამუდამოდ გაუშვეს ხელიდან. ჩვენ არ გვსურს ჩვენი დროიდან რაიმე გავუშვათ ხელიდან: შესაძლებელია, არსებობენ უფრო მშვენიერი დრონი, მაგრამ ეს დრო – ჩვენია; ჩვენი მხოლოდ ეს ცხოვრებაა, რათა ვიცხოვროთ ამ ომის წლებში და შეიძლება ამ რევოლუციით. მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, თითქოს ერთგვარ პოპულიზმს ვქადაგებდეთ, სულაც არა. პოპულიზმი – დაძაბუნებული ბალღია, უკანასკნელ რეალისტთა სუსტი ნაშიერი; ეს – თამაშიდან გასვლის მორიგი ცდაა. ჩვენ, პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ თამაშიდან გასვლა არ შეიძლება. ქვებივით მუნჯები და უტყვებიც რომ ვიყოთ, თვით ჩვენი პასიურობა იქნებოდა მოქმედება. ის, ვინც თავის ცხოვრებას ხეთების შესახებ რომანების წერას მიუძღვნის, თვითონ ჩამოცილდება, – სწორედ ამით უკვე დაიკავებს მკაფიო პოზიციას. მწერალი იმყოფება განსაზღვრულ ვითარებაში – თავის ეპოქაში: ***ყოველი მისი სიტყვა და დუმილიც გამოხმაურებას იწვევს. მე ფლობერსა და გონკურს პასუხისმგებლად მივიჩნევ კომუნის დაცემის შემდგომი რეპრესიებისათვის, ვინაიდან მათ ერთი სტრიქონიც არ დაწერეს, რათა რეპრესიებისათვის ხელი შეეშალათ. იტყვიან – ეს არ იყო მათი საქმე, აბა, კალასის პროცესი იყო ვოლტერის საქმე?[16] აბა, დრეიფუსის მსჯავრის დადება იყო ზოლას საქმე?[17] ან კიდევ, კონგოში ადმინისტრაციული წესები იყო ჟიდის საქმე?[18] ამ ავტორთაგან თითოეულმა თავისი ცხოვრების***

განსაზღვრულ ვითარებაში აწონ-დაწონა თავისი მწერლური პასუხისმგებლობა. ჩვენ ოკუპაციამ გვასწავლა ჩვენი პასუხისმგებლობა. ვინაიდან თვით ჩვენი არსებობის ფაქტით ზემოქმედებას ვახდენთ ჩვენს დროზე, მივიღეთ გადაწყვეტილება, ვიმოქმედოთ შეგნებულად. მაგრამ აქ აუცილებელია დაზუსტება: მწერლები ხშირად მიისწრაფვიან, შეიტანონ თავიანთი მოკრძალებული წვლილი მომავლის მომზადებაში. მაგრამ მომავალი ბუნდოვანი და სპეკულაციურია, კაცობრიობის ეს საერთო მომავალი ჩვენთვის უცნობია. სასრულია თუ არა ისტორია? ჩაქრება თუ არა მზე? როგორი იქნება ადამიანის მდგომარეობა სოციალიზმის დროს 3000 წელს? ამგვარი სახის ოცნებებს ფანტასტებს ვუტოვებთ – ჩვენ უნდა გვაწუხებდეს ჩვენი ეპოქის მომავალი, შეზღუდული მომავალი, აწმყოსაგან თითქმის განუყოფელი – ***რადგანაც ყოველი ეპოქა, როგორც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა – მომავალია. ის არის დაწყებულ შრომებში, განხორციელებულ ჩანაფიქრში, მეტად თუ ნაკლებად თვალმისაწვდომ დროში განხორციელებულ ჩვენს პროექტებში, ჩვენს მშფოთვარებაში, ჩვენს ბრძოლაში, ჩვენს იმედებში***. როდის დასრულდება ომი? როგორ წარიმართება ქვეყნის აღდგენა? როგორ აეწყობა საერთაშორისო ურთიერთობები? როგორი იქნება სოციალური რეფორმები? გვაჯობებენ კი რეაქციული ძალები? აღსრულდება კი რევოლუცია და როგორ მოხდება ეს? აი, ეს მომავალი – ჩვენია და სხვაგვარი არ გვსურს. რა თქმა უნდა, არიან მწერლები, არც თუ იმდენად საჭირბოროტო საქმეებით შეწუხებულნი და ჩვენზე შორსმჭვრეტელნი. ისინი ჩვენ შორის გაივლიან, როგორც არმყოფნი. მაგრამ სად არიან ისინი? თავიანთ ბადიშიშვილებთან ერთად ბრუნდებიან, რათა განსაჯონ განვლილი ეპოქა, რომელიც ჩვენი ეპოქა იყო და რომლისგანაც ცოცხლები დარჩნენ მხოლოდ ისინი. მაგრამ მათი ანგარიში მცდარია: ***სიკვდილშემდგომი სახელი არასაიმედოა.*** რა არის მათთვის ცნობილი შთამომავლობის შესახებ და იმის შესახებ, რომელ ჩვენგანს გამოსტყუებენ დავიწყებას? ***უკვდავება – საშიში ალიბია:*** ძნელია იცხოვრო ისე, რომ ერთი ფეხით საფლავის ერთ მხარეს იდგე, ხოლო

მეორეთი – მეორე მხარეს. როგორ უნდა აკეთო ყოველდღიური საქმე, როცა მათ ამ სიშორიდან უცქერი? როგორ გაგვიტაცოს ბრძოლამ, როგორ გავიხაროთ გამარჯვებით? ყველაფერი თანაბარი ღირებულებისაა. ისინი გვიცქერენ და ვერ გვხედავენ: მათ თვალში ჩვენ უკვე ცხედრები ვართ და ისინი უბრუნდებიან თავიანთ რომანს იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ვერასოდეს ვერ ნახავენ. ***მათ ნება მისცეს უკვდავებას, მოეპარა მათთვის ცხოვრება.*** ჩვენ კი თანამედროვეებისათვის ვწერთ, ჩვენ არა გვსურს სამყაროს ვუცქიროთ მომავლის თვალით – ეს იქნებოდა ჩვენი სამყაროს ჩაკვლა ყველაზე უტყუარი საშუალებით. ჩვენ მას ვუცქერით ადამიანური თვალებით, ჩვენი ნამდვილი მიწიერი თვალებით. ჩვენ უნდა მოვიგოთ ჩვენი პროცესი არა უმაღლეს სააპელაციო ინსტანციაში, და ***ჩვენ არ გვაინტერესებს სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაცია*** – პროცესი მოიგება ან წაიგება მხოლოდ აქ, მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის ჟამს.

ფრანგულიდან თარგმნა ნუგზარ კუჭუხიძემ

ჰერმან ჰესე



მწერლის კრედო

ჩვენს დროში მწერალს, როგორც ზეშთაგონებული ადამიანის წმინდა ტიპს, ჩაჭერილს მანქანებისა და ინტელექტუალური მოუსვენრობის სამყაროთა უჰაერო სივრცეს შორის, **მისჯილი აქვს გაგუდვით სიკვდილი, ვინაიდან მწერალი წარმომადგენელი და ადვოკატია სწორედ იმ ძალთა და ადამიანის იმ მოთხოვნილებათა, რომელთაც ჩვენმა დრომ ფანატიკური ომი გამოუცხადა.**

მაგრამ სისულელე იქნებოდა ამაში დროის დადანაშაულება. ჩვენი დრო, სხვა დროსთან შედარებით, არც უკეთესია და არც უარესი. **იგი სამოთხეა იმათთვის, ვინც იზიარებს მის იდეალებსა და მიზნებს, ხოლო ჯოჯოხეთია მათთვის, ვინც მის საწინააღმდეგოდ იქცევა. მაშასადამე, ჩვენთვის, მწერლებისათვის, იგი ჯოჯოხეთია.** თუკი მწერალი მიისწრაფვის დარჩეს ერთგული თავისი წარმოშობისა და მოწოდებისა, იგი არ უნდა მიემხროს მრეწველობითა და ორგანიზებულობით დამორჩილებული ცხოვრების წარმატებებით თავდავიწყებულ რაციონალისტურ სულიერ სამყაროს. მწერლის ერთადერთი ამოცანაა – იყოს მსახური, ადვოკატი და სულის რაინდი, მაშინაც კი თუკი გრძნობს, რომ ახლანდელ წამიერ სამყაროში მისჯილი აქვს მარტოობა და ტანჯვა, რომელიც ყველას არ მიენიჭა. დღევანდელ ევროპაში ცოტაა მწერალი და ყოველ მათგანში არის ტრაგიზმისა და დონკიხოტობის დაღი. ბუზებივით ირევიან მკითხველ-ობივატელთა საყვარელი «მწერლები“ და ნიჭიერად და გემოვნებით დაუღალავად განადიდებენ, მოცემულ მომენტში, ობივატელთა მიერ აღიარებულ იდეალებსა და მიზნებს: დღეს – ომს, ხვალ –პაციფიზმს და ა.შ.

ზოგიერთი, რომელიც მართლაც ღირსია „მწერლის“ წოდების, მდუმარედ იღუპება ამ ჯოჯოხეთის უჰაერო სივრცეში. წინააღმდეგობას არ უწევენ ბედს და არ გამოხატავენ პროტესტს, ხედავენ რა, რომ გვირგვინი, რომელსაც ოდესღაც მწერალს მიანიჭებდნენ, დღეს ეკლიანი გამხდარა. ამ

მწერლებს ვუძღვნი სიყვარულს, თაყვანს ვცემ მათ და ვაღმერთებ და მსურს ვეკუთვნოდე მათ საძმოს. ჩვენ ვიტანჯებით, მაგრამ არა პროტესტის ნიშნად და უსიამოვნებისაგან; სული გვეხუთება ჩვენთვის უვარგისი მანქანური სამყაროსა და ბარბაროსული მოთხოვნილებების ატმოსფეროში, რომელიც გარს გვაკრავს, მაგრამ მთელიდან არ გამოვცალკევდებით, ვინაიდან ვიღებთ ტანჯვასა და სიკვდილს სულის ხუთვისაგან, როგორც მსოფლიო ბედისწერის ნაწილს, როგორც საკუთარ მოწოდებას, როგორც გამოცდას სიმტკიცეზე. **არ გვწამს ჩვენი ეპოქის არც ერთი იდეალის, არც გენერალთა იდეალების, არც პოლიტიკოსთა იდეალების, არც პროფესორთა იდეალების, არც ფაბრიკანტთა იდეალების, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ადამიანი არ მოკვდება,** რომ კვლავ აღსდგება მისი სახე, როგორადაც არ უნდა დაამახინჯონ დღესდღეობით **და რომ განწმენდილი გამოვა იგი ყოველგვარი ჯოჯოხეთიდან.** ჩვენ არ მივისწრაფვით ჩვენი დროის ახსნისაკენ და არც ჭკუის დარიგებისაკენ, მაგრამ ვაშიშვლებთ რა ჩვენს ტანჯვასა და ოცნებებს, კვლავ და კვლავ გვსურს მათ წინაშე გადავშალოთ სახეთა და სულის სამყარო. თუმცა ეს ოცნებები ნაწილობრივ ბოროტი კოშმარია, ხოლო ეს სახეები ნაწილობრივ საშინელი საოცრებაა. ჩვენ არაფერი არ უნდა შევალამაზოთ, სიმართლეს ზურგი არ უნდა ვაქციოთ. ამგვარ საქმეს ხომ ბულვარული «მწერლები“ ეწევიან ფილისტერული საჭიროებისათვის. **ჩვენ არ ვმალავთ, – კაცობრიობის სული საფრთხეშია და უფსკრულის პირას დგას, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავფაროთ არც ის, რომ გვჯერა ადამიანის უკვდავება.**

გერმანულიდან თარგმნა ნუგზარ კუჭუხიძემ

სერგეი ესენინი

შავი კაცი

ავად ვარ, ჩემო მეგობარო,
და ტკივილი მთელ სხეულს უტევს.
თავად არ ვიცი, საიდან გაჩნდა, რომ არ ყუჩდება.
ხან თითქოს ქარი
უკაცრიელ მინდორში უსტვენს,
ხან, როგორც კორომს სექტემბერი,
ტვინს ალკოჰოლი ისე უჯდება.

ყურებსღა იქნევს ჩემი თავი,
როგორც ჩიტი თავის ფრთებს, ისე.
ორივე ფეხი კისერზე აქვს,
აღარ ძალუძს მეტის ატანა.
შავი კაცი,
შავი, შავი,
შავი კაცი მოდის ჩემთან
და საწოლზე მიჯდება მყისვე,
შავი კაცი მთელი ღამე
ძილს არ მაცდის, თეთრად ვათენებ.

შავი კაცი
თითს აყოლებს საზიზღარ წიგნს და სიტყვებს აბამს
ისე დუდღუნით,
როგორც ბერი მიცვალებულთან.
წიგნს ცხვირწინ მიშლის,
მიკითხავს ვიღაც არამზადის ცხოვრების ამბავს,
სევდას მგვრის, სულში მისახლდება უცნობი შიში.
შავი კაცი,
შავი, შავი!

„მისმინე, – ამბობს ბუტბუტით და
ემატება რიხი ხმაში, –
წიგნში რამდენი კარგი აზრია –
გააყოლა ფურცელს თითები.
– აი, ამ კაცმა

მთელი ცხოვრება გაატარა იმ ქვეყანაში,
რომელიც არის უსაზიზღრესი
დამრბევების და თაღლითების.

იმ ქვეყანაში დეკემბერში
თოვლი არის სუფთა, რაღაც არაღვთიური,
ხოლო ქარბუქი მხიარულად
აბზრიალებს თითქოსდა ჯარას.
იყო ის კაცი დიდოსტატი ავანტიურის,
მაღალი მარკის,
როგორც ჩვენთან იტყვიან ამას.

ის იყო კოხტა,
და ამასთან, იყო პოეტი,
თუმცაღა მცირე,
მაგრამ მტკიცე გააჩნდა ძალა.
ერთ ქალს, რომელიც
უკვე იყო ორმოცზე მეტის,
იხსენიებდა ბილწ გოგონად,
საყვარელ ქალად.

ბედნიერება, – ის ამბობდა, –
მარჯვე ხელი, მარჯვე გონია.
უნიათოებს უბედურად
იცნობენ მუდამ.
არაფერია
ბევრი ტანჯვა და აგონია,
რაც თან მოჰყვება
ყალბ ჟესტებს და ცრუ სიტყვებს, თუნდაც.

ჭექა-ქუხილში, ქარიშხალში,
რომ არ ჩანს შველა,
სევდა რომ გძალავს,
ტვირთზე მძიმე და უარესი,
მოღიმარი და უბრალო რომ ეჩვენო ყველას –
ესაა ქვეყნად ხელოვნება უდიადესი“.

„ნება არა გაქვს, შავო კაცო!
არა გაქვს ნება!
რისთვის მიყვები ამ ყველაფერს,
შეწყვიტე, კმარა!
რა მესაქმება მე სკანდალურ
პოეტთან, ნეტავ.
სხვებს წაუკითხე, მოუყევი,
ოღონდ მე არა“.

მობჯენით მბურღავს შავი კაცის
გამჭოლი მზერა,
გულისრევით რომ შემომყურებს
და პასუხს ითხოვს –
თითქოს სურს მითხრას,
რომ ქურდი ვარ და გაიძვერა,
უსირცხვილოდ რომ გამიძარცვავს
ვიღაცა თითქოს.
. . . . . .

ავად ვარ, ჩემო მეგობარო,
და ტკივილი მთელ სხეულს უტევს.
თავად არ ვიცი, საიდან გაჩნდა, რომ არ ყუჩდება.
ხან თითქოს ქარი
უკაცრიელ მინდორში უსტვენს,
ხან, როგორც კორომს სექტემბერი,
ტვინს ალკოჰოლი ისე უჯდება.

სუსხი აქვს ღამეს.
მდუმარეა გზაჯვარედინი.
არც სტუმარს ველი, არც მეგობარს.
გავიხედები –
მთელი მიდამო დაფარულა
ფხვიერი კირით,
ბაღში ხეები შეგროვილან,
როგორც მხედრები.

ღამის ფრინველი
შესაზარად სადღაცა მოთქვამს.

ფლოქვების თქარუნს გამოსცემენ
მხედრები-ხენი.
ისევ ეს შავი,
ჩემს სავარძელს მახლობლად მოდგამს,
ცილინდრს იხდის და
ქურთუკს ნელა ისწორებს ხელით.

„მისმინე! –
ხრინწით გამოსცემს და სახეში მიმზერს,
ჩემკენ იხრება ნელა-ნელა
სულ უფრო ახლოს. –
მე არ მინახავს არამზადა,
უაზროდ ისე
იტანჯებოდეს უძილობით,
როგორც შენ ახლა.

დავუშვათ, ვცდები!
ამჯერად ხომ მთვარეა ცაზე.
ძილით გათანგულ ცვილიანას
მეტი რა უნდა?
იქნებ, მოვიდეს ჩუმად „იგი“,
თეძოებსავსე,
და წაუკითხავ შენს ლირიკას,
მაგ აბდაუბდას?

აჰ, პოეტები!
სახალისო ხალხია, მიყვარს.
მუდამ ვპოულობ მათში ამბავს,
ჩემთვის ნაცნობს, სხვისთვის რომ არ ჩანს, –
დამუწუკებულ კურსისტ გოგოს
სამყაროზე ჩაუგდებს სიტყვას
გრძელთმიანი მახინჯი ტიპი,
სექსუალური ვნებებით რომ განიცდის ტანჯვას.

არ ვიცი ზუსტად,
გახსენება ცოტათი მიჭირს,
სოფლად,
ან, იქნებ, რიაზანში,

ან, კალუგაში,
უბრალო, გლეხურ ერთ ოჯახში
ცხოვრობდა ბიჭი,
ყვითელთმიანი,
ლურჯთვალება,
დედის ნუგეში...

და აი, იგი გაიზარდა,
გახდა პოეტიც,
თუმცაღა მცირე,
მაგრამ მტკიცე გააჩნდა ძალა,
ვიღაც ქალს, უკვე
ორმოც წელზე რომ იყო მეტის,
იხსენიებდა ბილწ გოგონად,
საყვარელ ქალად“.

„უბილწესი ხარ, შავო კაცო!
სად შემეჩეხე.
შენზე ვრცელდება ხმები განა
დღეს ანდა გუშინ“.
ვცოფდები, მიპყრობს სიშმაგე და
ჩემი ხელჯოხი
მიფრინავს მისი სიფათისკენ,
პირდაპირ შუბლში...
. . . . . .

...ცისფრად ინათა ფანჯარაში,
მინავლდა მთვარე.
ოჰ, ღამევ!
ეს რა ჩაიდინე? ვერაფრით ვარკვევ.
ვდგავარ ცილინდრში.
ჩემ მახლობლად არავინ არის.
მარტოდმარტო ვარ...
და გატეხილს შევყურებ სარკეს.

რუსულიდან თარგმნა ვასილ გულეურმა

ანდრეი სენ-სენკოვი

დაიბადა 1968 წელს. განათლებით ექიმია. გამოცემული აქვს 12 პოეტური და პროზაული კრებული. მონაწილეა ვიზუალური პოეზიისა და ექსპერიმენტული მუსიკის პერფორმანსებისა. ორჯერ აიღო პრემია “Московский счет”, არის ნომინანტი „ტურგენევის ფესტივალისა“ მცირე პროზაში 2006 და 2008 წლებში. 2012 წელს შევიდა ანდრეი ბელის პრემიის შორტ-ლისტში. მისი წიგნის Anatomical Theater ინგლისური თარგმანი დასახელდა the Northern California Book Award 2015 შორტ-ლისტში. ამავე წელს აიღო the PEN Center USA ჯილდო თარგმანში. მისი ტექსტები თარგმნილია 21 ენაზე. ცხოვრობს მოსკოვში.

ციკლიდან „როტკოს საშინელი საკონდიტრო“

RED AND ORANGE, 1955

ლამაზი ქალი ისე ჩუმად კითხულობს
თავის ულამაზო ლექსებს,
როგორც ხვალინდელი ამინდი
შეეხება თბილი პიანინოს შეკიდულ შალის კლავიშებს.

No.20, 1957

თვალში
რაღაც ჩამივარდა.
მტვრის გრძელფეხა ნამცეცმა
ღრმად ჩაყვინთა,
ლორწოვან ბალტიკაში,
შორს, ოჯახებით დამსვენებელი ცრემლებისაგან.

No. 301, 1959

ანტონინა ორი თვისაა.
მის ირგვლივ ჟღარუნა სათამაშოებია, რომელთა შიგნეული
არასოდეს შეივსება რომელიღაც სულელური ავადმყოფობით.
ისე, როგორც არასოდეს დაბერდებიან ТЮЗ-ის მსახიობი
ქალები,
რომლებიც მთელი ცხოვრება გოგონებს თამაშობენ

No.61 (RUST AND BLUE), 1953

ყოველ სტომატოლოგიურ კაბინეტში
ცხოვრობს არსება,
რომლის კბილები მოგვაგონებს წიგნის ძვირფას სასაჩუქრე
გამოცემას,
რომლის შიგნით თეთრი ასოები

ტკივილამდე გვსერავენ
ძახილის ნიშნების გრძელი კბილის ძაფებით.

RED, WHITE, AND BROWN, 1957

ელემენტი არ ჯდება.
იგი თითქოს ჩამოჯდება.
ჩამოჯდება, ვითომ სჭირდება
უზადოდ შეიკრას ფეხსაცმლის ზონრები,
სანამ წამოდგება სათადარიგო პლუს-მინუსების სკამიდან.

ORANGE, RED, ORANGE, 1961

ფორთოხალი – თაგვის ხაფანგი მოყვითალო ყველის ნაჭრებით
და ხეშეში ზამბარის დაჭიმული კანით
ფორთოხალი – ზარდახშა ხეების ნევროპათოლოგის
მწარე ჩაქუჩისა ავადმყოფი ძვლებისთვის

No. 5 (No.22), 1950

პროჟექტორის შუქი
ფარავს
საკონცენტრაციო ბანაკის
ტერიტორიას,
როგორც ბამბა,
რომელსაც მოსწავლე გოგონები
ლიფებში იდებენ.
ოსვენციმის მერვეკლასელის არაბუნებრივად გადიდებული მკერდი
გარშემორტყმულია ხშირად მოხამხამე
ეკლიანი შავი მავთულხლართებით.

No.16, 1961

ინგლისურ ფეხბურთში გუნდებს, რომლებიც შავ-თეთრ ფორმაში გამოდიან,
უწოდებენ „კაჭკაჭებს“.
კაჭკაჭი ერთადერთი ჩიტია, რომელიც თავის თავს სცნობს სარკეში.
პატარა ჭკვიანი ბურთი ფიქრობს, რომ გარშემორტყმულია საკუთარი
ანარეკლებით. და იცის, რომ იზრდება დედა-ნახევარმცველისაგან შორს გასაფრენად.

No. 37. (No.19) (SLATE BLUE AND BROWN ON PLUM), 1958

ლუნა-პარკში არის ასეთი ატრაკციონი,
სადაც ურეთი ისე ძლიერად უნდა დაარტყა,
რომ ზარმა დარეკოს.
კარგ დარტყმაზე აძლევენ პრიზებს – პლუშის რბილ სათამაშოებს,
საჭმლისფერ გრძელწამწამებიან უცნაურ არსებებს,
რომლებიც ხელით უნდა ჭამო.

COPOSITION, 1958

დილით, რუსული კლასიკური ლიტერატურის სისხლით
შეიღება თეთრი ზოლი ოდნავ დადებითი გმირის,
რომელიც ისეთივე უსასრულოა, როგორც თოვა,
როცა მას უთვალთვალებენ.

BLUE, ORANGE, RED, 1961

ხანდახან მესიზმრება სახელები –
თან ჩვეული, თან უჩვეულო.
სახელები სქელშუშიან სათვალეში.

შუშა ისეთივე სქელია, როგორც ბიჭები, რომელთაც ჩემს ბავშვობაში
ყოველთვის მეკარეებად აყენებდნენ.

BLACK IN DEEP RED, 1957

ღმერთი, რომელიც ფურცლავს ახალ აღთქმას,
თავს აღიქვამს
გრძელკუდიან კატად
მოქანავე სავარძლებით სავსე ოთახში.
სავარძლების დაწნული მრავალღმერთიანობის
დაკეცილი ფურცლები
ფხაჭნიან ცხოველის დახურულ ყდას.

No.1 (ROYAL RED AND BLUE), 1954

ახალგაზრდა ქალი
გამოვიდა
მხცოვანი ქალისაგან
როგორც ნემსი ცვილის ფიგურიდან,
მისი სირცხვილის მტკივანი ძაფები
ყვირილით იხევიან ტუჩებზე.

UNTITLED (RED AND ORANGE ON SALMON), 1969

პრაღის ნერუდოვოს ქუჩის სახლებიდან
აგურების ნაცვლად ზოგჯერ
რაღაც სხვა რამ არის გამოშვერილი
ჩანს ეს სწორედ ის ყურებია
რომლებიც აქვთ კედლებს
მაგრამ ჩვენ მათ განსაკუთრებით არ ვაინტერესებთ
ისინი გვისმენენ გაფანტულად უყურადღებოდ
უბრალოდ ელიან
საბოლოოდ როდის წავალთ

და ქარი ჩვენი სიგარეტის ბოლის რგოლებით
მათ ყურის ბიბილოებს გაუხვრეტს

No.8, 1952

კალაშნიკოვი მეჩვიდმეტე ბავშვი იყო ოჯახში
შესაძლოა ყოველ მეჩვიდმეტე ბავშვს
რომელსაც არ მობეზრდა რიგში თავისი დაბადების ლოდინი
შეძლებოდა რამე შეეცვალა ამ სამყაროში
მეჩვიდმეტე ბავშვებს აჩენენ
ისეთივე მოკლე ნაბიჯებით
როგორც მრავალსართულიანი სახლების
ვიწრო კიბეებიდან გარეთ გამოყავთ მკვდრები
არა კუბოებში პლედებში

VIOLET, BLACK, ORANGE, YELLOW ON WHITE AND RED, 1949

ცრემლები ეცემიან იატაკზე
როგორც პატარა ფინიები,
რომლებმაც წარუმატებლად გადაირბინეს ქუჩა.
ჩვენ, ვისაც გაგვიტყდა მლაშე ხერხემალი,
მთელი ცხოვრება მივხოხავთ
თვალების კიდეებისკენ,
სადაც გადაგვივლიან
სატვირთო წამწამების მძღოლები.

რუსულიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ

მხატვარი მარკ როტკო

6. არტი

ტატიანა ტოლსტაია

კვადრატი

1913, 1914 თუ 1915 წელს, ზუსტად რომელ დღეს, უცნობია, პოლონური წარმოშობის რუსმა მხატვარმა კაზიმირ მალევიჩმა მომცრო ზომის ტილო დაჭიმა – მისი სიგანეც და სიგრძეც 79,5 სანტიმეტრია – ნაპირები თეთრად შეუღება, შუაში კი სქლად წაუსვა შავი საღებავი. ამ მარტივი ოპერაციის შესრულებას ნებისმიერი ბავშვი შეძლებდა, – თუმცა ბავშვს მოთმინება არ ეყოფოდა, ამხელა ფართობი ერთი და იგივე ფერით შეეღება. ასეთი სამუშაო არცერთ მხაზველს არ გაუჭირდებოდა, – მალევიჩი კი ახალგაზრდობაში მხაზველი იყო, – თუმცა მხაზველებს ასეთი მარტივი გეომეტრიული ფორმები ნაკლებად აინტერესებთ. მსგავსი სურათი შეიძლება ვინმე სულით ავადმყოფს დაეხატა, – მაგრამ არ დაუხატავს და ეს რომც მომხდარიყო, არა მგონია, სურათს საჭირო დროს საჭირო ადგილას, ანუ გამოფენაზე მოხვედრის სულ მცირე შანსი მაინც ჰქონოდა.

ამ უმარტივესი მოქმედების შესრულებით მალევიჩი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, ყველაზე იდუმალი, ყველაზე შემზარავი სურათის – «შავი კვადრატის» – ავტორი გახდა. ფუნჯის ამ ერთფეროვანი მოსმით მან ერთხელ და სამუდამოდ გაავლო გადაულახავი ზღვარი ძველსა და ახალ ხელოვნებას შორის, მონიშნა უფსკრული, რომელიც ჰყოფს ადამიანს მისი ლანდისგან, ვარდს კუბოსაგან, სიცოცხლეს სიკვდილისაგან, ღმერთს ეშმაკისაგან. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, «ყველაფერი ნულამდე დაიყვანა». ნული რატომღაც კვადრატული გამოდგა და ეს მარტივი აღმოჩენა ერთ-ერთი უშემზარავესი მოვლენა გახლავთ ხელოვნებაში მისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე.

მალევიჩი თვითონაც ჩასწვდა იმას, რაც ჩაიდინა. ამ ნიშანდობლივ მოვლენამდე ერთი წლით თუ წლინახევრით



ადრე მან თავის მეგობრებსა და თანამოაზრეებთან ერთად რუსეთის ფუტურისტთა პირველ ყრილობაში მიიღო მონაწილეობა – ეს ხდებოდა აგარაკზე, ჩრდილოეთის წარმტაცი ბუნების ფონზე. იქ გადაუწყვეტია თ ოპერა «მზის დამარცხების » დაწერა და იქვე, აგარაკზე, შეუდგნენ ჩანაფიქრის განხორციელებას. მალევიჩი სცენას აფორმებდა. შავ-თეთრ ფერებში შესრულებული ერთ-ერთი დეკორაცია რაღაცით ჩამოჰგავდა მომავალ, ჯერ არდაბადებულ კვადრატს და ოპერის რომელიღაც მოქმედების უკანა ფლანგს წარმოადგენდა. ის, რაც მაშინ მისმა ფუნჯმა თავისთავად, დაუფიქრებლად, მხოლოდ შთაგონების ძალით ამოტყორცნა, მოგვიანებით, პეტერბურგის სახელოსნოში უკანასკნელ, უმაღლეს თეორიულ მიღწევად იქნა გააზრებული, – იმ

კრიტიკული, იდუმალი, ასე დაჟინებით ნაძიები წერტილის აღმოჩენად, რომლის შემდეგაც, რომელთან კავშირშიც, რომლის მიღმაც უკვე აღარაფერია და შეუძლებელიცაა იყოს რაიმე. ბნელში ხელის ფათურით, ხელოვანის გენიალური ინტუიციით, შემოქმედი ღვთის წინასწარმეტყველური ჭვრეტით მან აკრძალული ფერის აკრძალულ ფიგურას მიაგნო – იმდენად მარტივს, რომ ათასობით მხატვარმა გვერდზე ჩაუარა, გადააბიჯა, უგულვებელჰყო, ვერ შენიშნა... თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მანამდე ცოტა ვინმემ თუ გაბედა «მზის დამარცხება» და წყვდიადის ხელმწიფესთან პაექრობაში შესვლა. მალევიჩმა ეს გაბედა და, როგორც ჯერ არს იმ მუდამ მართალ ამბებში, სიბრძნეს დახარბებული ფაუსტის ეშმაკთან შეთანხმებაზე რომ მოგვითხრობს, ამ სოფლის მთავარმაც არ დააყოვნა: წამსვე ხალისით გამოეცხადა ხელოვანს და არარას მარტივი ფორმულა უკარნახა.

იმავე 1915 წლის დასასრულს – მსოფლიო ომი უკვე გაჩაღებული იყო – საბედისწერო სურათი სხვა ნამუშევართა გვერდით წარსდგა საზოგადოების წინაშე ფუტურისტულ გამოფენაზე. თავისი სხვა ტილოები მალევიჩმა კედლებზე ჩვეულებრივად განათავსა, «კვადრატს» კი საგანგებო ადგილი მიუჩინა. შემორჩენილ ფოტოსურათზე ჩანს, რომ «შავი კვადრატი» ჰკიდია კუთხეში ჭერთან, იმნაირად და იმავე ადგილას, სადაც ხატების ჩამოკიდებაა მიღებული. არა მგონია, მას, ფერთა ოსტატს, ის ამბავი გამოჰპარვოდა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს, საკრალურ კუთხეს ჩვენში «წითელ კუთხეს» უწოდებენ. სხვა ამბავია, რომ სიტყვას «წითელი» – «красный» – რუსულ ენაში მეორე მნიშვნელობაც აქვს, რომელიც ფერს კი არა, «სილამაზეს» გამოხატავს. მალევიჩმა შეგნებულად ჩამოკიდა საკრალურ ალაგას ეს შავი ხვრელი: თავის ნამუშევარს მან «ჩვენი დროის ხატი» უწოდა. ნაცვლად «წითლისა» – შავი (ნულოვანი ფერი), ნაცვლად სახისა – სიცარიელე (ნულოვანი ფორმა), ნაცვლად ხატისა, რომელიც ზევით, ზეცისკენ, მარადიული სიცოცხლისაკენ გახსნილი სარკმელია, – უკუნეთი, სარდაფი, ქვესკნელში განხმული ლუკი, მარადი წყვდიადი.

მალევიჩის თანამედროვე ალექსანდრე ბენუა, რომელიც თვითონაც შესანიშნავი მხატვარი და ხელოვნების კრიტიკოსი გახლდათ, სურათის შესახებ წერდა: «თეთრ მოჭედილობაში ჩასმული შავი კვადრატი უბრალო ხუმრობა თუ გამოწვევა როდია. ნუ გეგონებათ, ეს პეტერბურგში, მარსის მინდორზე ერთ-ერთ სახლში მომხდარი სულ უმნიშვნელო ეპიზოდი იყოს, – ეს იმ საწყისის თვითდამკვიდრების ერთ-ერთი აქტია, რომელსაც სახელად ჰქვია სიბილწე გაპარტახებისა და რომელსაც თავი იმით მოაქვს, ქედმაღლობისა და ამპარტავნების წყალობით ყოველივე ნატიფსა და სიყვარულით ნაშენებს დავაქცევ და ყველას დასაღუპად გავწირავო».

მრავალი წლით ადრე, 1869 წლის სექტემბერში ლევ ტოლსტოიმ ერთი ყოვლად უცნაური რამ განიცადა, რამაც უძლიერესი გავლენა მოახდინა მის შემდგომ ცხოვრებაზე და, როგორც ჩვენთვის აშკარა ხდება, მისი მსოფლაღქმის გარდამტეხ მომენტადაც კი იქცა. სახლიდან ხალისიან გუნებაზე გაემგზავრა მნიშვნელოვანი და სარფიანი შენაძენის გასაკეთებლად: ახალი მამულის ყიდვას აპირებდა. ცხენებს მიაჭენებდნენ, მხიარულად საუბრობდნენ. ჩამოღამდა. «ჩამთვლიმა, მაგრამ უეცრად გამომეღვიძა: რაღაცამ შემაშინა. [...] ერთბაშად მომეჩვენა, რომ ამსიშორეზე სულ ტყუილად გავემგზავრე, რომ ამ უცხო მხარეში სიკვდილი მელოდა. შემზარა.» მგზავრებმა ღამის გათევა პატარა ქალაქ არზამასში გადაწყვიტეს. «მივადექით კიდეც რაღაც მომცრო ბოძიან სახლს. სახლი თეთრი იყო, მაგრამ რაღაცნაირად ნაღვლიანი, იმდენად, რომ უამური განცდა დამეუფლა. [...] ვიწრო დერეფანი; ნამძინარევმა კაცმა ლოყაზე ლაქით, – ეს ლაქა ამაზრზენად მომეჩვენა, – ოთახი გვიჩვენა. პირქუში ოთახი იყო. შევედი თუ არა, უფრო მეტად შემზარა.

[...] თეთრად მოკირული კვადრატული ოთახი. მახსოვს, მაინცდამაინც კვადრატული ფორმისა რომ იყო, სწორედ ეს მტანჯავდა. ერთი ფანჯარა ჰქონდა, წითელი ფარდით... [...]



ბალიში ავიღე და ტახტზე მივწექი. როდესაც გამომეღვიძა, ოთახში არავინ იყო და ბნელოდა. [...] ვგრძნობდი, ვეღარაფრით დავიძინებდი. აქ რამ ჩამომიყვანა? ჩემს თავს საით მივაქანებ? სად და რას გავურბივარ? რაღაც შემზარავს გავურბივარ და თავი ვერაფრით დამიღწევია. [...] დერეფანში გავედი, მეგონა, რაც მტანჯავდა, იმას გავერიდებოდი. მაგრამ ის უკან გამომყვა და ყოველივე მწუხრში გაახვია. შიში ისევე მიპყრობდა, უფრო მეტადაც.

- რა სისულელეა, ბოლოს და ბოლოს, – ვუთხარი საკუთარ თავს, – რას ვდარდობ, რა მაშინებს?

- მე, – ოდნავგასაგონად მიპასუხა სიკვდილის ხმამ, – მე აქ ვარ.

[...] ისევ დაწოლა ვცადე, მაგრამ შიშმა წამსვე წამომაფრინა. სევდა მომეძალა, უსაშველო სევდა, – ისეთი წუხილი, გულისრევას რომ უძღვის წინ, ოღონდაც სულიერი წუხილი. შიში და მიუსაფრობა. თითქოს სიკვდილი მაშინებდა, მაგრამ სიცოცხლე მომაგონდა და ამ ხრწნადმა სიცოცხლემ კიდევ უფრო შემაშინა. სიკვდილ-სიცოცხლე როგორღაც ერთიმეორეს შეერწყა. რაღაც მიხლეჩდა სულს და ვერა და ვერ გაეხლიჩა. ერთხელაც გავედი, მძინარე თანამგზავრებს დავხედე, ერთხელაც ვცადე დაწოლა; იგივე შიში – წითელი, თეთრი, კვადრატული. რაღაც იხლიჩება და ვერ გახლეჩილა. ვიტანჯებოდი მშრალი და ბოროტი ტანჯვით, სიკეთის მისხალსაც კი ვერ ვპოულობდი საკუთარ თავში – მხოლოდ გაბმულ, მშვიდ სიძულვილს ვგრძნობდი ჩემი თავისა და ჩემი დამბადებლისადმი.”

მწერლის ცხოვრებაში ამ ცნობილ უიდუმალეს მოვლენას – რომელიც ოდენ მძლავრი დეპრესიის უეცარი შეტევა არ ყოფილა, არამედ სიკვდილთან ერთგვარი წინასწარი, გაუთვალისწინებელი შეხვედრა, – შემდგომში «არზამასის შიში» ეწოდა. წითელი, თეთრი, კვადრატული. ეს მალევიჩის რომელიმე სურათის აღწერას ჰგავს.

ლევ ტოლსტოი, რომელიც თეთრ-წითელ კვადრატს გადაეყარა, მომხდარს ვერც წინასწარ განჭვრეტდა, ვერც გააკონტროლებდა. ეს მოვლენა წინ გადაუდგა, თავს დააცხრა და მისი გავლენით მწერალმა – ერთბაშად არა, მაგრამ მტკიცედ და გარდუვალად – ხაზი გადაუსვა თავის უწინდელ ცხოვრებას, უარყო ოჯახიც, სიყვარულიც, ახლობლებთან ურთიერთგაგებაც, სამყაროს საფუძვლებიც, ხელოვნებაც. ისეთი «ჭეშმარიტება» გამოეცხადა, სიცარიელესთან, არარასთან, თვითგანადგურებასთან რომ მიიყვანა. «სულიერ ძიებაში» ჩაფლულმა, სიცოცხლის ბოლოს ვერაფერი აღმოაჩინა, ერთი მუჭა ბანალური აფორიზმების გარდა, ადრეული ქრისტიანობის ერთგვარ ვარიანტს რომ წარმოადგენს, – სხვა არაფერი. მისი მიმდევრებიც ამ ქვეყანას გაშორდნენ, მაგრამ ვერც მათ მიაგნეს რაიმეს. არყის ნაცვლად ჩაის სვამდნენ, ხორცზე უარს ამბობდნენ, საკუთარი ხელით

იკერავდნენ ჩექმას, თანაც ცუდად, აცა-ბაცად, – აი, არსებითად, სულ ეს იყო კვადრატგამოვლილი პიროვნების სულიერი ძიების შედეგი. «მე აქ ვარ,» – ოდნავგასაგონად ჩასჩურჩულა სიკვდილის ხმამ და ცხოვრების ბორბალი უკუღმა დატრიალდა. ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ჯერ წინ იყო ანა კარენინა (რომელიც ავტორმა ასე უმოწყალოდ იმიტომ მოკლა, რომ სიცოცხლე სწყუროდა), წინ ჰქონდა კიდევ რამდენიმე ლიტერატურული შედევრი, მაგრამ კვადრატმა საბოლოოდ იმარჯვა, მწერალმა საკუთარი თავიდან ხელოვნების ცხოველმყოფელი ძალა განდევნა, გადავიდა პრიმიტიულ იგავებზე, იაფფასიან შეგონებებზე, ფიზიკურ სიკვდილამდე სულიერად ჩაიფერფლა და თავისი გვიანდელი ქმნილებების მხატვრული სიმძლავრის ნაცვლად მსოფლიო წრფელი ტანჯვის უსაზღვროებით გააოცა, მარტოკაცის ამბოხითა და საჯარო თვითგვემის მანამდე არნახული მასშტაბით შეძრა.

არც მალევიჩი მოელოდა კვადრატს, თუმცა კი დაეძებდა მას. იმ პერიოდში, რომელიც «სუპრემატიზმის» (მალევიჩის ტერმინი) გამოგონებას უძღოდა წინ, მხატვარი აღიარებდა «ალოგიზმის» მოძღვრებას, საღად აზროვნების ზღვარის გადალახვის ერთგვარ მცდელობას, ებრძოდა «ლოგიზმს, ბუნებრიობას, მეშჩანურ აზროვნებასა და ცრურწმენას.» მისი ძახილი შესმენილ იქნა: კვადრატი გამოეცხადა და მთლიანად შეისრუტა მალევიჩი. ხელოვანს სავსებით შეეძლო, იმ დიდებით ეამაყა, რაც ეშმაკთან გარიგებამ მოუტანა; ამაყობდა კიდეც. არ ვიცი, თვითონ თუ შენიშნა ის ორაზროვანი მდგომარეობა, რაშიც ამ დიდებამ ჩააყენა. «მხატვრის ყველაზე ცნობილი სურათი» – ეს იმას ნიშნავს, რომ მის სხვა, ნაკლებად ცნობილ ნაშრომებს ფასეულობაც ნაკლები აქვს, ნაკლებად მიმზიდველია, ერთი სიტყვით – უარესია. და მართლაც: კვადრატის გვერდით მისი ყველა ნამუშევარი უცნაურად ხუნდება. მალევიჩმა შექმნა ტილოების სერია, სადაც გეომეტრიული ფორმის ხასხასა გლეხები ჰყავს გამოსახული, მათ სახის ნაცვლად ცარიელი ოვალები აქვთ, უჩანასახო გამჭვირვალე კვერცხებს რომ მოგვაგონებს. ეს ფერსავსე,

ძალზე დეკორატიული ტილოებია, მაგრამ მე მათ ცისარტყელას ფერთა უსუსურ, გზააბნეულ ფუთფუთს შევადარებდი, რომლებსაც უკანასკნელად უწერიათ აცახცახება, ვიდრე, ჭრელ ძაბრში ჩახვეულნი, კვადრატის უძირო წიაღში არ ჩაინთქმებიან. მას აქვს პეიზაჟებიც – მოვარდისფრო, იმპრესიონისტული, ძალზე ჩვეულებრივი – ასეთები ბევრს დაუხატავს და ბევრად უკეთაც. სიცოცხლის დასასრულს შეეცადა ფიგურატიულ ხელოვნებასთან დაბრუნებას და ეს ბოლოდროინდელი ნამუშევრები სწორედ ისეთი შემზარავია, როგორც ამას შეიძლება მოველოდეთ: ცოცხალი ადამიანები კი არა, ბალზამირებული გვამები ფართო სამოსის ჩარჩოებიდან დაძაბული მზერით იცქირებიან, – მათი სამოსი იმ «გლეხური» სერიის ფერად ნაკუწებს მოგვაგნებს. რა თქმა უნდა, მწვერვალის დაძლევის შემდეგ ერთადერთი გზა მხოლოდ დაღმა მიექანება. მაგრამ მთელი შემზარაობა იმაშია, რომ მწვერვალზე არაფერია. სულ არაფერი.

ხელოვნებათმცოდნენი აღტაცებით წერენ მალევიჩის შესახებ: «შავმა კვარატმა» საკუთარ თავში დაიტია მანამდე არსებული ყველა ფერწერული წარმოდგენა, ის გზას უღობავს ნატურალისტურ იმიტაციას, ის აბსოლუტური ფორმაა და ისეთ ხელოვნებას გვიწინასწარმეტყველებს, რომლის ფარგლებშიც თავისუფალი ფორმები – ერთურთთან დაკავშირებული თუ დაუკავშირებელი – სურათის მთავარ საზრისს შეადგენს.»

ასეა, კვადრატი «გზას უღობავს» ბევრ რამეს, მათ შორის, თვით მხატვარსაც. ის «აბსოლუტური ფორმაა», – ესეც სიმართლეა, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მის გვერდით სხვა ფორმები საჭიროებას კარგავს, რადგან, ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, არცერთი აღარ არის აბსოლუტური. ის «ხელოვნებას გვიწინასწარმეტყველებს,» – აი, ეს კი ტყუილი გამოდგა. კვადრატი გვიწინასწარმეტყველებს ხელოვნების დასასრულს, მის შეუძლებლობას, მის უსარგებლობას, კვადრატი ის ქურაა, სადაც ხელოვნება იწვის, ის დაფჩენილი ხახაა ურჩხულისა, ხელოვნებას რომ ნთქავს, რადგან, ბენუას ზემოთ უკვე ციტირებული სიტყვებით, კვადრატი «იმ საწყისის თვითდამკვიდრების ერთ-ერთი აქტია, რომელსაც სახელად

ჰქვია სიბილწე გაპარტახებისა და რომელსაც თავი იმით მოაქვს, ქედმაღლობისა და ამპარტავნების წყალობით ყოველივე ნატიფსა და სიყვარულით ნაშენებს დავაქცევ და ყველას დასაღუპად გავწირავო».

«კვადრატამდელი» ეპოქის მხატვარი ხელოვნებას მთელი სიცოცხლის მანძილზე ეუფლება, ებრძვის მკვდარ, უძრავ, ქაოტურ მატერიას და ცდილობს, მას სიცოცხლე ჩაჰბეროს; ის ერთგვარად ცეცხლს აღვივებს, მუხლს იყრის და ლოცულობს, ცდილობს, ქვაში ნათელი დააკვესოს, თითისწვერებზე დგება, კისერს იგრძელებს და იქ ახედვას ლამობს, სადაც ადამიანის მზერა ვერ წვდება. ზოგჯერ მისი გარჯა და მუდარა, მისი ამაგი მართლაც ფასდება; წამით თუ ხანგრძლივად, «ეს» მაინც ხდება, «ის» მოდის. ღმერთი (ანგელოზი, სული, მუზა, ზოგჯერ კი დემონიც) დათმობაზე მიდის, თანხმდება, ხელიდან უშვებს იმ საგნებს, იმ მქროლავ გრძნობებს, ზეციური ცეცხლის იმ ნაკუწებს – მათ სახელს ვერ გამოვუნახავთ – რაც კი თავისთვის შემოუნახავს, თავისი საოცარი სახლისთვის უნდა, ჩვენთვის მიუწვდომლად რომ რჩება. თხოვნა-მუდარით მოპოვებული ღვთაებრივი საჩუქარი ხელოვანს უმძაფრესი მადლიერებით, დაუკნინებელი თვინიერებით, გამართლებული სიამაყით აღავსებს, ესაა წამი განსაკუთრებული, სპეტაკი და კრიალა ცრემლისა – ზოგჯერ ხილულის, ზოგჯერ კი უხილავისაც, – ესაა ჟამი კათარზისის. «ის» მოზღვავებულა, «ის» ტალღასავით იწევს. ხელოვანი ცრუმორწმუნე ხდება. მას ამ შეხვედრის განმეორება სწყურია, თუმც იცის, რომ მეორედ შეიძლება ვეღარც ეღირსოს ღვთაებრივ აუდიენციას, ის სულიერ თვალს განახმობს და უშინაგანესი განცდით უწყის, თუ რამ (სიხარბემ, ანგარებამ, თავმომწონებამ, ამპარტავნებამ) შეიძლება ჩაურაზოს სამოთხის კარი, ცდილობს, ისეთნაირად შეატრიალოს თავისი გრძნობა-განწყობა, რომ ანგელოზ-მეგზურთ არ შესცოდოს, იცის ისიც, რომ თვითონ, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ თანაავტორია, ოდენ შეგირდი, თუმცა – გამორჩეულად საყვარელი შეგირდი, გვირგვინოსანი თანაავტორი! ხელოვანმა იცის, რომ სული, სადაც და როგორც სურს, იქ და ისე ქრის , იცის, რომ თვითონ, მიწიერ ცხოვრებაში

არაფრით დაუმსახურია თავისი რჩეულობა და, თუკი ეს მოხდა, ღვთაებას სასაწაულისათვის სიხარულით უნდა შესწიროს მადლი.

«კვადრატისშემდგომი» ეპოქის ხელოვანს, მას, ვინც კვადრატს დაუჩოქა, ვინც შავ ხვრელში ჩაიხედა და თავზარდაცემულმა არ იბრუნა პირი, მუზებისა და ანგელოზების აღარ სწამს; მას საკუთარი, ლითონის მოკლეფრთებიანი შავი ანგელოზები ჰყავს, გაქნილი და თავდაჯერებული ვაჟბატონები, მიწიერი დიდების ფასიც რომ კარგად იციან და მისი ყველაზე მსუყე, მრავალშრიანი ლუკმების მოხელთებაშიც ბადალი არ ჰყავთ. ხელობა საჭირო აღარ არის, თავი იკმარებს; აღარც შთაგონებაა საჭირო, – მხოლოდ გათვლა. ადამიანებს სიახლე იზიდავს, ესე იგი, ახალი რამ უნდა მოიფიქროს; ადამიანები სიამოვნებით გამოხატავენ აღშფოთებას, მაშასადამე, უნდა აღაშფოთოს; ადამიანებს გულგრილობა სჭირთ – უნდა შეანჯღრიოს, გამოიწვიოს. ეპატაჟს მიმართოს: წინ დაუდოს მყრალი, შეურაცხმყოფელი, ამაზრზენი. ადამიანს ზურგში კეტი რომ ჩასცხო, შემოტრიალდება; აი, სწორედ ამ დროს სახეში უნდა შეაფურთხო, შემდეგ კი უსათუოდ ფული მოსთხოვო, თუ არა და ეს ხელოვნება აღარ იქნება; ხოლო თუკი ადამიანი აღშფოთებით აყვირდება, იდიოტად უნდა გამოაცხადო და განუმარტო, რომ ხელოვნების არსი იმის საქვეყნოდ თქმაშია, რომ ხელოვნება მოკვდა, ჩემთან ერთად გაიმეორეთ: მოკვდა, მოკვდა, მოკვდა. ღმერთი მოკვდა, ღმერთი არასოდეს დაბადებულა, ღმერთი უნდა გავსრისოთ, ღმერთს სძულხართ, ღმერთი ბრმა იდიოტია, ღმერთი ვაჭრუკანაა, ღმერთი ეშმაკია. ხელოვნება მოკვდა, თქვენც მოკვდით, ჰა-ჰა, ფული გადაიხადეთ, აი, მის სანაცვლოდ ნეხვის ნაჭერი, ეს – ნამდვილია, ეს – მუქი, მკვრივი, აქაურია, მაგრად გეკავოთ. არ არსებობს და არც ოდესმე ყოფილა არავითარი «სინატიფე და სიყვარული», არც ნათელი, არც ფრენა, არც ღრუბლებში ლაჟვარდის გაკრთომა, არც ბნელში შემოჭრილი სხივი, არც სიზმრები, არც აღთქმანი. სიცოცხლე სიკვდილია, სიკვდილი აქაა, სიკვდილი თავიდანვეა.

«სიკვდილ-სიცოცხლე რაღაცნაირად ერთურთს შეერწყა», – დაწერა თავზარდაცემულმა ლევ ტოლსტოიმ და იმ წუთიდან ბოლომდე, როგორც შეეძლო, როგორც ესმოდა, როგორც გამოსდიოდა – ისე იბრძოლა. ეს ბიბლიური მასშტაბის ტიტანური ორთაბრძოლა გახლდათ. «მარტო დარჩა იაკობი და ერკინებოდა მას ვიღაც გათენებამდე...» შემზარავი სანახავია გენიოსის ეშმაკთან შერკინება: ხან ერთი იმარჯვებს, ხან მეორე... «ივანე ილიჩის სიკვდილი» სწორედ ამ ბრძოლის ასპარეზია და გვიძნელდება კიდეც იმის თქმა, თუ ვინ გაიმარჯვა. ამ მოთხრობით ტოლსტოი ამბობს – იმეორებს, ამტკიცებს, ტვინში გვიბეჭდავს, – რომ სიცოცხლე სიკვდილია. მაგრამ მოთხრობის დასასრულს მომაკვდავი გმირი სიკვდილში ისე იბადება, როგორც ახალ სიცოცხლეში, თავისუფლდება, პირს იბრუნებს, ფერიცვალებას განიცდის, გვტოვებს და სადღაც მიდის, სადაც მას, ჩვენი ვარაუდით, ნუგეში ელის. «ახალი ხელოვნება» დასცინის თავისთავად ნუგეშის იდეას, მასხრად იგდებს გასხივოსნების, ამაღლების შესაძლებლობას, – მასხრად იგდებს და ამით ამაყობს, დავლურს უვლის და ზეიმობს.

ღმერთზე საუბარი ან იმდენად რთული და უსასრულოა, რომ მისი წამოწყებაც კი გვაშინებს, ან, პირიქით, ძალზე მარტივია: თუ გსურს, რომ ღმერთი არსებობდეს, ის არსებობს. თუ არ გსურს, არ არსებობს. ის ყველაფერია, ჩვენივე ჩათვლით, ჩვენთვის კი ღმერთი, უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ ჩვენ ვართ. ღმერთი საკუთარ არსებობას თავს არ გვახვევს, – ეგ – სხვა ადამიანები ცდილობენ, თავს მოგვახვიონ ღვთის გამრუდებული ხატი, – ღმერთი უბრალოდ უხმაურო წყალივით დგას ჩვენ შიგნით. როცა მას დავეძებთ, საკუთარ თავს დავეძებთ, მისი უარყოფით საკუთარ თავს უარვყოფთ, მას რომ მასხრად ვიგდებთ, ჩვენსავე თავს ვიგდებთ მასხრად, – არჩევანი ჩვენზეა. დეჰუმანიზაცია და დესაკრალიზცია ერთი და იგივეა.

«დესაკრალიზაცია» – XX საუკუნის ლოზუნგი, უვიცთა, უღიმღამოთა, უნიჭოთა ლოზუნგი. ამ ინდულგენციას ეს უმაქნისები ურიგებენ თავისნაირებს, რათა სხვები იმაში

დაარწმუნონ, ყველაფერი ასეც უნდა იყოსო, – უაზრო და მდაბიო (ვითომდა დემოკრატიული, ვითომ ყველასათვის ხელმისაწვდომი), რომ თითოეულ პიროვნებას უფლება აქვს, განსაჯოს თითოეული სხვა პიროვნება, რომ ავტორიტეტების არსებობა პრინციპულად შეუძლებელია, რომ ფასეულობათა იერარქია უხერხულობას ქმნის (ყველა ხომ თანასწორია), რომ ხელოვნების ფასეულობას მხოლოდ მოთხოვნა და ფული განსაზღვრავს. «სიახლენი» და მოდური სკანდალები საოცრად არახალი და არასკანდალურია: კვადრატის თაყვანისმცემელნი გაუთავებლად ერთსა და იმავეს სჩადიან: ხელოვნების მიღწევებად გვისაღებენ სხეულის სხვადასხვაგვარ გამონაყოფს და მათგან შექმნილ ნიმუშებს; გეგონებათ, ადამი და ევა – ერთს ამნეზია სჭირს, მეორე ალცჰაიმერის სენითაა დაავადებული, – კვლავაც და კვლავაც უმტკიცებენ ერთმანეთსა და თავიანთ შვილებს, მიწის მტვერი ვართ და სხვა არარა, მხოლოდ მტვერიო.

* * *

ვითვლები «თანამედროვე ხელოვნების ექსპერტად» ამერიკული ფულით დაფუძნებულ ერთ-ერთ რუსულ ფონდში. ჩვენთან მოაქვთ «ხელოვნების პროექტები» და ჩვენ იმის გადაწყვეტა გვევლება, მივცეთ თუ არ მივცეთ ფული მის განსახორციელებლად. ჩემთან ერთად ფონდის საბჭოში მუშაობენ «კვადრატამდელი» ხელოვნების ნამდვილი სპეციალისტები, ნატიფი შემფასებლები. ყველას სათითაოდ გვძულს კვადრატი და «იმ საწყისის თვითდამკვიდრების აქტი, რომელსაც სახელად ჰქვია სიბილწე გაპარტახებისა». მაგრამ ჩვენთან გაუთავებლად მოაქვთ მორიგი გაპარტახების სიბილწის პროექტები, მხოლოდ სიბილწისა და სხვა არაფრის. ვალდებულნი ვართ, გამოყოფილი ფული სრულად დავხარჯოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფონდი დაიხურება. ის კი ჩვენს ღატაკ ქვეყანაში ძალზე ბევრ ადამიანს კვებავს. ვცდილობთ, ისეთი პროექტები მაინც დავაფინანსოთ, სხვებზე ნაკლებად ამაზრზენი და ნაკლებად უაზრო რომაა. შარშან

დავაფინანსეთ მხატვარი, რომელმაც მდინარის ნაპირზე სურათის ცარიელი ჩარჩოები განათავსა; კიდევ ერთი, რომელმაც ასომთავრულით, ძალიან დიდად გამოსახა სიტყვა «მე» და ლამაზი ჩრდილი დაუხატა; შემოქმედთა ჯგუფი, რომელმაც პეტერბურგის პარკებში ძაღლის ფეკალიების ალაგების აქცია მოაწყო. წელს «მოვიწონეთ» ქალი, რომელიც რიყის ქვებს საფოსტო მარკებს აკრავდა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გზავნიდა, და ჯგუფი, რომელმაც წყალქვეშა ნავში სისხლის გუბე დააყენა: მნახველებს ამ გუბეზე გადასვლისას ყურსასმენებით უნდა მოესმინათ აბელარისა და ელოიზას ამბავი. მორიგი სხდომის შემდეგ ქუჩაში გამოვდივართ, ვდგავართ, მდუმარედ ვეწევით და ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებთ. მერე ერთურთს ხელს ვართმევთ და სწრაფად, ნაჩქარევად, ჩვენ-ჩვენ გზაზე მივდივართ.

რუსულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

[1] ლოდზე (ქვაზე) მოკიდებული მოწითალო ან ღია ნაცრისფერი ხავსი.

[2] «მკვდარი მამალი» – უკრაინული როკ-ჯგუფი, რომელიც 1989 წელს ჩამოყალიბდა ლვოვში.

[3] BACK IN THE USSR (ინგლ.) – «ისევ სსრკ-ში». პოლ მაკარტნის მუსიკალური პაროდია ჩაკ ბერის სიმღერაზე «ისევ აშშ-ში» (მთარგმნელის შენიშვნა).

[4] WITHOUT YOU-2 (ინგლ.) – «შენთან ან უშენოდ». ირლანდიური როკ-ჯგუფის «U-2»-ს სიმღერა (მთარგმნელის შენიშვნა).

[5] JUST IN BETWEEN (ინგლ.) – უბრალოდ შუალედში (მთარგმნელის შენიშვნა).

[6] CALLING DEM (ინგლ.) – დემის გამოხმობა.

[7] Delirium tremens (ლათ.) – თეთრი ცხელება.

[8] you know what I mean (ინგლ.) – ამერიკელი მომღერლისა და მსახიობის, ნეილ დიამონდის სიმღერა «თქვენ თუ იცით, რას ვგულისხმობ» (მთარგმნელის შენიშვნა).

[9] SIE KЦNNEN DEN COMPUTER JETZT AUSSCHALTEN (გერმ.) – ახლა თქვენ შეგიძლიათ გამორთოთ კომპიუტერი (გერმ). გერმანული ვერსია ფრაზისა, რომელიც ჩნდება მონიტორზე Windows-იდან გასვლის შემდეგ (ავტორის შენიშვნა).

[10] საშკო (ალექსანდრე) კრივენკო (1963-2003) — ცნობილი უკრაინელი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, დაიღუპა ავტოკატასტროფაში (მთარგმნელის შენიშვნა).

[11] GLORY TO THE CAMELS (ინგლ). – დიდება აქლემებს.

[12] „Les Temps Modernes“ –ჟან-პოლ სარტრის მიერ დაარსებული ჟურნალი (1945 წ. ოქტომბერი).

[13] ოჯახის ღვთაების – ვესტას ქალწული ქურუმი.

[14] ჰაეროვანი, უხორცო არსება.

[15] ფლობერის ადგილ-მამული ნორმანდიაში.

[16] ფრანგი ვაჭარი ჟ. კალასი, შვილის მკვლელობაში დადანაშაულებული, უსამართლოდ იქნა დასჯილი 1762 წელს. ვოლტერის ჩარევით საქმეს დიდი გამოხმაურება მოჰყვა და 1765 წელს მოხდა კალასის სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაცია.

[17] ჯაშუშობაში უსაფუძვლოდ დადანაშაულებულ ებრაელ კაპიტან დრეიფუსს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა და გადასახლება (1894 წ.). ზოლას წერილმა – «მე ბრალს ვდებ» მოახდინა არაჩვეულებრივი ეფექტი და 1899 წელს ინდივიდუალური ამინისტიის წესით დრეიფუსი გაათავისუფლეს, ხოლო 1905 წელს დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო მოხდა მისი სრული რეაბილიტაცია.

[18] 1925-1926 წლებში ჟიდმა იმოგზაურა კონგოსა და ჩადში. კოლონიალური ხელისუფლების თვითნებობით აღშფოთებულმა წამოიწყო აქტიური ბრძოლა, რის შედეგადაც საფრანგეთის პარლამენტმა გააუქმა იქ არსებული ადმინისტრაციული წესები.